# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 4 ოქტომბერი, 2006 წელი.

№ 194 (5535)


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


# გზა, რომელიც ფსოუმდე მიგვიყვანს






2

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, 5 ოქტომბერი – ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღე, გამოცხადებულია უქმედ.

## ნიდის ჯარიერის გენერლები

6



2

## ლეიბორისტების გამარჯვება თუ წიწამურში ნასროლი ტყვია?



## საყვარელი, საბრალო, გაუგებრად შეგინებული დედები

9

ავტობანი

# გაიხსნა ჩქაროსნული გზატკეცილი





**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ნატახტარი-აღაიანის მონაკვეთზე პირველი ჩქაროსნული გზატკეცილი გახსნა.**

პრეზენტაციას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და დედაქალაქის მერი გიგი უგულავა ესწრებოდნენ.

„აღნიშნული გზა მალე სოხუმში ჩავა და ეს იმაზე გაცილებით ადრე მოხდება, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

პრეზიდენტის თქმით, ქვეყნის აღმშენებლობა და წინსვლა არის პასუხი ყველას მიმართ, ვინც საქართველოს კრიტიკითაა დაკავებული.

როგორც სააკაშვილმა განაცხადა, ბეტონისსაფარიანი ავტობანი პირველია კავკასიაში. მისივე თქმით, 2008 წლისთვის ამ ტექნოლოგიით დაგებული საავტომობილო გზა ხაშურამდე ჩავა.

* * *

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გორში თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტალი გახსნა.**

ევროსტანდარტების შესაბამისი ჰოსპიტალი სამხედრო და სამოქალაქო პირებს მოემსახურება. ჰოსპიტალის მშენებლობაზე დაახლოებით 20 მლნ. ლარი დაიხარჯა და იგი 150 ავადმყოფზეა გათვლილი. საავადმყოფო სრული დატვირთვით ორ კვირაში ამოქმედდება.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, ოთხ თვეში ასეთი საავადმყოფოს აშენება წარმოუდგენელი იყო. მისივე თქმით, მომავალ წელს ასეთი სამკურნალო დაწესებულება თბილისში, ბათუმში, ოზურგეთში და თელავში, ხოლო მოგვიანებით სოხუმშიც აშენდება.

„საქართველოში ევროპული ჯანდაცვა იქნება“, — განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## ორმხრივი თანამშრომლობა

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გელა ბეჟუაშვილსა და ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრს არტის პაბრიკს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა.**

**მინისტრებმა საქართველოსა და ლატვიას შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.**

**გელა ბეჟუაშვილმა თავის კოლეგას მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს მიერ ეუთოს მხარისათვის ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი რუსი ოფიცრების გადაცემის თაობაზე. ლატვიის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა პოზიტიურად შეაფასა საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯი.**

**ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა ქართულ მხარეს გაეროს გენერალური მდივნის არჩევნებზე საქართველოს მიერ ლატვიის პრეზიდენტის კანდიდატურის მხარდაჭერისათვის.**

**ინტერპრესნიუსი**



პარლამენტის თავმჯდომარე

## წინასაარჩევნო რეკომენდაციების პაკეტი

**პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს საკონსულტაციო ჯგუფის მიერ მომზადებული წინასაარჩევნო რეკომენდაციების პაკეტი გადასცა.**

ნინო ბურჯანაძის და გურამ ჩალაგაშვილის შეხვედრა დახურულ კარს მიღმა ნახევარი საათის განმავლობაში გრძელდებოდა. დახურული შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ბურჯანაძის განცხადებით, წინასაარჩევნო მონიტორინგის მიზნით შექმნილი საკონსულტაციო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციების ნაწილი ცესკოს უკვე შესრულებული აქვს. კერძოდ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გასცა ზუსტი ინსტრუქცია არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცედურის შესახებ. „დაზუსტდა კონკრეტულად რა ხარვეზებით შეიძლება მისცეს ამომრჩეველმა ხმა ისე, რომ არ დაირღვეს მისი კონსტიტუციური უფლება, ხმის მიცემის უფლება და რა შემთხვევაში ჩაითვლება ხმა ბათილად. გადაწყდა, რომ დევნილები ხმას მისცემენ როგორც პირადობის, ასევე დევნილობის საბუთით და მესამე რეკომენდაცია, რომელიც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უკვე გაითვალისწინა. სამხედროები ხმას მხოლოდ საკუთარი დისლოკაციის ადგილების მიხედვით მისცემენ. ყაზარმებში კი რეგისტრაციის პროცედურები დასრულებულია.

ნინო ბურჯანაძემ საოლქო და საუბნო კომისიების თავმჯდომარეებს და წევრებს მოუწოდა მაღალ დონეზე შეასრულონ საკუთარი პროფესიული ვალი და არ დაუშვან არც ერთი შეცდომა, „რადგან ნებისმიერი რანგის პირის მიერ დაშვებული შეცდომა დაისჯება უმკაცრესი ფორმით“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ბურჯანაძის განცხადებით, ხვალინდელი არჩევნებით საქართველომ მსოფლიო თანამეგობრობას უნდა დაუმტკიცოს, რომ არჩევნები გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარდა.

## ისაუბრეს სამეზობლო პოლიტიკის გეგმაზე

**პარლამენტის თავმჯდომარე ევროკავშირის უმაღლეს კომისარს ბენეტა ფერერა ვალდნერს შეხვდა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და მხარეებმა კომენტარი შეხვედრის დასრულების შემდეგ გააკეთეს.**

„უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვისაუბრეთ იმ პრობლემებზე, რაც ბოლო პერიოდში რუსეთის ხელისუფლების მხრიდან შეიქმნა. ყველას ესმის, რომ ის რეაქცია, რომელიც რუსეთის მხრიდან წამოვიდა, აბსოლუტურად არაადეკვატური რეაქციაა და პოზიტიურად არის შეფასებული ჩვენი გადაწყვეტილება, რომ ჯაშუშები რუსეთის მხარისთვის ყოფილიყვნენ გადაცემულნი“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა კი კომენტარი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის გეგმაზე გააკეთა. „ვფიქრობ, ეს გეგმა ერთნაირად მისაღები უნდა იყოს როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის გეგმა თქვენს ქვეყანას დემოკრატიულ განვითარებაში შეუწყობს ხელს.“ — განაცხადა ვალდნერმა.

ევროკავშირის დელეგაცია უკვე შეხვდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს.

სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე ევროკავშირის უმაღლეს კომისარს შეხვდა და მათ საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივებზე ისაუბრეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

აქცია

## ლეიბორისტების გამარჯვება თუ წიწამურში ნასროლი ტყვია?

**თავსხმა წვიმის მიუხედავად, შალვა ნათელაშვილის მოწოდებამ — მხარში დამიდექითო, პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია თითქმის შეავსო.**

**არჩევნებამდე მოსახლეობასთან ბოლო შეხვედრა ლეიბორისტების ლიდერმა კვლავ ხელისუფლების ლანძღვით დაიწყო:**

— მამულიშვილნო, ჩვენ ვდგავართ იქ, საიდანაც უნდა დავიწყოთ საქართველოს განთავისუფლება უწმინდურებისგან, ამ დღეს ძალიან მალე უნდა მოვესწროთ, ერთად დგომით ამას აუცილებლად მივაღწევთ. დღეს მთელი ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვერ ავიტანთ სააკაშვილის და მისი ბანდის ბატონობის საქართველოში. ჩვენ გვინდა, საქართველოში მბრძანებლობდეს რუსთველის სული, აღმაშენებლის, თამარის, ილიას, ზვიადის, მერაბის სული. გვინდა, ეროვნულ-დემოკრატიული საქართველო, სადაც დავიცავთ ადამიანის სოციალურ უფლებებს, — განაცხადა ნათელაშვილმა.

მისივე თქმით, 5 ოქტომბერს პრეზიდენტის გუნდისთვის მიცემული ხმა არის წიწამურში ნასროლი ტყვია. უკანონობას, უმუშევრობას, შიმშილს, ადამიანთა ხოცვას, ხალხმა ხმა არ უნდა მისცესო!

ცხადია, რომ ნათელაშვილმა წინასაარჩევნო აგიტაციისას ქულების დაწერა პრეზიდენტის და ხელისუფლების გმობით გადაწყვიტა, გასაოცარი ის არის, რომ გუშინდელ მიტინგზე მისი გამოსვლისას დიდი აპლოდისმენტებიც სწორედ ამ დროს ისმოდა. ლანძღვა არ გიგი უგულავასთვის დაიშურა, მას შეუმდგარი სტიქაროსანი და ანტიმართლმადიდებელი უწოდა.

საზოგადოებას პარტიის სიის პირველი ნომრები კიდევ ერთხელ შეახსენა, თანაც, თითოეული დაახასიათა. პაატა ჯიბლაძე ხალხისთვის გულანთებული მებრძოლი არისო, გიორგი გუგავას პოლიტიკური „ამომწვერვალება“ გლდანის რაიონში ელისო, სამგორის რაიონში კი კენჭს იყრის მართალი და შემტევი კაცი სოსო შატბერაშვილიო. ნაძალადევის რაიონში პარტიის, თბილისელობის და ქალაქელობის ერთ-ერთი თვალსაჩინო სახე კახა ძაგანია დაელოდება ამომრჩეველთა ხმებსო. ოპონენტებს დიდუბეში შეეჯიბრება არასამთავრობოთა ცნობილი ლიდერი, სოროსის ფულებისგან შორს მდგარი გია ბერძენიძეო, ისნის რაიონში კი კენჭს იყრის აფხაზეთის ფაქტობრივი გმირი ალექსანდრე (ჩიორაძ წიკლაურიო. ვაკის რაიონს გაუმართლა — იქ უნივერსიტეტისთვის მებრძოლი ნესტან კირთაძეა ჩვენი რჩეულიო.



შრომის პარტიელთა ლიდერს უპასუხოდ არც ირაკლი ოქრუაშვილის ამასწინანდელი გამოსვლა დაუტოვებია:

— ირაკლი, რაც შენ ფული იშოვე, იმას ხომ წაგართმევ, რასაც ვერ გიპოვით, შენს ოჯახს დავახარჯვინებ ამანათების შემოსაგზავნად. სააკაშვილის ოჯახსაც მოუწევს ქილებში დახუფული დოლარების ამოღება!

ლეიბორისტები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ტერიტორიების დაბრუნებას დაგვპირდნენ, რუსი მაღალჩინოსნები კი გააფრთხილეს, რომ ქართველი ერი გოჯი მიწის დაკარგვასაც არ შეეგუება.

— ეს აქცია დასაწყისია იმისა, რაც შეიძლება აგორდეს არჩევნების გაყალბების შემდეგ. ეს მას კომედიად მოეჩვენება, ტრაგი-კომედია წინ აქვს. ხალხს მობეზრდა არაადამიანური ცხოვრება, ასე ხალხი ვეღარ იარსებებს. მერე სააკაშვილს გაერო, ნოღაიდელი და ბურჯანაძე ვეღარ უშველიან. ხალხი ყველაფრისთვის პასუხს მოსთხოვს, — განაცხადა ნათელაშვილმა.



აქციაზე მისულთაგან უმრავლესობა სოციალური პრობლემების მოგვარებას მოითხოვდა. დიასახლის მზია პაპუნაშვილს მიაჩნია, რომ ლეიბორისტული პარტია ქართველების კეთილდღეობის რეალური მომავალია.

ნაციონალებისგან იმედგაცრუებული ექიმი ანზორ ლუარსაბაშვილი კი იმითიც კმაყოფილი დარჩება, თუ ლეიბორისტები დანაპირების ხუთ პროცენტს მაინც შეასრულებენ. მით უფრო, რომ ანაბრების დაბრუნება, პენსიების ზრდა და სოციალური ფონის გაუმჯობესება ლეიბორისტებისთვის პრიორიტეტულია.

იყვნენ ისეთებიც, ვისაც უჭირდა პასუხის გაცემა, თუ რატომ მოვიდნენ თავსხმა წვიმაში პარლამენტის წინ. რაც მთავარია, თავად შრომის პარტიელები კმაყოფილნი დარჩნენ მოქალაქეთა რაოდენობით და ხვალინდელი დღის იმედით დაგვემშვიდობნენ.

**ლელა ხვადაგიანი**

◎ ცხელი თემა

# იმედი ვიქონიოთ, მართლაც გაიგეს

**დღეს რუსეთის დუმაში საქართველოსთან შექმნილი ურთიერთობის თაობაზე იმსჯელებენ. რუსი დეპუტატები პლენარულ სხდომაზე იმ საკანონმდებლო ცვლილებებს გაიტანენ და ცხადია, დაამტკიცებენ კიდეც, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს რუსეთიდან ფულად გადმორიცხვებს და საფოსტო ამანათების გამოგზავნას გაურთულებს. მოკლედ, რუსული ბლოკადა ძალაში შევიდა.**

საქართველო რუსულ ბლოკადას როგორმე გაუძლებს, მაგრამ საკითხავია, გაუძლებს კი ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ქვეყნის იმიჯი ამ ყველაფერს? რუსეთის სანქციები რუსეთის ხელისუფლებას საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აღნიშნავენ, რომ „ამ გადაწყვეტილებით რუსული მხარე მენტალურად ჩამორჩენილი, შუა საუკუნეების ფეოდალური სახელმწიფოს სტატუსს იძენს". ამ შეფასებაში მათ ოპოზიციაც ეთანხმება.

ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, რომელსაც საქართველომ რუსი ჯაშუშები გადასცა, თბილისში რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. კერძოდ, მან უარყოფითად შეაფასა ცხინვალში დაგეგმილი რეფერენდუმი, ისაუბრა რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლების აუცილებლობაზე და კიდევ ერთხელ მოუწოდა რუსეთს დიალოგისაკენ.



„ეს განცხადება არის უმნიშვნელოვანესი. პრაქტიკულად, ეს იმას ნიშნავს, რომ კონფლიქტის ზონაში უნდა მოხდეს რუსეთის როლის მინიმიზაცია", – მიაჩნია საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს ნიკა გვარამიას. მისი აზრით, ეუთოს თავმჯდომარის ეს განცხადება არის ამ დღეებში მომხდარ მოვლენებზე რუსეთის არაადეკვატური რეაქციის პირდაპირი შედეგი. გვარამია თვლის, რომ რუსეთს ასეთი ისტერიკა რომ არ აეტეხა და ტრადიციული გზისთვის მიემართა, როგორსაც ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოები იყენებენ, დიპლომატიური გზებით მიეჩუმათებინა ეს ყველაფერი და კონფლიქტი ამგვარად ამოეწურა, მაშინ ეუთოს თავმჯდომარის განცხადება ასეთი მკვეთრი არ იქნებოდა. რუსეთის ისტერიულმა რეაქციამ ის შედეგი გამოიღო, რომ პრაქტიკულად შეფასდა მისი როლი ამ რეგიონში, რაც საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ცხადი გახდა და შესაბამისად, ორმხრივმა ურთიერთობამ საერთაშორისო სიბრტყეზე გადაინაცვლა.

„ღირებულია არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჯაშუშები არიან, რომლებიც ტერაქტების ორგანიზებაშიც კი იღებენ მონაწილეობას, არამედ თავისთავად აღნიშნულ საკითხზე რუსეთის რეაქციამაც ღირებულება შეიძინა", – აცხადებს ნიკა გვარამია.

ზემოთ თქმულიდან ძალიან მარტივი დასკვნა კეთდება: რუსეთი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არ შეიძლება შუამავალი იყოს. იმედი ვიქონიოთ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ეს მართლაც გაიგო.

**მზია გელენავა**

◎ პარტიებსა და მოძრაობებში

# თბილისს აყვავებას ჰპირდება

**ნომრის სტუმარია არჩევნების მონაწილე, საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის თავმჯდომარე ზურაბ გაგნიძე**

**– როგორ აფასებთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღევანდელ სისტემას?**

– როგორც მიმდინარე ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტი, დარეგისტრირებულ ექვს პარტიას შორის ერთ-ერთი, პარტიის სახელით ვაცხადებ, რომ არჩევნები თავიდანვე დიდი დარღვევებით დაინიშნა, ამ დარღვევებმა განაპირობა ის, რომ არჩევნები დაინიშნა მოულოდნელად.

საარჩევნო სიები დიდი ხარვეზებითაა შედგენილი. მხედველობაში მაქვს უზუსტობანი. ასეთი სიების პირობებში არჩევნები უნდა გადაიდოს;

არაობიექტური მიდგომა საარჩევნო სუბიექტებს შორის, საინფორმაციო დროის განაწილების თვალსაზრისით, ამ ექვსი პარტიიდან ზოგიერთი განებივრებულია, ზოგიც – დაჩაგრული;

კანონის უხეში დარღვევების მიუხედავად, გამოსასწორებლად არაფერი გაკეთდა და ამით გაყალბებებს დაუდეს საფუძველი.

**– რა პროგრამას სთავაზობთ ამომრჩეველს, რითი განსხვავდება ის სხვა პარტიების პროგრამებისგან?**

– ჩვენი პარტიის მიზანია ეროვნული იდეოლოგიის აღდგენა, ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული იდეოლოგიის დამკვიდრება პოლიტიკურ სტრუქტურებში. უფრო მეტიც – სახელმწიფოს მართვა მთლიანად უნდა დაემყაროს ეროვნულ სულიერებას, ეროვნულ იდეოლოგიას.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული ეროვნული იდეოლოგია დაკნინებულია. კერძოდ, ხელისუფლებამ განათლების სისტემა მთლიანად დაანგრია, ანტიეროვნულმა ძალებმა სამსახურებიდან გამოყარეს კვალიფიკაციური კადრები, უნივერსიტეტში ფაკულტეტები გაუაზრებლად შეამცირეს, ეს ყველაფერი კი ქართულ კულტურას ანგრევს, სულიერებას აკნინებს.

**– თქვენს პარტიას ვინ ჰყავს თბილისის მერად შეგულებული?**

– ის, რაც თბილისის მერის არჩევნებთან დაკავშირებით დღეს ხდება, ეს არჩევნები კი არ არის, ხალხის მოტყუებაა. მე თუ საკრებულოში ამირჩიეს, ჩემს თავს წარვადგენ მერად.

**– გაქვთ გამარჯვების იმედი?**

– თუ ობიექტურად ჩატარდა არჩევნები, წარმატების იმედი მაქვს.

**– რას ჰპირდებით თბილისს მერად არჩევის შემთხვევაში.**

– თბილისელებს დავპირდები, რომ აღარასოდეს გაიყიდება მისი სტრატეგიული სიმდიდრეები, დიდი სტიმული მიეცემა ჩვენს ქართულ ენერგიას როგორც ეკონომიკის, ისე სულიერ ცხოვრებაში.

**– დაბოლოს, როგორ გესახებათ საქართველოს მომავალი?**

– დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს გადარჩენა ეროვნული იდეოლოგიის დამკვიდრებასა და განმტკიცებაშია და მჯერა, რომ არათუ გადარჩება საქართველო, არამედ სულ მალე ძლიერი ეროვნული სახელმწიფო გახდება.

**ესაუბრა**
**თამარ ზუმფალიშვილი**

◎ აი, პერსპექტივა

# თუ ჩინელებმა ქართული ღვინის დალევა დაიწყეს, გასაყიდი ღვინო აღარ დარჩება

***ჩინეთის ელჩი საქართველოში ვან კაივენი ჩინური მაღაზიების მომრავლებას ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებით ხსნის და აცხადებს, რომ ჩინელი ბიზნესმენები საქართველოს ფინანსური ბაზრის სხვა სეგმენტსაც აქტიურად აითვისებენ. თანამემამულეთაგან ქართული ღვინის დაგემოვნების შემთხვევაში კი ელჩი ქართული ღვინის გაქრობით „გვემუქრება". ჯი-აი-ჩ-ენი ჩინეთის ელჩს საქართველოში ვან კაივენის პეკინის საერთაშორისო ბიზნეს ფორუმსა და საქართველო-ჩინეთის პარტნიორობის ახალ პერსპექტივებზე ესაუბრა.***




**– ახლო მომავალში პეკინში საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი გაიმართება. საქართველოს ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ სწორედ ამ დროს გახდება ცნობილი, რომელი სფეროთი დაინტერესდებიან ბიზნესმენები. თქვენი აზრით, რომელი სფერო უფრო მიმზიდველია ჩინელებისთვის?**

– მიმაჩნია, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროთი დაინტერესება ხელსაყრელია, რადგანაც კლიმატი კარგია ხარისხიანი მოსავლის ასაღებად. ჩინელი ინვესტორები უკვე საკმაოდ დაინტერესდნენ და სასათბურე მეურნეობის მშენებლობა დაიწყეს. ჩამოტანილია სპეციალური სათბურები, რომელიც თბოგაუმტარობით გამოირჩევა და დამატებით წყაროს აღარ საჭიროებს. ამასთან, ჩვენი ინტერესის სფეროა ენერგეტიკის სექტორი, უფრო კონკრეტულად კი ჰიდრორესურსები, რომლითაც საქართველო ერთობ მდიდარი ქვეყანაა.

**– სააკაშვილის ჩინეთში ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ჩინეთი საქართველოს ღვინის რეალიზაციაში დაეხმარებოდა. ამ მხრივ რისი გაკეთება ძალუძს ჩინეთს?**

– ჩინეთის ბაზარი სხვადასხვა ქვეყნის ღვინოებით საკმაოდ გაჯერებულია. ქართულმა ღვინომ თავისი მოკრძალებული ნიშა დაიკავა, მაგრამ ჩინელი მომხმარებელი მას კარგად არ იცნობს და არ ყიდულობს. ქართულ ღვინოს შესაბამისი რეკლამა უნდა გაუკეთდეს და ის ჩინელებისათვის ცნობადი გახდეს. ჩვენთან რეკლამა საკმაოდ ძვირი ფუფუნებაა, მაგრამ შედეგი დამაკმაყოფილებელი იქნება. თუ ჩინელებმა ქართული ღვინო გაიცნეს და მისი დალევა დაიწყეს, საქართველოში გასაყიდი ღვინო აღარ დარჩება.

**– საქართველოში და, განსაკუთრებით, თბილისში მომრავლდა ჩინური მაღაზიები, რომელშიც დაბალი ხარისხის პროდუქცია იყიდება. რა არის ამისი მიზეზი? მიგაჩნიათ, რომ საქართველოში მაღალი ხარისხის პროდუქციას ვერ გაყიდით?**

– გეთანხმებით, რომ ჩინურ მაღაზიებში შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქცია იყიდება, მაგრამ ეს თავად ბაზარზეა დამოკიდებული. საერთოდ ბაზარზე რა მოთხოვნაცაა, ისეთია მიწოდებაც. თბილისში მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ამ ფონზე ჩინური მაღაზიები ბევრი არ არის. თუკი ამერიკასა და ინგლისში ჩინურ ბუტიკებში შეიხედავთ, ნახავთ, რომ საკმაოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას ვყიდით, იმიტომ, რომ იქ ასეთ საქონელზეა დიდი მოთხოვნა. უბრალოდ, ჩვენ ყველა ფენისთვის ხელსაყრელ პროდუქციას ვაწარმოებთ.

როდესაც საქართველოში მაღაზიაში შევდივარ, კარგი ხარისხის პროდუქცია ძვირია, მაგრამ ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ თვითღირებულებაა მისი ასეთი მაღალი, არა, უბრალოდ, თავად რეალიზატორი ზოგჯერ 40-50 პროცენტით ზრდის პროდუქციის ფასს. ჩვენთან კი ასე არ ხდება.

**– არსებობენ ქვეყნები, სადაც ჩინური საქონლით ვაჭრობა აკრძალულია. რამ გამოიწვია იმ ქვეყნებში ასეთი აგრესიული დამოკიდებულება?**

– უპირველესად, გეტყვით, რომ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესებით თამაშობს. არის ქვეყნები, სადაც ჩივიან, რომ ჩინეთს დემპინგური საქონელი შეაქვს. ეს სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ ეს ყველაფერი ადგილობრივ წარმოებას ურტყამს. ამერიკასთან ასეთი პრობლემები ტექსტილის გამო იქმნება, ევროპასთან კი პრობლემები ფეხსაცმელთან დაკავშირებითაა. უბრალოდ, ჩინეთის არის მწარმოებელი ქვეყანა. თქვენ, ხომ გგონიათ, რომ „ნოკია" ფინური წარმოებისაა? „ნოკიას" წარმოების ბაზა ჩინეთშია.

**– რუსეთში ჩინელებისათვის ხეტყის ბიზნესი მეტად მიმზიდველია, საქართველოში კი ასეთი დაინტერესება ნაკლებად შეინიშნება.**

– გეთანხმებით, მაგრამ ამ მიმართულებით საქართველოსთანაც დავიწყეთ მუშაობა. ჩვენ დაკავებული ვართ ხეტყის არა მარტო შესყიდვით, არამედ მისი წარმოებითაც. საქართველოში ხეტყეზე ლიცენზიების მოპოვება საკმაოდ ძვირია, მაგრამ ინვესტორს არც ამის ეშინია, რადგანაც ყველაფრის გათვალისწინებით ბიზნესის აწყობა შესაძლებელია.

**ესაუბრა**
**მაია არაბიძე,**
**ჯი-აი-ჩ-ენი.**

◎ ინფორმაცია

## ჩვენს საელჩოს მოსკოვში კვერცხები დაუშინეს

**რუსეთის დედაქალაქში მოძრაობა „ადგილობრივების" აქტივისტებმა საქართველოს საელჩოს კვერცხები დაუშინეს.**

**სამართალდამცავებმა მოძრაობის 10-მდე აქტივისტი დააკავა. სულ აქციაში მონაწილეობა დაახლოებით 80-მა ადამიანმა მიიღო.**

**აქციის ორგანიზატორთა განცხადებით, ისინი სააკაშვილის რეჟიმის რუსეთთან წარმოებული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიან.**

## საქართველო რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს იწყებს

**გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია დღეიდან რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს იწყებს.**

**როგორც ენერგოკომპანიაში განაცხადეს, მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზით „კავკასიონით" საქართველო დღე-ღამეში 480 000 კვტსთ ელექტროენერგიას მიიღებს, რაც დაახლოებით 20 მეგავატს შეადგენს.**

**ელექტროენერგიის იმპორტი 15 ოქტომბრამდე განხორციელდება. ენერგოკომპანიაში აცხადებენ, რომ იმპორტთან დაკავშირებით შეთანხმება ყოველგვარი დაძაბულობისა და შეფერხების გარეშე იქნა მიღწეული.**

**ელექტროენერგიის იმპორტის დაწყების მიზეზი ძირითადად ენერგოსისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფას უკავშირდება. ამ დროისთვის სისტემაში ენერგორესურსის დეფიციტი თითქმის არ არის, თუმცა მისი გამართულად ფუნქციონირებისთვის ტექნიკურად საჭიროა იმპორტის განხორციელება.**

## საზღვრის დასაცავად დამატებითი ზომები არ ტარდება

**რუსეთს საქართველოსთან სახელმწიფო საზღვრის დასაცავად დამატებითი ზომები არ მიუღია.**

**ამის შესახებ ინტერფაქსს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა განუცხადა, რომლის ვინაობასაც სააგენტო არ ამჟღავნებს.**

**საქართველოსთან საზღვრის დაცვა გეგმიურ რეჟიმში წარმოებს. თუმცა, ტრადიციულად, საზღვრის ამ მონაკვეთს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, – განაცხადა დაცვის სამსახურის წარმომადგენელმა.**

**მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთს საქართველოს საზღვართან გამშვები პუნქტი ქვემო ზარამაგი არ დაუკეტავს.**

## სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა

**მოსკოვის მიმართულებით სარკინიგზო სამგზავრო რეისები აღარ განხორციელდება. სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტასთან დაკავშირებით ოფიციალური შეტყობინება „საქართველოს რკინიგზის" სამგზავრო გადაზიდვების სამსახურმა დღეს დილით მიიღო.**

**როგორც აღნიშნული სამსახურის უფროსმა ირაკლი კანდელაკმა განაცხადა, მიმოსვლის შეწყვეტის მიზეზად შეტყობინებაში მგზავრთნაკადის სიმცირეა დასახელებული. „ეს არგუმენტი ყოვლად უსაფუძვლოა. ჩვენი სტატისტიკური მონაცემებით, ამ მიმართულებაზე ყოველთვის ჭარბი მგზავრთნაკადი იყო. მოსკოვში, ადგილზევე, ბილეთების შეძენაზე რიგები აღინიშნებოდა" , – დასძინა მან.**

**მოსკოვის მიმართულებით რეისი დღეს, 17.15 საათზე უნდა შესრულებულიყო. „საქართველოს რკინიგზა" მოსკოვის მიმართულებით რეისებს კვირაში სამჯერ – სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს ორვაგონიანი შემადგენლობით ახორციელებდა.**

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## ლეგალურად მყოფთ არაფრის არ უნდა ეშინოდეთ

რუსეთში ლეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქეებს არაფრის არ უნდა ეშინოდეთ. ასეთი განცხადება გუშინ მოსკოვში რუსეთის საიმიგრაციო ფედერალური სამსახურის დირექტორის მოადგილემ მიხეილ ტიურკინმა ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა.

მისი განცხადებით, სამწუხაროდ, ხშირია საქართველოს მოქალაქეთა მიერ მიგრაციის კანონების იგნორირების ფაქტები. „ხშირად, ისინი არ არიან დარეგისტრირებულნი, იმყოფებიან რუსეთის ტერიტორიაზე ვიზების გარეშე, აქვთ გაყალბებული დოკუმენტები“, — განაცხადა ტიურკინმა.

მისი განცხადებით, რუსეთის საიმიგრაციო ფედერალური სამსახურის ხელთ არსებული მონაცემებით, რუსეთის ტერიტორიაზე ამ დროისთვის 300 ათასი საქართველოს მოქალაქე იმყოფება.

## სოხუმი თბილისს ულტიმატუმს უყენებს

აფხაზური მხარე ულტიმატუმს უყენებს ოფიციალურ თბილისს. აფხაზური მხარის წარმომადგენლის ქრისტიან ბჟანიას განცხადებით, მხარეებს შორის დიალოგი მხოლოდ მაშინ აღდგება, როცა ქართული მხარე ზემო აფხაზეთიდან სამხედრო დანაყოფებს გამოიყვანს.

— აფხაზეთი არ არის ინიციატორი სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესის შეჩერების. ეს პროცესი მისი მოქმედებით საქართველომ ჩაშალა, რომელმაც ყველა მიღწეული შეთანხმება დაარღვია და სამხედრო კონტინგენტი შეიყვანა კოდორის ხეობაში — განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციის სამსახურის უფროსმა ქრისტიან ბჟანიამ.

აფხაზურმა მხარემ რამდენიმე დღის წინათ მოლაპარაკება შეწყვიტა ქართულ მხარესთან. აფხაზებმა მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზად ზემო აფხაზეთში პოლიციის ძალების შეყვანა დაასახელა.

ინტერპრესნიუსი

განსჯა

# მასტერკლასი ქართველი

## 11. ზოგიერთი რჩევები კანონმდებლებს

**საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შემხედვარე, როდესაც მის შედეგებს კანონების ხარისხითა და მათში ცვლილება-დამატებების სიმრავლით აფასებ, ნათელი ხდება, რომ აქაც არჩევანის პრობლემაა გადამწყვეტი, ამომრჩევლის მიერ ამ დიდი საქმისთვის კანდიდატებისა და პოლიტიკურ გუნდებს შორის გაკეთებული სწორი არჩევანი გვაქვს მხედველობაში. საქართველოს პარლამენტი პრინციპში პროფესიული ორგანოა, მაგრამ იმდენი არაპროფესიონალი და საერთოდ შესაბამისი განათლებამიუღებელი წევრით არის დაკომპლექტებული, რომ პროფესიონალებსაც უჭირთ ყველას ნაცვლად ამ დიდი საქმის კეთება. ცუდია, რომ პარლამენტის კომიტეტების ფორმირებისას, მათი ხელმძღვანელობის შერჩევა, მმართველი საპარლამენტო უმრავლესობის ნომენკლატურული სიის პრინციპს დაემორჩილა და ერთპარტიულ გუნდს თავის კუთვნილებად მიაჩნია. მაშინაც კი, როცა მათ რიგებში სახეზეა შესაბამისი კადრების დეფიციტი, უკანასკნელი სამი მოწვევის პარლამენტში ერთ მაგალითსაც ვერ დაასახელებთ, როდესაც მმართველ პოლიტელიტას პარტიულ ინტერესებზე მაღლა, ზოგადად, საკანონმდებლო ორგანოს ქმედუნარიანობა დაეყენებინოს და კომიტეტის ღირსეული თავმჯდომარე მისი პარტიული სიის მიღმა მოეძიოს. ერთი მიზეზი, რომლის გამოც საერთო საქმე აგებს — პროფესიონალიზმის დაუფასებლობაა.**

ქვეყანაში არსებული მდგომარეობა მთელი თავისი პრობლემებითა და სირთულეებით, ჯერ კიდევ საკონსტიტუციო კომისიის მოქმედებისას, სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობის კონცეპტუალურად გაუაზრებელი პროექტის მიღება გახდა. იგივე ითქმის 2004 წლიდან დაწყებულ კონსტიტუციურ რეფორმაზე. მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ საქართველოს პარლამენტის კანონშემოქმედთა შორის, მაშინაც და ახლაც, სუსტია სამართალმცოდნე-კონსტიტუციონალისტთა გუნდი და როგორც კონსტიტუციაში, ისე მიღებულ ცვლილება-დამატებებში, კონსტიტუციურ და ორგანულ კანონებში დიდია არაპროფესიონალთა ფანტაზიის წილი.

ჩიკაგოში, მსოფლიოში ცნობილმა კონსტიტუციონალისტებმა რომ მასტერკლასი ჩაგვიტარეს, იქიდან მოყოლებული, პარლამენტის წევრობისას და მერეც, მრავალგზის დავრწმუნებულვარ, რომ სხვადასხვა შემადგენლობის კანონმდებლებმა, რატომღაც უზენაესი ჭეშმარიტების ავტორობა ირწმუნეს და არანაირი არგუმენტებით არ შეიძლება მათი გადარწმუნება. ეს უკვე საქართველოს პარლამენტის სტილია, უმრავლესობას ასე სურს და სხვაგვარად არ იქნება. ასეთ ვითარებაში ძალიან ჭირს გონივრული პრაქტიციზმის გალვიძება, მთავარი მიზანი კი ის არის, რომ დროს გავუსწროთ, მაგრამ სიჩქარეში აკი სწორი ნაბიჯების გადადგმა გვიჭირს. ასე დამთავრდა ჩვენი ურთიერთობა ევროსაბჭოსთან, რომლის ვენეციის კომისიამ კონსტიტუციის ცვლილება-დამატებების მიმართ რამდენიმე ათეული შენიშვნა და რამდენიმე კონკრეტული წინადადება ჩამოაყალიბა, მათ შორის პროპორციული არჩევნების 7 პროცენტიანი ბარიერის შემცირების თაობაზე. კომისია, ახალი კონსულტაციების ჩატარების მიზნით კანონპროექტის განხილვის გადადებას ითხოვდა, ვინაიდან მის რეკომენდაციებს ობიექტური გააზრება და კონსტიტუციის პროექტში სერიოზული ცვლილებები ესაჭიროებოდა. ჩვენ კი არც ეს რჩევები გავითვალისწინეთ. იმაზე უკვე ვთქვით, ისევ სიჩქარეში, როგორი დარღვევებით მოხდა კონსტიტუციური ცვლილებების მიღება, იმაზეც ბევრი ითქვა, სიჩქარეშივე რომ მივჩქმალეთ, მაგრამ ამოქმედებისთანავე განწყლავნდა მიღებული კონსტიტუციური ცვლილებების უსერიოზულესი ხარვეზები, იმაზე მეტიც ვენეციის კომისიის ექსპერტები რომ გვირჩევდნენ.

რაღაც ისეთი შთაბეჭდილება ჩამოყალიბდა, ჩვენი არ ვიცით და არც იმათი გვინდა შევისმინოთ, ვისაც მეტი გამოცდილება და საფუძვლიანი არგუმენტები აქვს, რათა სწორი გზისკენ მიგვითითონ. ძალიან ცუდია, როდესაც კანონმდებელს კვალიფიცირებული აზრისადმი, უბრალოდ, უპატივცემულობა ექალება. სხვისი რომ არ გჯერა და ბევრი არც შენ იცი, ერთი გამოსავალი — საკუთარ თავზე მუშაობაა.

მე თქვენიც მესმის, ბატონო კანონმდებლებო! უკანასკნელი კონსტიტუციური ცვლილებებით, ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო, საპრეზიდენტო და სამთავრობო ინსტიტუტების ნების იურიდიული აქტების სახით გაფორმების ტექნიკურ სამსახურს დაემსგავსა. ნუ შეიცხადებთ — ეს ასე არ არის. მოდით ერთად გავიაზროთ არსებული მდგომარეობა.

პირველ რიგში, ყურადღებით წავიკითხოთ საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი და ობიექტურად შევაფასოთ პარლამენტის რეალური ადგილი. კონსტიტუციით მისთვის განსაზღვრულ კომპეტენციურ არეალში:

—საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებამ, კარგა ხანია პარლამენტის უფლებამოსილებითი მოვალეობებიდან ფუნქციურ ნაწილში გადაინაცვლა: საპრეზიდენტო მოდელის პირობებში, ვეტოს, საკანონმდებლო ინიციატივისა და მის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტების რიგგარეშე განხილვის მოთხოვნის უფლებით აღჭურვილ საქართველოს პრეზიდენტს ხელში ეპყრა საკანონმდებლო პროცესის წარმმართველი ბერკეტები და ახლაც უპყრია. პარლამენტთან მიმართებაში მთავრობამაც შეიძინა იგივე და რიგი სხვა პრეროგატივები. შედეგად, საკანონმდებლო ორგანო, მისი ძირითადი უფლებამოსილებების განხორციელების სუბიექტთა რიგში მესამეა, მისი პირველობა კი პირველი ორისადმი მომსახურების სფეროთი შემოიფარგლა;

— ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას რაც შეეხება, იქნებ გაიხსენოთ, რამდენჯერ მიიღო პარლამენტმა გადაწყვეტილება დსთ-დან გამოსვლაზე, მერე რა?

— იქნებ დაასახელოთ მთავრობის საქმიანობის კონტროლის რა ფარგლები დაუდგინა კონსტიტუციამ პარლამენტს და როგორი აქტივობით იყენებთ მას? ან სხვა რაღა უფლებამოსილებები დარჩა პარლამენტს გამოსაყენებელი?

ყოველივე ამის მიზეზთა-მიზეზში, პარლამენტის გარდაქმნის პროცესში, კენჭისყრით თუ შემრიგებლური პოზიციით, პარლამენტის წევრთა წვლილიცაა. ჩვენი რჩევაა, მეტი იფიქროთ და აქტიურად იმოქმედოთ პარლამენტის კომპეტენციური რეაბილიტაციისათვის.

ჩვენი აზრით, ამ მიზნით საქმიანობა ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს. პირველ რიგში, თითოეულ პარლამენტის წევრს მართებს თავის თავზე ინტენსიური მუშაობა, რათა იმ დონემდე ამაღლდეს, რომ ამართლებდეს ამომრჩეველთა ნდობას და კანონმდებლის მაღალ სტატუსს. მეორე მხრივ, პარლამენტის აპარატის საქმიანობაც ისე უნდა მოეწყოს, რომ შიდასაპარლამენტო პრობლემების მოგვარებით, ორგანიზაციულად უზრუნველყოფდეს ასეთი აქტივიზაციისთვის საჭირო პირობებს.

საზღვარგარეთის ქვეყნების პარლამენტებთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი სამსახურების საქმიანობის ძირითადი მიმართულება დეპუტატების სწავლებაა, ზოგადად თუ კონკრეტულად, პირდაპირ თუ ირიბად. ირიბი წესით ამ მიზნით საქართველოს პარლამენტშიც ხშირად ტარდება გუდაურ-ბაკურიანში ე.წ. თემატური სემინარები ცალკეულ საკანონმდებლო მიმართულებებზე თუ მნიშვნელოვან ნორმატიულ აქტებზე. ცხადია, ასეთ ღონისძიებებს თავისი კონკრეტული მიზანი და შედეგი აქვთ. მაგრამ ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ, რომ არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც უფლებამოსილებების ბოლო ეტაპზეც კი ცალკეული დეპუტატების გამოსვლებში ვლინდება საკანონმდებლო ანბანის ცოდნის დეფიციტი, ხოლო ქმედებებში პარ-

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 183-193.**

ხედვა

# რა ქმნის სტერეოტიპს

## იმიჯი და პოლიტიკური ინტერესები

### *წერილი მეორე*

**წინარე წერილში, როცა ვლაპარაკობდი რუსეთის გავლენის სხვა ძალის ცენტრით შეცვლაზე და იმაზე, რომ იგი შეცვლის საერთოდ „გავლენის კოეფიციენტს“ ყველა თვალსაზრისით, ხაზი გავუსვი საქართველოს კულტუროლოგიურ პრობლემებს აშშ-ის რეგიონალური სტრატეგიის კონტექსტში.**

თუ საქართველო ჩაერთვება ევრაზიული კომუნიკაციების სისტემაში და, კერძოდ, ცენტრალური აზია-სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ გაერთიანებაში (ხომ მიეთითება, რომ ამ ორ რეგიონზე გადის აშშ-თვის მნიშვნელოვანი საკვანძო ვექტორი და ამ რეგიონთა ინტეგრირება მიზანშეწონილიაძ, ამას, სავსებით შესაძლებელია, ისეთი საფრთხეებიც მოჰყვეს, რომელიც ისედაც ეკონომიკურად „ხელოვნურ სუნთქვაზე“ მყოფ ჩვენს ქვეყანას „კოლუმბიზირებულის“ ტიტული საბოლოოდ დაუმკვიდროს.

სადღეისოდ მსოფლიო პრაქტიკამ ნათელყო (ამ პრობლემებს ფუნდამენტურად იკვლევენძ, რომ რეგიონალური ინტეგრაციის პროცესებს მძიმე თანამდევი აუცილებლობაც მოჰყვება — ესაა ტრანსნაციონალური საშიშროებანი: ნარკობიზნესი, ეკოლოგია, საერთაშორისო ტერორიზმი, იარაღით ვაჭრობა, არალეგალური მიგრაციები. ამერიკელი ადმირალი ბლეიერი ტყუილად არ მიიჩნევს მათ ეროვნული უსაფრთხოებისათვის ყველაზე საშიშ ფაქტორებად. სხვათა შორის, ჯერ კიდევ 1991 წელს სსრკ-ს სუკი აფრთხილებდა, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ფორსირებულ ინტეგრაციას გარდუვალად მოჰყვებოდა საერთაშორისო დამნაშავეობა და, კერძოდ, ნარკოტიზაცია. მართლაც, სსრკ-ის დაშლისას საერთაშორისო სინდიკატებმა მაშინვე მისი სივრცის სატრანზიტო არხებად გამოყენება დაიწყეს. ექსპერტთა აზრით, თვით რუსეთის ფედერაციაში 21-ე საუკუნის შუა წლებში „ნემსზე“ დაჯდება 50 მილიონამდე როსიელი.

80-იანი წლებიდან მსოფლიო ნარკობაზრის ორ ცენტრს — ე. წ. სამხრეთ ამერიკის „ანდურ ჯგუფს“ და სამხრეთ- აღმოსავლეთის ე. წ. „ოქროს სამკუთხედს“ (ლაოსი, კამბოჯა, ტაილანდიძ „ოქროს ნახევარმთვარის“ ახალი ცენტრი შეემატა ავღანეთის მეთაურობით. მისი გზა იჭიმება შუა აზიიდან სტამბოლის გავლით ევროპამდე. ექსპერტთა მონაცემებით ავღანეთის ჰეროინი შეადგენს ევროპის ბაზრის 80 პროცენტს და აშშ-ის 35 პროცენტს. ნარკოტრაფიკის ყოვლისშემძლეობას, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობს ის, რომ, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება უჩვენებს, საზღვრების გადალახვისას ხერხდება მხოლოდ 5-10 პროცენტის გამოვლენა. მეორე მხრივ კი ის, რომ ნარკობიზნესი ქმნის კორუფციის უფართოეს საერთაშორისო სისტემას, რომელშიც ჩართული არიან სახელმწიფო მოხელეთა უმაღლესი ეშელონები.

ამაზე იმიტომ შევჩერდი, რომ უფრო ღრმად ჩავფიქრდეთ — რას მოუტანს საქართველოს სატრანზიტო დერეფნად ინტეგრირება საერთოდ და კერძოდ, ცენტრალურ აზიასთან, რეგიონალურ სისტემასთან, რომლის პოლიტიკურ-ეკონომიკური თავისებურება საუკეთესო ნიადაგს უქმნის ნარკოტრაფიკს — „ოქროს ნახევარმთვარის“ ახალი ცენტრის უმნიშვნელოვანეს სივრცეს, რომელიც სამხრეთ კავკასიის (საქართველოსძ დერეფნის გარეშე არაეფექტიანი აღმოჩნდება.

ამ საკითხის, ანუ ჩვენი პრობლემის თავისებურ ანარეკლს ზოგიერთი ევროპული გამოცემა გარკვეულად წარმოაჩენს. მხედველობაში მაქვს იურგენ როთის ძალზე გახმაურებული წიგნი „ჭუჭყიანი ხელები, ანუ როგორ თანამშრომლობენ დასავლეთის სახელმწიფოები ნარკომაფიებთან, რომელიც 2000 წელს გერმანულ ენაზე დასტამბა ბერტელსმანის სოლიდურმა გამომცემლობამ მიუნხენში. ამ წიგნში საქართველომაც მოიკავა ფურცლები და მან საერთაშორისო ნარკობიზნესში ჩართული ქვეყნის დახასიათება შეიძინა.

მაგრამ ამ ფურცლების შინაარსს, ნაწილობრივ მაინც, ერთი მნიშვნელოვანი ხაზგასმის შემდეგ შევეხოთ, რათა ცოტა მაინც გავაქარწყლოთ ის ავბედითი შთაბეჭდილება, წიგნი რომ ტოვებს: უნდა ვიფიქროთ, რომ იქ მოცემული ინფორმაცია ახლა უკვე გუშინდელია და თუ მისი მძიმე კვალი დღესაც არსებობს ჩვენში, სახვალიოდ უნდა წაიშალოს. ეს იმედი დღევანდელმა სიტუაციამ უნდა მოგვცეს, ანუ იმ სახელმწიფო ამოცანამ, რომელიც ნარკობიზნესის ალაგმვას ისახავს მიზნად საქართველოში. და თუ ეს გარკვეულწილად მაინც მოხერხდა და ჩვენი მცირერიცხოვანი ერის გენოფონდი ამ უბედურებასგადაურჩა, დღევანდელ ხელისუფლებას, სხვა რომ არაფერი გააკეთოს, მომავალი არ დაივიწყებს.

როგორც ითქვა, წიგნში საქართველო საერთაშორისო ნარკობიზნესში ჩართულ ქვეყნად წარმოდგა. მაგრამ მთავარი აქ ჩვენთვის ისაა, რომ ჩართულობის ეს ფაქტორი პოლიტიკური დახასიათების სიბრტყეში გადადის, თავისთავად არაერთ კითხვას ბადებს და კარგს არაფერს უქადის ქვეყნის იმიჯს.

გამოცემაში მთელი დატვირთვა ძირითად მოტივზეა — კავშირზე ხელისუფლებასა და მაფიას შორის: „ისინი მჭიდრო კავშირში არიან საერთაშორისო დამნაშავეებთან. მათ საშუალება ეძლევათ დააგროვონ აურაცხელი სიმდიდრე, ისინი პრესტიჟს იქმნიან სახელმწიფო უწყებებში... ვინ იფიქრებდა, რომ კარდინალები, რომის კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი ღირსების წარმომადგენლები მაფიის მეგობრებად მოგვევლინებოდნენ? ან, პაპის ბანკირი წლების მანძილზე მაფიასთან მჭიდრო კავშირების ქსელის გაბმას შეძლებდა?“

სწორედ ასე ისმება საკითხები და ამთავითვე უნდა შევნიშნოთ: მიუხედავად გამომცემლობის სოლიდურობისა, წიგნის დოკუმენტურობის ხარისხის შეფასება არც ჩვენი კომპეტენციაა და არც ჩვენი მიზანი. აქ მთავარი ის არის, რომ ამ საკითხთა წრეში მოქცეულ საქართველოზე ჩვენთვის არასასურველი შეხედულებები გავრცელდა.

პუტჩისა და მკვლელობების მიზეზებზე ასე წერია: ამ „გეგმების ფონს ქმნიდნენ არა მარტო იდეოლოგიური საკითხები ან გეოსტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები, არამედ მათი მიზეზები შედარებით ბანალური იყო. საქმე ეხებოდა სათამაშო კაზინოების მშენებლობას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში — აზერბაიჯანსა და საქართველოში, რომლებიც ნაწილობრივ თურქული საგადასახადო თანხებით უნდა ყოფილიყვნენ დაფინანსებული. ადგილობრივ მოსახლეობას ეს, როგორც ცნობილია, არაფერს მოუტანდა“.



საკმაო ადგილი დაეთმო დავით სანიკიძის მკვლელობასთან დაკავშირებულ საკითხებს: „1991 წლის 11 ივლისს ქართველი მულტიმილიონერი დავით სანიკიძე,

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 193.**

განსჯა

# კანონმდებლებისთვის

ლამენტის რეგლამენტის პრინციპული საკითხების უცოდინარობა.

მიგვაჩნია, რომ პარლამენტის ახალი შევსების ნაკადისთვის უდავოდ სასარგებლო იქნებოდა და არც ძველ პარლამენტარებს აწყენდათ, თუ სამეცნიერო-კვლევითი სამსახური, საკვირაო სკოლების ფორმით მათი სწავლების ორგანიზაციას ითავებდა. სპეციალური სასწავლო პროგრამა კი უნდა მოიცავდეს დეპუტატისათვის აუცილებელი საბაზისო ცოდნის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პარლამენტის საქმიანობის მარეგულირე-



ბელი კონსტიტუციური ნორმები, ორგანული და ჩვეულებრივი კანონები, პარლამენტის რეგლამენტი, აგრეთვე შეხვედრები სამართლის ცნობილ სპეციალისტებთან კონსტიტუციურ და სამართლის სხვა დარგებში მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციებზე.

ირიბი სწავლების ფორმით, უდავოდ მომგებიანი იქნება საკანონმდებლო პროცესში სამართლის სწავლულ-მეცნიერთა ჩართვა. მათი მონაწილეობა საკომიტეტო მოსმენების დროს სასარგებლო იქნება როგორც კანონმდებლობის სრულყოფის, ისე კანონმდებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ირიბი სწავლების დანიშნულებისაა სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის მთელი საინფორმაციო საქმიანობა, მით უფრო, როდესაც კვლევითი საქმიანობა საკანონმდებლო პროცესთან წინგამსწრებად არის დაგეგმილი და კანონდებლებს კონკრეტული კანონპროექტების მოსამზადებლად, უცხოეთის გამოცდილებიდან მათთვის საჭირო შესადარის მასალას უმზადებს.

როგორც ცნობილი გახდა, პარლამენტარები თანაშემწეთა ინსტიტუტის შექმნას ითხოვენ. ბევრ შემთხვევაში, ეს შეიძლება ანეგდოტური ვითარების მომასწავლებელი გახდეს — ერთი რომ არაფერს აკეთებს, მეორე კი მას ეხმარება. და მაინც, პრინციპში, საჭირო საქმეა, მაგრამ დეტალურად უნდა გაიწეროს შერჩევის კრიტერიუმები და წესი, თანაც ისე, რომ ამოსავალი პირობა თავად პარლამენტარის ნება არ უნდა იყოს. მიგვაჩნია, რომ უნდა ჩატარდეს საერთო კონკურსი მუდმივი კომიტეტების სპეციალიზაციის გათვალისწინებით, შემდეგ ამ კომიტეტებში გაერთიანებული დეპუტატების მიერ მათი შერჩევით.

ბოლო ხანებში, ძალიან „გააქტიურდა“ პარლამენტი კონსტიტუციასთან მიმართებაში. სერიოზულ საქმეს სერიოზული მიდგომა უნდა. ამიტომ ორ გასათვალისწინებელ შენიშვნას მოგახსენებთ. პარლამეტი მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს კონსტიტუციური შესწორებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საკითხს და ამ პროცესში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებსაც, თორემ შესაბამისმა კონსტიტუციურმა მოთხოვნამ აბსოლუტურად ფორმალური ხასიათი მიიღო. იმისათვის, რომ კონსტიტუციას, ნაუცბათევი შესწორებების გამო, ხარვეზები ვაშოროთ, უნდა ვისწავლოთ ნებისმიერი კონსტიტუციური ცვლილების, მოცემული კონკრეტული ნორმის მიღმა, მთელი კონსტიტუციის ტექსტის ფარგლებში წაკითხვა და გააზრება. როგორც ნახეთ, მოქმედ კონსტიტუციაში, სწორედ ამ მოთხოვნის გაუთვალისწინებლობის გამო, საერთო ტექსტიდან ამოვარდნილი, მთლიანი მექანიზმის ფარგლებში შეუჯერებელი ნორმები არსებობს და გარკვეულ წინააღმდეგობებსაც ბადებს.

თუ პარლამენტის წევრებს, რომლებიც მასტერკლასის მოცემულ მასალებს გაეცნობიან, მოეჩვენებათ, რომ ზოგიერთი შენიშვნა თუ მოსაზრება კატეგორიული ფორმითაა გამოხატული, უნდა გამიგოთ. პარლამენტის საქმიანობაში აღწერილზე გაცილებით მეტი ხარვეზები შეინიშნება, კატეგორიულობა კი ყველა პარლამენტარის ყურადღების მიპყრობას ემსახურება, მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ მათი საერთო მეცადინეობის შედეგი შეიძლება იყოს. იქნება ვინმეს ზოგიერთი ფაქტურა საკამათოდაც მოეჩვენოს. ეს შეიძლება მასტერკლასის გარკვეულ შედეგად შეფასდეს. კამათში რომ ჭეშმარიტება იბადება, უკვე სასურველ შედეგზეც შეიძლება ფიქრი. მე თანახმა ვარ, საუბარი სემინარების ჭრილში პირდაპირ, თვალდათვალ გადავიტანოთ. თანახმა ვარ ვიკამათოთ, ვიმსჯელოთ. ბოლოს და ბოლოს, საქვეყნო საკითხების ცივილური გზით მოგვარების პროცესში მონაწილეობა ყოველი მოქალაქის ვალია.

მასტერკლასში განხილული თემატური საუბრებიდან თუ კანონმდებელმა სასარგებლო ინფორმაცია მოიძია, კონკრეტული წინადადება ან ღირებული ინფორმაცია ამოიკითხა, რომელიც პრაქტიკულ საკანონმდებლო საქმიანობაში გამოადგება, ეს იმას ნიშნავს, რომ მიმართვის ასეთმა ფორმამ გარკვეულად გაამართლა.

მაგრამ ურთიერთობის ასეთი ფორმების გათვალისწინება კიდევ უფრო სასარგებლო შეიძლება გახდეს შემოთავაზებული საკვირაო სკოლის პროგრამაში მათი გათვალისწინების შემთხვევაში.

ესეც არ იყოს, დღევანდელი სახელმწიფო მართვის ეიფორიული რეჟიმის გათვალისწინებით, სახელმწიფო მოღვაწეს, უკვე მიღებული გადაწყვეტილების სახელმწიფოებრივ მიზანშეწონილებაზე თუ მოგვიანებით, მაგრამ მაინც გაუჩნდება დაფიქრების ან განსჯის სურვილი, გვგონია, რომ ესეც დადებითად უნდა შეფასდეს.

დაბოლოს, კიდევ ერთი რჩევა. მგონია დროა, კანონმდებლებმა ისწავლონ ობიექტური განსხვავებული აზრის მოსმენა, პატივისცემა და გათვალისწინებაც, როცა იგი სასარგებლოა საქვეყნო საქმისათვის. ეს არის დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის დუღაბი.

თუ ვინმეს, როგორღაც არასაკმარისად მოეჩვენა გამოთქმული მოსაზრებების არგუმენტაცია, მინდა დაგარწმუნოთ, რომ მათი საფუძველი გაცილებით მრავალრიცხოვანი და მრავალსახაა, ვიდრე ეს წარმოდგენილ მასალებშია. თუ თქვენი სურვილიც იქნება, სრული წარმოდგენისათვის შეგიძლიათ გაეცნოთ მთელ რიგ ადრინდელ პუბლიკაციებს, რომელიც გასულ წელს კრებულის სახით გამოიცა ასეთი დასათაურებით:

**„საკონსტიტუციო ქართველოლოგიის საშიშროება“,**

უახლოეს ხანებში გამოვა მეორე კრებულიც — **„ქართული კონსტიტუციონალიზმის შავი ყუთი“.**

მადლობას მოგახსენებთ მოთმინებისათვის, თუ შეძლებით ყურადღებით გაცნობოდით მასტერკლასის საუბრებს. წარმატება მისურვებია თქვენ საკანონმდებლო საქმიანობაში.



**კეთილი სურვილებით,**

**ოთარ მელქაძე**

**2006 წლის ივნისი-აგვისტო.**

ინფორმაცია

## რუსეთს ახალი წესები დაუდგინა

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო რუსეთის 102-ე ბაზის პერსონალისთვის 9 ოქტომბრიდან ახალ წესებს ადგენს.**

**თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, რუსეთის 102-ე ბაზისთვის მისაწოდებელი სამხედრო ტვირთების და გადასაყვანი პერსონალის, მათი ოჯახის წევრების თანმხლები ჯგუფების სამხედრო ტრანსპორტის ტრანზიტის ორგანიზება ახალი წესებით მოხდება.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, ახალი წესები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის 2006 წლის 31 მარტს ხელმოწერილი შეთანხმების („რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიის გავლით სამხედრო ტვირთებისა და პერსონალის ტრანზიტის ორგანიზების შესახებ“) შესაბამისად დადგინდა.**

**ახალი წესების მიხედვით, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო ვალდებულია 102-ე სამხედრო ბაზისთვის, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე გიუმრიში მდებარეობს, აუცილებელი ტრანზიტის ორგანიზებისთვის მხოლოდ აღნიშნული წესებით იხელმძღვანელოს.**

## მინსკს სავიზო რეჟიმის შემოღება უბრძანეს

**რუსეთს სურს, რომ ბელარუსიამ საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღოს.**

**როგორც რადიოსადგური „ეხო მოსკვი“ იუწყება, რუსეთის საიმიგრაციო ფედერალური სამსახურის დირექტორის მოადგილის მიხეილ ტიურკინის განცხადებით ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს.**

**ტიურკინის განცხადებით, საქართველოს მოქალაქეები ხშირად ჩადიან ბელორუსიაში და შემდეგ იქიდან რუსეთში გადადიან.**

**— ჩვენ რუსეთში არალეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქეთა სამართლებრივ ველში გადაყვანაზე ვმუშაობთ, — განაცხადა ტიურკინმა.**

**ინტერპრესნიუსი**

ხედვა

# ჩვენს ვინაობაზე

გავლენიანი მეწარმე, საღამოს 21 საათის შემდეგ ვენაში ანაგასეში ორმა დაქირავებულმა ქილერმა მოკლა. ორივე მკვლელი ბუდაპეშტში გაიქცა. ორივე დამნაშავე დააკავეს უნგრეთის დედაქალაქში, როდესაც ისინი ფულს უთავბოლოდ ფანტავდნენ. 100 ათასი დოლარი — აი, გასამრჯელო ჩადენილი მკვლელობისათვის“. ორივე მკვლელი, — განაგრძობს ავტორი, — რომლებსაც ამასობაში ვენის სასამართლომ მუდმივი პატიმრობა მიუსაჯა, იყვნენ წევრები შავ სამყაროში დიდად დაფასებული ქუთაისური კლანისა. ამ კლანზე კი წერია: „ისინი ცდილობდნენ, ფართო გავლენა მოეხდინათ პოლიტიკასა და ეკონომიკაზე. ისინი აძლევდნენ ქრთამს ან აშინებდნენ ადამიანებს. იმავდროულად გეგმავდნენ და ახორციელებდნენ კიდეც გატაცებებს, გამოძალვას, მკვლელობებს. ამ გზით მათ მილიონობით დოლარი შეიძინეს და მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მოაქციეს საშინაო და საგარეო პოლიტიკა... კლანის კონტაქტები თავიანთ ქვეყნისა თუ საზღვარგარეთის მთავრობის წევრებთან. სატელეფონო საუბრების მოსმენით, რასაც საფრანგეთის გამომძიებლები ახორციელებდნენ, გამოაშკარავდა, რომ არსებობს კავშირი ტარიელ ონიანსა და სილვიო ბერლუსკონის შორის. ეს ინფორმაცია აგრეთვე გამოაშკარავდა კლანის მეთაურზე ტარიელ ონიანზე საფრანგეთის პოლიციის მიერ ჩატარებული სადაზვერვო პროცესის შედეგად“.

აქვეა ხაზგასმული ბერლუსკონის პერსონა და ნათქვამია: „1994 წლის დამდეგს მილიარდების მქონე ერთ-ერთი ტელეკომპანიის მფლობელმა პოლიტიკაში შესვლა გადაწყვიტა და ტელეიმპერიის მხრიდან ენერგიული მხარდაჭერის წყალობით, იტალიის პრემიერ-მინისტრი გახდა. მოგვიანებით, როცა უკვე ცნობილი შეიქნა მისი მაქინაციები, მას უნდა დაეტოვებინა პოსტი, აფიშირებულმა დრამამ, რომელმაც დაგვანახა, თუ როგორ შეიჭრა განგსტერი სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრში და დამკვიდრებას ცდილობდა... ამაოდ ჩაიარა. ბერლუსკონის სახელი უკავშირდება ინტრიგებს და პოლიტიკურ მაქინაციებს“.

ასე გადაება ერთმანეთს დავით სანიკიძის, ტარიელ ონიანისა და ბერლუსკონის სახელი პირველის მკვლელობასთან დაკავშირებით. თუმცა წიგნში დავით სანიკიძეზე კიდევ უფრო მეტი ითქვა: „ვენაში მოკლული დავით სანიკიძე სრულიადაც არ იყო ღირსეული ადამიანი. ეს იყო ქართული მაფიის თავკაცი, რომელიც ვაჭრობდა იარაღით. ე. ი. ადამიანი, რომელსაც ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში ბევრი მეგობარი ჰყავდა. მეგობრები საქართველოში, რუსეთსა თუ ავსტრიაში. არსებობს ფოტო, რომელზეც იგი გადაღებულია ბორის ელცინთან (საშინაო ტანსაცმელში. მეტად შინაურულ სიტუაციაში). ვენის შინაგან საქმეთა პატაკში შემდეგი წერია: „რუსეთის საინფორმაციო სამსახურის თანახმად, დავით სანიკიძეს ახლო კავშირი ჰქონდა იგორ გაიდართან, რუსეთის ადრინდელ პრემიერ-მინისტრთან, ისევე როგორც ანატოლ ჩუბაისთან...“



რაც შეეხება თავად საქართველოს, წიგნის მიხედვით, იქაურ ცხოვრებას მნიშვნელოვანწილად წარმართავდნენ კრიმინალი თავკაცები: „ისინი შემოსავალს სხვადასხვა ბიზნესიდან იღებენ. მაგალითად, ნარკოტიკებით ვაჭრობიდან. ამ საქმეში განსაკუთრებით გაწვრთნილი და მოხერხებულია ა. წ. „მხედრიონი“. ესენი წარმოადგენენ ერთი პიროვნების — იოსელიანის გუნდს (სამხედრო ნაწილს. დასავლეთში მისი პარტნიორები არიან „რუხი მგლები“) — თურქული რადიკალ-მემარჯვენეთა მოძრაობა.

წიგნის ეს თავი აგრძელებს ქართული პრობლემის აღწერას და მოვლენებს ასე გადმოსცემს: „იოსელიანმა, კიტოვანმა და ასლან აბაშიძემ ერთმანეთში გაიყვეს საქართველო. მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორია გადაიქცა ნარკოტიკებით, ასევე უძრავი ქონებით სავაჭრო ადგილად, ნავთობით სპეკულაციის და ალკოჰოლის კონტრაბანდის მხარედ. იოსელიანმა ფირმა „კოკა-კოლასთან“ ერთად გამოუშვა ახალი მარკის არაყი „სტალინი“. ერთ დროს იოსელიანი და სხვა მისთანებიც სახელმწიფოს ამჟამინდელ მეთაურს დაეხმარენ, რათა იგი ხელისუფლებაში მისულიყო... იოსელიანი, რომელიც მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, 1996 წლის აპრილში დააპატიმრეს. ოფიციალური დასაბუთება იყო ნარკოტიკებით ვაჭრობა (? — **ი. ბ.**) პარიზის ჟურნალი ამაზე კომენტარს აკეთებდა: „საქართველოში მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებები ცნობილ პირთაგან ნიშანდობლივია. მის დაპატიმრებას, როგორც ჩანს, კავშირი აქვს შევარდნაძეზე განხორციელებულ თავდასხმასთან (1995 წ. 29 აგვისტოს).

წიგნში ხაზი ესმევა შემდეგს: „ამ ყველაფერს კვლავ მივყავართ დავით სანიკიძესთან. პოლიციის ცნობით, იგი თანამშრომლობდა ჰეროინით მოვაჭრე ტაილანდურ ბანდებთან, აგრეთვე კოკაინით მოვაჭრე ბრაზილიურ ჯგუფებთან, და, რაც საოცარია, რუსული საიდუმლო სამსახურის პროტექციით. ეჭვგარეშეა, რომ სანიკიძე იყო ძლიერ გავლენიანი პირი. მას ოფიციალური საბაბით შეეძლო შესულიყო საელჩოში ვენაში თუ საქართველოში, სადაც იმყოფებოდნენ მაღალი რანგის პოლიტიკური, ეკონომიკური მაგნატები. ვენაშიც იგი აგრეთვე ხშირად იწვევდა დიპლომატებს და ფინანსურ ბოსებს. ასეთი ადამიანებით იყო გარემოცული“.

წიგნის ავტორი დასძენს: „დასავლეთის საინფორმაციო სამსახურები ფლობენ დეტალურ ინფორმაციას პოლიტიკისა და კრიმინალის ურთიერთკავშირის შესახებ მრავალ ქვეყანაში. დასავლეთის მმართველმა ორგანოებმა ზუსტად იციან ვისთან აქვთ საქმე“.

ერთი წერილისთვის წიგნიდან ამდენი ამონარიდი, დაგვეთანხმებით, ძალზე ბევრია, ბევრია და თანაც მძიმე. მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, ის უნდა გუშინდელში დარჩეს და გაგვიცნობიეროს, რაოდენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თუ როგორ ახასიათებენ, ფიქრობენ შენს სამშობლოზე, განსაკუთრებით ჩვენთვის — მცირერიცხოვანი და ძველი ცივილიზაციის ერისთვის, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საჭიროებისას გარე პოლიტიკური ინტერესები გვერდს აუვლიან ჩვენს ამ შავად წარმომდგენ სახეს და დაივიწყებენ.

ჩვენი, როგორც „უისტორიო, უკულტურო ხალხის“ სტერეოტიპის შექმნის ხავსმოკიდებული რუსული „რედაქციების“, ან მისი სხვა ჯურის უნიჭო დღევანდელი მიმდევრების მცდელობები შეგვიძლია „მაღალი ტემპერატურის“ გარეშეც დავძლიოთ. მაგრამ კრიმინალურ-დესტრუქციული ქვეყნის იმიჯის გაქარწყლებას აგრერიგად ვერ შევძლებთ. გარე პოლიტიკურ ინტერესებს ასეთის შექმნა არ გაუჭირდება.

ამდენად, საქართველოს კულტუროლოგიური განზომილებები პოლიტიკურ განზომილებადაც რომ იქცევა, ამას საგანგებო მტკიცება არ სჭირდება. ჩვენი ერის წინაშე დასმული კითხვა — შევალთ თუ არა ევროპულ თანასაზოგადოებაში — გლობალურად გადასაწყვეტი ამოცანაა. რომ უნდა შევიდეთ, ეს უალტერნატივო ორიენტაცია და არჩევანია.

შედეგის გარანტები ჩვენ თავად ვიქნებით, თუ ეროვნული ინტერესები ჩვენივე ეროვნული ღირებულებებით განმტკიცდება, რადგან სწორედ ამ ღირებულებებით განისაზღვრება დღევანდელ სამყაროში სახელმწიფოებრივ-კომუნიკაციური ქცევის ჩვენეული შესაძლებლობანი. სწორედ ეს შექმნის ჩვენს რეპუტაციებს (თუ იმიჯსძ და გარე სტერეოტიპიც თავისთავად დაიძლევა.



**ინგა ბახტაძე,**

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კულტუროლოგი.**

ეკონომიკა

# პოლიტიკურ პარტიებს მცირე მეწარმეობა ფეხებზე ჰკიდიათ?

**მცირე მეწარმეობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედია – აგერ, რა ხანია, გვესმის ყოველი მხრიდან. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ამან ასახვა ვერ ჰპოვა: მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ამ დარგის აყვავებას გვიმტკიცებენ, თვით მეწარმეები სკეპტიკურად შლიან ხელებს – აყვავებას ვინ ჩივის, ოდნავი ხელშეწყობაც არა გვაქვსო. სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობდნენ მცირე მეწარმეთა სადისკუსიო კლუბის მესვეურები ამას წინათ გამართულ საგანგებო კონფერენციაზე. „როგორ აისახება მცირე მეწარმეობა პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებში?“ – ასე იყო საკითხი დასმული.**

კონფერენციის მოწვევამდე სადისკუსიო კლუბის წარმომადგენლები შეხვდნენ და ესაუბრნენ საარჩევნო ბლოკის „დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი“, ლეიბორისტული პარტიის, პოლიტიკური პარტიის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „ახალი მემარჯვენეების“ ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლებს გია ხუხაშვილს, კახა ძაგანიას, გია ცაგარეიშვილსა და ირაკლი იაშვილს, რომელთაც ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს, რომ „დღეს სახელმწიფო პოლიტიკა არანაირად არ უწყობს ხელს მცირე მეწარმეობის განვითარებას“. ვფიქრობდით, რომ ზემოხსენებული ბლოკებისა და პარტიების წარმომადგენლები კონფერენციაზე უფრო ფართოდ და არგუმენტირებულად დაადასტურებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, ილაპარაკებდნენ სამომავლო გეგმებზე, მაგრამ... მოლოდინი არ გაგვიმართლდა იმ „უბრალო“ მიზეზით, რომ არც ერთი მათგანი არ გამოცხადდა – კონფერენცია უმათოდ ჩატარდა. ეს დასანანია მით უფრო, რომ ასეთი პრინციპული საკითხის განხილვა არჩევნების წინ მოხდა.

„რა ვაკეთოთ?“ – ეს აზრი გასდევდა კონფერენციაზე გამოსული 15 ორატორის მოხსენებებს და მიმოხილვებს. ამჟამად, როგორც ოფიციალური სტატისტიკა იუწყება, საქართველოში რეგისტრირებულია 100 ათასზე მეტი სამეწარმეო სუბიექტი. აქედან 80 პროცენტი მცირე საწარმოა. 1999 წლიდან დღემდე მათი რიცხვი თითქოს გაორმაგებულა, მაგრამ ხელისუფლება ამ ფაქტს ყურადღებას არ აქცევს – საკანონმდებლო ბაზა არანაირ რეაგირებას არ ახდენს მცირე მეწარმეთა საქმიანობის გაუმჯობესებაზე და მათ მსხვილი ბიზნესის თანაბრად ბეგრავს. საგადასახადო კოდექსში შეცვლაშესწორებები მცირე მეწარეთა ინტერესების გაუთვალისწინებლად ხდება. მცირე მეწარმეობას ლობისტი არც პარლამენტში გამოუჩნდა და არც ხელისუფლებაში, მცირე მეწარმეებს კი არ გააჩნიათ სათანადო სახსრები, რათა არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა და თავიანთ თავს თვითონ მიხედონ. ამიტომაც გადაწყვიტეს, რომ მცირე მეწარმეთა მხარდასაჭერად ჩამოყალიბდეს კოალიცია. მასში გაერთიანების სურვილი უკვე გამოხატა 17-მა ორგანიზაციამ.

კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა ფიქსირებულ გადასახადზე – მცირე მეწარმეობის განვითარების სერიოზულ ბერკეტზე. როგორც გამომსვლელებმა აღნიშნეს, ფიქსირებული გადასახადის შემოღებას ეწინააღმდეგება პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რაც ცოტა უცნაურია, ვინაიდან მეწარმეთა მტკიცებით, ფიქსირებული გადასახადი ხელს უწყობს ბიუჯეტის შემოსავლების გადიდებას. ამის მიზეზი ერთია: მცირე მეწარმეს აღარ სჭირდება შემოსავლების დაფარვა, ე.წ. „მარცხენა“ ხარჯების გაწევა. ფიქსირებული გადასახადის უარყოფა იმათ აძლევს ხელს, ვინც ასეთი „მარცხენა“ შემოსავლებით გვარიან თანხებს შოულობს.

მრეწველთა მიმართ გამოთქმული საყვედური, მცირე მეწარმეებს პარლამენტში ძლიერი ლობისტი არა ჰყავთო, მტკივნეულად აღიქვა სადისკუსიო კლუბის თავმჯდომარემ გია ჟორჟოლიანმა და თავისი პროტესტი ემოციურადაც გამოხატა, მრეწველებს ნურაფერში ადანაშაულებთო. მისი „აღშფოთება“ იმდენად უკიდურესი იყო, რომ მან სხდომა ხმაურით დატოვა. „მაგას ისევ პარლამენტში ჰგონია თავისი თავი“, – გაისმა რეპლიკები, ბოლოს კონფერენცია ისევ ჩვეულ კალაპოტში ჩადგა, თუმცა სხვადასხვა ხასიათის საყვედურები მმართველი წრეების მიმართ არ განელებულა. – ცოტა გულგატეხილობა შემოგვეპარა, მაგრამ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, – განაცხადა საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარემ ანზორ საკანდელიძემ. სადისკუსიო კლუბის წევრმა ანზორ ბაბუხადიამ ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი წარმოების განვითარების აუცილებლობაზე. ვფიქრობ, საჭიროა მცირე მეწარმეთა მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა შეხვედრა, რათა სათანადო გადაწყვეტილების საფუძველზე სოფელიც გადავარჩინოთ და ქვეყანასაც ბევრი ვარგოთ.

მწვავე პრობლემები დააყენეს საქართველოს მეწარმეთა კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა, მცირე მეწარმეთა კლუბის მენეჯერმა თამაზ ვაშაკიძემ, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ფედერაციის თავმჯდომარემ ოლეგ შატბერაშვილმა, შპს „წიდას“ ხელმძღვანელმა ოთარ დოლიძემ, კორპორაცია „რეილვეისის“ წარმომადგენელმა მერაბ კვინტრაძემ, საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო პალატის გენერალურმა დირექტორმა გია კაკაბაძემ, დამოუკიდებელმა ექსპერტმა გურამ სიმონიშვილმა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პასუხისმგებელმა მუშაკმა მაგდა ბოლოთაშვილმა, მეწარმე გია ელიაშვილმა, მრეწველთა კავშირის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გოგი კაპანაძემ და სხვებმა.

– მეწარმეთათვის ხელსაყრელი პირობები იქმნება – არაერთხელ ბრძანა ქვეყნის პრეზიდენტმა.

– მცირე მეწარმეობა კვდება, – აცხადებენ თვით მცირე მეწარმეები. აცხადებენ და ამის სათქმელად სათანადო საფუძველიც აქვთ.

შეშფოთების საფუძველს კონფერენციის შედეგებიც იძლევა. ვითომ, არ შეიძლება ვითარების გამოსწორება? ალბათ შეიძლება. ოღონდ, თუ ხელისუფლების ნება იქნება.

**ელგუჯა ლებანიძე.**

ინფორმაცია

## ქართული ტელევიზიების წინასაარჩევნო ეთერს უარყოფითად აფასებენ

**ეუთოს მისიის მედია-მონიტორინგის ჯგუფი ქართული ტელევიზიების მუშაობას არჩევნებთან დაკავშირებით უარყოფითად აფასებს.**

**ამის შესახებ ეუთომ შუალედურ დასკვნაში რამდენიმე ძირითადი მიმართულება გამოყო. ეუთო მიიჩნევს, რომ მედიასივრცეში საარჩევნო კამპანიას დღეისთვის უმნიშვნელო დრო აქვს დათმობილი და საარჩევნო ღონისძიებები ხანმოკლედ და იშვიათად შუქდება. იმავდროულად, დასკვნაში აღნიშნულია, რომ მედიაში უდიდესი დრო ეთმობა სახელმწიფო თანამდებობის პირების გამოსვლებს, რომელიც სახელისუფლებო პარტიის კამპანიაში მონაწილეობენ.**

**„თბილისის მერიის საქმიანობას დიდი დრო აქვს დათმობილი სხვადასხვა სახით. მათ შორის, ე.წ „თბილისური ამბების“ სარეკლამო კამპანიით, რომელსაც მასიურად აშუქებენ ცენტრალური და ადგილობრივი ტელევიზიები“, – ნათქვამია დასკვნაში.**

**ეუთო აღნიშნავს, რომ „რუსთავი-2“ საეთერო დროის 36 პროცენტს თბილისის მთავრობას, ხოლო 30 პროცენტს პრეზიდენტს უთმობს, „რომელიც იმავდროულად პარტიის თავმჯდომარეა“. ანალოგიური მონაცემებია გამოქვეყნებული საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებითაც.**

**„სახელისუფლებო ამბების დაფარვის უდიდესი ნაწილი ორივე ტელევიზიაში მხოლოდ პოზიტიურია. შედარებით კრიტიკულია ბეჭდვითი მედია, თუმცა მათი დაფარვა გაცილებით მცირემასშტაბიანია, დაბალი ტირაჟების გამო“, – ნათქვამია დასკვნაში.**

**ინტერპრესნიუსი**

## ეუთოს არაობიექტურობაში ადანაშაულებენ

**ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის კარელ დე გიუხტის მიერ გუშინწინ გაკეთებული განცხადებით უკმაყოფილო ე. წ. სამხრეთ ოსეთის მხარე უკმაყოფილებას გამოთქვამს.**

**ოსური მხარე ეუთოს არაობიექტურობაზე საუბრობს და მიიჩნევს, გიუხტი საგანგებოდ იბრმავებს თვალს.**

**ოსური მხარის განმარტებით, გიუხტმა გუშინწინ გაკეთებული განცხადებით, რომ საერთაშორისო საზოგადოება სამხრეთ ოსეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებს არ ცნობს, საკუთარი ტენდენციურობა კიდევ ერთხელ დაადასტურა.**

**ოსური მხარე მიიჩნევს, რომ გიუხტი საგანგებოდ „იბრმავებს თვალს“ და როგორც ჩანს, მისთვის თვალის ახელის მიზნით ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს და მას საქართველოს მიერ „სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ნუსხას წარუდგენს“.**

**გიუხტისათვის წარდგენილის ნუსხა 11 პუნქტისაგან შედგება. ბოლოს კი დასძენენ, რომ ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება და იმედოვნებენ, რომ გიუხტის ტენდენციურობასა და არაობიექტურობას სიმართლე და სიტუაციის რეალური აღქმა მალე შეცვლის.**

**ХИ-ЭЙБ-ЭНИ.**

გაჭირვება მიჩვენე და...

# წიდის კარიერის გენერლები

## სამუშაო, რომლის შესრულებისას ადამიანები ცოცხლად იმარხებოდნენ...

**ჩვენ „მანიების“ ეპოქაში ვცხოვრობთ. სულ ცოტა ხნის წინათ გავრცელდა უცნაური ტერმინი „სკვერომანია“, რომელიც, ნახევრად ხუმრობით, ბაღების, სკვერებისა და შადრევნების გამორჩეულ სიყვარულს ნიშნავს.**

**უახლოეს წარსულში, როცა ქვეყანა შიმშილის ზღვარზე იყო და კაცს შავი პურიც კი სანატრელი ჰქონდა, იმერეთში, ზესტაფონის რაიონში, ერთი, მეტად საინტერესო „მანია“ გავრცელდა. „წიდომანია“ – სხვაგვარად ვერც გადმოსცემს კაცი მის შინაარსს.**



– საქმე ისაა, რომ ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, წიდის ნარჩენებში ე. წ. „მეტალს“ ეძებდა, რომელიც ტონობით გაჰქონდათ უცხოეთში ამ საქმეზე დაგეშილ „კომერსანტებს“. ეს იყო კატორღული სამუშაო, რომელშიც უსახსრობით გაწამებულ მოსახლეობას ჩალის ფასს უხდიდნენ. ლითონზე „მონადირეს“ ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დაბნელებოდა დღე – მიწა ჩამონგრეულიყო და საკუთარი ხელით გათხრილ ორმოში ცოცხლად ჩაემარხა. რამდენიმე ადამიანი დაიღუპა კიდეც ასეთი საშინელი სიკვდილით.

რაც შეეხება ლითონს, ის სხვა არაფერია, თუ არა წიდის ნარჩენი, რომელიც ძალზე მცირე ოდენობით შეიცავს ლითონს, სილიკომანგანუმსა და ფერომანგანუმს. ეს ნარჩენები, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან გამოჰქონდათ და მდინარე ყვირილის ნაპირას ჰყრიდნენ. უსახურ „ქვებს“ კარგა ხნის მანძილზე არავინ აქცევდა ყურადღებას, მაგრამ დადგა დუხჭირი 90-იანი წლები, ვილაც მიხვდა, რომ ეს „ქვები“ შეიძლებოდა დოლარების წყაროდ ქცეულიყო და დაიწყო ნამდვილი შეჯიბრი: ვინ უფრო მეტი რაოდენობის ლითონს მოიპოვებდა და საზღვარგარეთ გაიტანდა.

ავთანდილ მაღლაკელიძე ზესტაფონის რაიონის მკვიდრია. ისიც „წიდომანიის“ მსხვერპლი გახდა. როგორც თვითონ ამბობს, უსამართლობასთან ბრძოლაში დაკარგა ყველაფერი: ჯანმრთელობაც, სიმშვიდეც, მდგომარეობაც, მაგრამ მაინც ვერ გატეხეს...

**– ბატონო ავთანდილ, მოგვიყევით, როგორ გაჰქონდათ რაიონიდან ე. წ. „მეტალი?“**

– გაჰქონდა ყველას: „მხედრიონს“, მაშინდელ ადგილობრივ ხელისუფლებას, გაჰქონდათ კერძო პირებსაც... ჩვენი რაიონიდან იმდენი ნარჩენია გაზიდული, რომ, ეს ყველაფერი საქმეს რომ მოხმარებოდა, ახლა აქაურობა აყვავებული უნდა იყოს, მაგრამ რაც არის, ყველა კარგად ვხედავთ.

თავიდან მთავარი მომხმარებელი თურქეთი იყო, მაგრამ აქ დიდი აფიორა დატრიალდა: ლოდებს ვერცხლისფრად ღებავდნენ, თითქოს მთლიანად ლითონისა იყო. თურქები მალე მიუხვდნენ ჩვენებს ამ თაღლითობას. მაშინ უამრავი ადამიანი დაზარალდა, ბევრი ოჯახი ჩავარდა ვალში... თურქეთის შემდეგ რუსეთშიც დაიწყეს გატანა. ყველამ იცის, რომ ლითონი რაიონიდან დღესაც გააქვთ.

**– თქვენ როგორ გახდით ამ პროცესის მონაწილე?**

– ფირმა „საირხეს“ მფლობელი ვიყავი. 1992 წლიდან მდინარე ყვირილის ნაპირზე გავხსენი ღია ტიპის ბაზრობა „თამარი“. მაშინ ეს ადგილი მთლიანად გადათხრილი იყო, ყველას ეგონა, რომ „მეტალი“ აქ აღარ არსებობდა. თუმცა, მერე აღმოჩნდა, რომ რაც დარჩა, ისიც ფასეული ყოფილა და ჩემი ბაზრობაც საკმაოდ სარფიან ადგილზე მდებარეობდა. 9-ჯერ წამართვეს, მილუქავდნენ, რევიზიას რევიზიაზე გზავნიდნენ. მაღაზიაც დამილუქეს, რომელიც აქვე, ახლოს მაქვს. აქაურობა უკვე ჩემს საკუთრებად აღარ ითვლება. შვიდი წელიწადი მოვუნდი შევარდნაძის რეჟიმთან ბრძოლას, თუმცა არც ახლა ვარ უკეთეს დღეში. ნერვიულობისგან გული დამიავადმყოფდა, იმდენი საშუალებაც კი აღარ მაქვს, რომ შუნტირების ოპერაცია გავიკეთო. არადა, ეს ჩემთვის აუცილებელია.

სამი შვილის მამა ვარ, უმცროსი 4 წლისაა. მგონი დიდი ხნის სიცოცხლე აღარც დამრჩენია. ერთადერთი, რაზეც ვდარდობ ესაა: ვინ მიხედავს ჩემს შვილებს?

**– ნუთუ სამართალი ვერსად იპოვეთ?**

– რაიონში ვერაფერს გავხდი, ქუთაისში უფრო მომაქციეს ყურადღება. მეტს ხომ არაფერს ვითხოვ: არ დავეძებ ამ ბაზრობას, თუმცა ჩემი ხარჯებით არის აშენებული, მაღაზია მაინც დამიბრუნონ, რომელიც უსამართლოდ დამილუქეს. წერილი მივწერე პრეზიდენტს, იუსტიციის სამინისტროშიც დევს ჩემი საბუთები... თუ სიმართლეს ვერ მივაღწიე, ჩამოვალ თბილისში და ჩემს შვილებთან ერთად დავჯდები პარლამენტის შენობის წინ, იქნებ ვინმემ მაინც მომაქციოს ყურადღება.

**– კიდევ თუ დარჩა რაიმე გასატანი?**

–რაც დარჩა, სულ მცირე, 10 წლის მანძილზე მაინც შეინახავს ზესტაფონს – ასეთია კომპეტენტური ხალხის აზრი. ახლაც ეზიდებიან: ვიცი, რომ ამას წინათ 60 ვაგონი „ნარევი“ გაიტანეს, 27 ათასი ტონა მარტო ფეროშენადნობთა ქარხანაშია შეზიდული ბოლო ხანებში.

**– მითხრეს, ხშირი იყოო ტრაგიკული შემთხვევებიც...**

– ვინ იცის, რამდენი ოჯახი გამწარდა. ჩემს ყოფილ ბაზრობაზე მუშაობს ერთი ქალბატონი – მერი კაპანაძე. მისი მეუღლე ჩამოშლილმა მიწამ ქვეშ მოიყოლა და ცოცხლად ჩამარხა, ვიცნობ 35 წლის ახალგაზრდა კაცს, რომელიც სწორედ წიდაში მუშაობისას დახეიბრდა, წელს ქვევით არის მოწყვეტილი. დაახლოებით 13-14 ადამიანი მაინც დაიღუპა. ეს მე რაც ვიცი, თორემ ზუსტი მონაცემებით არავინ დაინტერესებულაო...

* * *

**ვუსმენდი ავთანდილ მაღლაკელიძეს და ვფიქრობდი არა მხოლოდ ამ ადამიანთა ტრაგედიაზე, არამედ იმაზეც, რომ წლების შემდეგ ჩვენივე ხელით გაზიდული სიმდიდრე ცეცხლის ფასად უნდა შეიძინონ ჩვენმა შვილებმა ვილაც უცხოელისგან, რომელსაც საქართველო მარტო ხინკლისა და ხაჭაპურის ხათრით არ შეჰყვარებია...**

აი, მაშინ კი, მართლაც გვიან იქნება თითზე კბენანი...

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ გლობუსი

# ქვეყნის მამოძრავებელი ძალა – ენერგეტიკა

***არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საქართველო-რუსეთის მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს ისე ღრმად არასოდეს შესდგომია წყალი, როგორც დღეს. ჯაშუშობისათვის რუსი სამხედრო მოსამსახურეების დაპატიმრებას რუსეთის მკვეთრი რეაქცია მოჰყვა, ფაქტობრივად, დიპლომატიური კავშირების თითქმის გაწყვეტით, საქართველოში რუსეთის ელჩის სამშობლოში გაწვევით, საელჩოს თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების რუსეთში გამგზავრებით. საელჩოს ფუნქციის საკონსულოს 2 თანამშრომლის დონემდე დაყვანა დიპლომატიური ურთიერთობის არქონის ტოლფასია. საკონსულო საკითხებით დაკავებული დიპლომატი არ არის პასუხისმგებელი ქვეყნებს შორის არსებულ პოლიტიკურ-დიპლომატიურ საკითხებზე.***

რუსული მხარე კატეგორიულად უარყოფს რუსი სამხედროების მიმართ წაყენებულ ბრალდებებს და მიიჩნევს, რომ ყოველივე პროვოკაციის ნაყოფია. რუსეთი მუქარასაც გამოხატავს. ზოგი რუსი პოლიტიკოსი ამასწინანდელ ისრაელ-ლიბანის მაგალითს იშველიებს იმის შეხსენებით, რომ ისრაელისათვის 2 ჯარისკაცის დაკავებაც საკმარისი გამოდგა ლიბანში შეჭრის და ნახევარი ლიბანის დანგრევისათვის; ზოგი თურქეთ-კვიპროსის ამბავს იხსენებს, როდესაც თურქეთმა არავინ არაფრად ჩააგდო და ოკუპაცია გაუკეთა კვიპროსის ჩრდილოეთს. თურქეთის მიმართ იმ დროს საკმაო საყვედურები გამოითქვა, მაგრამ ამით თურქეთის განწყობა არ შეცვლილა. ის დღემდე ინარჩუნებს პოზიციებს.

არის უფრო მკვეთრი განცხადებებიც – რუსეთიდან ქართული დიასპორის გამოძევების, გაზის, ელექტროენერგიის გადაკეტვის შესახებ და სხვა, მაგრამ არის ისეთებიც, რომელთა მიხედვით რუსეთის მხრიდან არ უნდა ჰქონდეს ადგილი მკვეთრ ემოციებს, შენარჩუნებულ უნდა იქნას სიმშვიდე და ცივი გონებით, ყოველგვარი აგრესიულობის ან აგრესიის გარეშე მოგვარდეს საკამათო საკითხები.

ოფიციალური რუსეთი მიიჩნევს, რომ საქართველოს აშშ უმაგრებს ზურგს და ამის დასტურად გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა მოჰყავს, რომლის დროს აშშ-ის წარმომადგენელი საქართველოს საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრის წინააღმდეგი წავიდა.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებამდე ბევრი და მძიმე სამუშაო იქნება ჩასატარებელი. წინ ზამთარია და თუ რუსეთმა აამოქმედა ენერგეტიკული ბერკეტი, იოლი არ იქნება ზამთრის გადატანა.

1992 წლიდან მოყოლებული საქართველოს მოსახლეობა მრავალი კითხვით და შიშნარევი ფიქრით ელოდება ზამთრის დადგომას, ისევ ხომ არ გამეორდება წლევანდელი იანვარ-თებერვლის კრიზისი? გვექნება თუ არა გაზი, ელექტროენერგია, ნავთი, ბენზინი? გაიაფდება თუ არა ბენზინი? და სხვა.

ისე, ბენზინთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველო მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურიდან ერთობ კარჩაკეტილად ცხოვრობს, დაახლოებით ისე, როგორც



გასული საუკუნის 60-იანი წლების ალბანეთი. ხელისუფლების ახლობლებიდან ბიზნესმენებად გამწესებული ნავთობბარონები ჯიუტად ამტკიცებენ მოჭარბებული სიხარბით ნაკარნახევ ვერსიას, ბენზინის ფასებთან დაკავშირებით, ქართველ ბენზინის შემომტანთათვის ბიზნესმენის დარქმევა გადაჭარბებულია. მათ ალბათ გაცილებით უკეთ მიესადაგებათ სიტყვა „სპეკულანტი“, როგორც საბჭოთა კავშირის დროს. დღევანდელი ბიზნესისათვის საბჭოთა ტერმინოლოგია ზედმიწევნით შესაფერია. რა ხანია ნიუიორკის ბირჟაზე ნავთობის ფასმა მნიშვნელოვანად დაიკლო, რაც მოულოდნელი და გასახარი მოვლენაა, მაგრამ არა საქართველოსთვის, სადაც ფასები ჯიუტად ძველი, გაძვირებული რჩება. აქაოდა იმდენი ნავთობი აქვთ შეძენილი მაღალი ფასების დროს, რომ ფასების დაკლება ჯერჯერობით შეუძლებელიაო. რა გაეწყობა, საქართველოს საკუთარი საბაზრო ეკონომიკა აქვს, საკუთარი კანონებით და სიხარბით აღსავსე.

ენერგეტიკული საკითხების მოუგვარებლობა ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის საწინდარია. ბენზინზე ფასების მატებამ ეკონომიკურად ძლიერ ამერიკის მოსახლეობასაც ამოაღებინა ხმა. ნავთობის გაძვირებამ პირდაპირი იერიში მიიტანა ავტოსამრეწველო გიგანტებზე „ფორდზე“, „დაიმლერ-კრაისლერზე“, „ჯენერალ მოტორსზე“. მათ მიერ გამოშვებულმა ავტომანქანებმა ვერ გაუძლეს ეკონომიურ იაპონურ ნაწარმს და განადგურებისაგან თავის დაღწევის მიზნით სწრაფად იწყეს წარმოების შემცირება, ქარხნების დახურვა, მუშახელის დათხოვნა.

ენერგეტიკული პრობლემები პირდაპირ თუ ირიბად აისახება ქვეყანათა ეკონომიკურ სოციალურ მდგომარეობაზე, სიღარიბის მაჩვენებელზე. დღეს მსოფლიოს ღატაკთა არმია დედამიწის მოსახლეობის მეხუთედს შეადგენს. გაეროს დასკვნით იმისთვის, რომ ეს არმია შემცირდეს, დიდი შემოსავლების მქონე სახელმწიფოებმა უნდა გაუზარდონ დახმარება განვითარებად ქვეყნებს. გაეროს მონაცემებით, მსოფლიოს 314 მილიონი ადამიანი დღიურად, მხოლოდ 1 აშშ დოლარის შემოსავლით არსებობს, ხოლო 2,7 მილიარდისათვის დღიური შემოსავალი – 2 დოლარს არ სცილდება. გაეროს მოხსენებაში მსოფლიოს სოციალური ვითარების შესახებ 2005 წლისათვის, აღნიშნულია ბოლო 20 წლის განმავლობაში ქვეყნებს შორის უთანასწორობის გაზრდის შესახებ. გარდა ამისა უთანასწორობა გაზრდილია ქვეყნებს შიგნითაც. მდიდრები კიდევ უფრო გამდიდრდნენ, ხოლო ღარიბები გაღარიბდნენ. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკურმა აღმავლობამ ვერ უზრუნველყო სიდუხჭირის ლიკვიდაცია. გასაკვირი ის არის, რომ ღარიბები კიდევ უფრო გაღარიბდნენ ისეთ ქვეყანაშიც, როგორიც აშშ-ია. მონაცემების მიხედვით, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 18 პროცენტი 1 პროცენტის ხელშია. ამერიკელი ეკონომისტების ტომას პიკეტისა და ემანუელ საგზის გამოთვლით, ყველაზე დაბალ ანაზღაურებად ამერიკელთა 90 პროცენტის შემოსავალი 1973-დან 2000 წლამდე 7 პროცენტით შემცირდა, ხოლო 1 პროცენტი ყველაზე მდიდარ ამერიკელთა შემოსავალი 148 პროცენტით გაიზარდა. არცთუ უპრობლემო ამერიკა მილიარდობით დოლარს ხარჯავს ავღანეთსა და ერაყში ამბიციური ჰეგემონიზმისათვის, უდიდეს დაფინანსებას იმეტებს მსოფლიო პირველობის შენარჩუნების მიზნით პოსტსაბჭოურ სივრცეში პროამერიკული რევოლუციების ორგანიზებაში.

ენერგეტიკის საკითხები ძირითადი იყო სანკტ-პეტერბურგის „დიდი რვიანის“ სამიტზე, რომელმაც ვითარების შესაცვლელად გზებიც დასახა. სამიტის თხოვნით, ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ შეიმუშავა მსოფლიოს ენერგეტიკული განვითარების პროგრამა 2050 წლამდე. სააგენტოს ექსპერტები დაბეჯითებით მოუწოდებენ მშენებლობაში, მრეწველობაში, ტრანსპორტზე ენერგეტიკული ეფექტიანობისაკენ.

იხ. 8 გვ.

◉ ზუგდიდი

# სამედიცინო დაცვის დღეები

**ამ დღეებში ქალაქ ზუგდიდში მედიცინის მუშაკთა დაცვის ასოციაციამ „გლობალ ფონდის“ ეგიდით და საქართველოს პირველი ლედის ქალბატონი სანდრა რულოვსის პატრონაჟით ჩაატარა ლტოლვილი და ადგილობრივი მოსწავლე-ახალგაზრდობის სპარტაკიადა.**

სპარტაკიადა გახსნა ასოციაციის პრეზიდენტმა ლევან მამალაძემ, მონაწილეებს მიესალმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ტატა ჭანტურიძე და რეგიონის სპორტის კურატორი რევაზ ჩიხლაძე. სპარტაკიადა ჩატარდა ხუთ სახეობაში – მძლეოსნობაში, მკლავჭიდში, შაშში, ჭადრაკსა და ჭიდაობაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის პროგრამის ფარგლებში.

სპარტაკიადა ქ. ზუგდიდის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობდა ოთხი დღის განმავლობაში, მედიცინის მუშაკთა დაცვის ასოციაციის წევრის ნატო ბოჯგუას ხელმძღვანელობით.

გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი პრიზები.

ასევე ამავე პერიოდში ბატონ ლევან მამალაძის ინიციატივით და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის ზაზა გოროზიას უშუალო ხელშეწყობით ასოციაციის ექიმები – მზია საძაგლიშვილი, მაგდა გეზელიშვილი, შორენა ტყემალაძე, არფენიკ მანუკიანი, რუსუდან სიხარულიძე და გოჩა ჭიჭინაძე – ოთხი დღის განმავლობაში ატარებდნენ ლექცია-სემინარებს აივ შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციაზე, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის პროგრამის ფარგლებში.

ამასთან, აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დალილა ხორავას ხელმძღვანელობით ზუგდიდში და ზუგდიდის რაიონში კომპაქტურად ჩასახლებულ ლტოლვილებს ადგილზე ჩაუტარდათ უფასო პროფილაქტიკური გასინჯვა. თანაც ავადმყოფებს უფასოდ გადაეცათ მედიკამენტები.

* * *

მაღალ ორგანიზებულ დონეზე გაიმართა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სამედიცინო დაწესებულებათა ხელმძღვანელების კონფერენცია თემაზე: „სამედიცინო სექტორის რეფორმების კონცეფცია“. კონფერენცია გახსნა ზუგდიდის ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა დავით ფიფიამ. მოხსენებით „სამედიცინო სექტორის რეფორმები“ გამოვიდა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ტატა ჭანტურიძე. კონფერენციას ესწრებოდნენ მედიცინის მუშაკთა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი ლევან მამალაძე, რომელმაც ასოციაციის სახელით საპატიო სიგელები გადასცა რეგიონის მოწინავე ექიმებს, ხოლო რეგიონში ჯანდაცვის სისტემაში გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის „საპატიო მედიკოსის“ მედლით დააჯილდოვა მხარის პრეზიდენტის რწმუნებული ზაზა გოროზია.

* * *

აღსანიშნავია, რომ 22 სექტემბერს ქ. ზუგდიდში საავადმყოფოს ბაზაზე გაიხსნა თბილისის ონკოლოგიური ცენტრის ფილიალი.

ფილიალის რემონტი ჩატარდა ზუგდიდის გამგეობის ფინანსური ხელშეწყობით. მის პრეზენტაციაზე ჩამოვიდნენ და ავადმყოფების გამოკვლევებში მონაწილეობდნენ ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი რევაზ გაგუა, ცენტრის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ზაზა ზარქუა, მამოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი გია ნემსაძე, რბილი ქსოვილების განყოფილების გამგე სანდრო ჩირინაშვილი, ენდოსკოპიური განყოფილების გამგე ნელი როჭიკაშვილი და სხვ.

პრეზენტაციის შემდეგ თბილისიდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობა უფასოდ გამოიკვლიეს და გაუწიეს კონსულტაცია.

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

◉ ინფორმაცია

## ლოთი ქობალიამ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა

**ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ლოთი ქობალიამ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, ამის შესახებ სააგენტო ჯი-ეიჩ-ენს ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ აცნობა.**

**ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში ნაციონალური მოძრაობის მიმართვა შევიდა, სადაც ის საკუთარი კანდიდატის მოხსნას ითხოვდა. საარჩევნო კომისიამ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა.**

**შეგახსენებთ, რომ ლოთი ქობალია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში იყრიდა კენჭს.**

## გალის რაიონის სოფლებში დაძაბული სიტუაციაა

**არჩევნების წინ გალის რაიონის სოფლებში – პირველ ოტობაიაში, განახლებაში, მეორე ოტობაიასა და ოკვინორეში მდგომარეობა დაიძაბა.**

**საქმე ეხება აფხაზური მილიციის მიერ ადგილობრივი მოსახლეობის დაშანტაჟებას.**

**აფხაზური მილიციის უფროსს ბესი ჭყონიას თითოეული ოჯახიდან, ძალის გამოყენებით, 50-100 კგ თხილი გააქვს, ხოლო თუ ოჯახს თხილი არ აქვს, მაშინ სანაცვლოდ 100 ლარს ითხოვს.**

**როგორც იტყობინებიან, ბესი ჭყონია ამასაც არ სჯერდება, სახლების სარდაფებში ჩადის და იქიდან ზამთრისათვის გადანახული დაკონსერვებული საკვები, მურაბები და კომპოტებიც კი გააქვს.**

**იმავდროულად ჭყონია მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი გალში ველარ დარჩებიან.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

## მაია თოფურიას დედა გულის შეტევით გარდაიცვალა

**სამშობლოს ღალატისა და ამბოხების ორგანიზების ბრალდებით დაკავებული იგორ გიორგაძის პარტია „სამართლიანობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარის მაია თოფურიას დედა გულის შეტევით გარდაიცვალა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ პოლიტიკური მოძრაობა „იმედის“ თავმჯდომარემ მაია თოფურიას მეგობარმა ირინა სარიშვილმა განუცხადა, ნუნუ თოფურია შვილზე ნერვიულობით გარდაიცვალა, რადგან გასულ პერიოდში იგი ჯანმრთელობას არ უჩიოდა. მისივე ინფორმაციით, ნუნუ თოფურია მისმა შვილმა, მაია თოფურიას დამ, სახლში გარდაცვლილი აღმოაჩინა.**

**როგორც სარიშვილი განმარტავს, ნუნუ თოფურიას გუშინ შვილთან პირველად უნდა მიეტანა ამანათი და ამასთან დაკავშირებით იგი ძალიან ნერვიულობდა. სარიშვილი აცხადებს, რომ მაია თოფურიასთვის დედის სიკვდილის შესახებ ინფორმაცია ჯერ არ უცნობებიათ. „მაიას დედა განიცდიდა შვილის დაკავებას. ამ ფაქტს იგი იმ ნივთის გაყიდვას უკავშირებდა, რომლის რეალიზაციიდან შემოსული თანხაც მაიას სახლიდან ამოიღეს. ამაში იგი თავს იდანაშაულებდა და შეიძლება ითქვას, რომ იგი ნერვიულობით გარდაიცვალა“, – განაცხადა სარიშვილმა.**

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## ბალტიისპირეთის კომპანიების წარმომადგენლები საქართველოში

ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ევროპულ ბაზრებზე დამკვიდრების მიზნით, კომპანია „არტ-ჯგუფის“ და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოში ბალტიისპირეთის ალკოჰოლური სასმელების უმსხვილესი სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლები ჩამოვიდნენ.

ისინი საქართველოს სხვადასხვა რეგიონს ესტუმრნენ და ოცამდე ღვინის ქარხანა, მათ შორის, წინანდლის ისტორიული ღვინის მარანი დაათვალიერეს. როგორც „სამტრესტის“ ხელმძღვანელმა ვასილ მანაგაძემ სოფლის მეურნეობის სამინისტროში უცხოელ სტუმრებთან შეხვედრისას განაცხადა, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის.

უცხოელმა სტუმრებმა საქართველოში განხორციელებული ვიზიტით კმაყოფილება გამოთქვეს. მათი განცხადებით, ისინი არა მარტო ქართული ღვინით, არამედ, ზოგადად, ქართველი ხალხის ტრადიციებითა და სტუმართმოყვარეობით მოიხიბლნენ.

სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს ქართული ღვინის იმპორტთან დაკავშირებული თავისი კონკრეტული გეგმების დასახელებისგან. ბალტიისპირეთის ქვეყნები იმ ხუთეულშია, სადაც ქართული ღვინო ყველაზე დიდი რაოდენობით შედის. ამ ქვეყნებში სამამულო ღვინოს მთლიანი ექსპორტის მოცულობის 7-8 პროცენტი უკავია.

## საერთაშორისო აღიარება მოიპოვა

კომპანია „თბილღვინოს“ მიერ ჩამოსხმულმა ორმა ბრენდმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

როგორც კომპანიის წარმომადგენელმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, ლონდონის ღვინისა და ალკოჰოლის საერთაშორისო კონკურსზე „საფერავს“ ვერცხლის, ხოლო „წინანდალს“ ბრინჯაოს მედლები მიაკუთვნეს. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია მომავალ კვირას გაიმართება.

„ეს ლონდონში არსებულ სამ საერთაშორისო კონკურსს შორის ყველაზე პრესტიჟულია“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

## ფრედერიკო კასტელუჩი თბილისში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით საქართველოში ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის დირექტორი ფრედერიკო კასტელუჩი ჩამოვიდა.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, უცხოელი სტუმარი კახეთში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს რთველში, დაათვალიერებს ღვინის ქარხნებს და წინანდლის მარანს. იგი ქართულ კულტურასა და ტრადიციებსაც გაეცნობა.

ხვალ კასტელუჩი სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მონაწილეობას მიიღებს ღვინის ფორუმში, სადაც ღვინის დეგუსტაცია გაიმართება. ღონისძიებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და მთავრობის სხვა წევრები დაესწრებიან.

ინტერპრესნიუსი

გლობუსი

# ქვეყნის მამოძრავებელი ძალა – ენერგეტიკა

(მეშვიდე გვერდიდან)



ბევრ ქვეყანაში მშენებარე სახლები, ენერგეტიკული თვალსაზრისით 70 პროცენტით უფრო ეფექტიანია, ვიდრე ადრე აშენებული, რაც დღევანდელი ტექნოლოგიების წყალობით მიიღწევა. მაგალითად. დღეს ფანჯრების იზოლაცია 3-ჯერ ძვირია, ვიდრე გუშინ. თანამედროვე გაზის ღუმელების და დანადგარების ეფექტიანობამ 95 პროცენტს მიაღწია. ახალი კონდიციონერები 30-40 პროცენტით ნაკლებ ელექტროენერგიას შთანთქავს, ვიდრე ადრინდელი მოდელები. ეკონომიურია ახალი სარეცხი მანქანები, მაცივრები, ჭურჭლის სარეცხი დანადგარები. ენერგოეფექტიანობა მშენებლობაზე, ტრანსპორტსა და მრეწველობაში 2050 წლისათვის გამოიწვევს ენერგიის 17-დან 33 პროცენტამდე შემცირებას.

ვიდრე მეცნიერები თავიანთ ავტორიტეტულ სიტყვას იტყვიან ნავთობის ალტერნატივასთან დაკავშირებით, ისე, როგორც წინათ, დღესაც და ხვალაც ყურადღება გამახვილდება ენერგეტიკის ისეთ წყაროებზე, როგორებიცაა ბირთვული, ჰიდრო, ქვანახშირის, ქარის და მზის ენერგია.

პირველი, რაც გარკვეულ ეჭვებს იწვევს და რაც არ არის გასაკვირი, ჩერნობილის მაგალითიდან გამომდინარე, არის ატომური ელექტროსადგურები, მეცნიერები დღეს მე-4 თაობის ატომური ელექტროსადგურების განვითარების საკითხებზე მუშაობენ, მაგრამ საქმეს აფერხებს კაპიტალდაბანდებათა სიმცირე.

მეორე – საზოგადოების წინააღმდეგობა, ბირთვული რადიაციის მსხვერპლად გადაქცევის საშიშროება. ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს გამოთვლით, ატომური ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების ხვედრითი წილი, პესიმისტური მონაცემებით 2050 წლისათვის 6-7 პროცენტით დაეცემა.

აშშ-ში, ბირთვულ ენერგიაზე, ეროვნული ელექტროენერგიის მხოლო 20 პროცენტი მოდის. ამ ქვეყანაში უკანასკნელი 30 წელია, ბირთვული ელექტროსადგური არ აშენებულა. საფრანგეთში ბირთვულ ენერგეტიკაზე 78 პროცენტი მოდის.

ბირთვული რეაქტორების მე-4 თაობის შექმნის პროგრამა მთელი რიგი ტექნოლოგიების ჩამოყალიბებას ითვალისწინებს – რეაქტორებს სწრაფნეიტრონებზე, მაღალი ტემპერატურის გაზის რეაქტორებს და სხვა. მიუხედავად მისი სრულყოფილებისა, საზოგადოება მაინც შიშს გამოთქვამს ბირთვულ რეაქტორებთან დაკავშირებით, ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის შეშფოთება პრესაში გაჩენილი ცნობის მიმართ, საქართველოში ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობა საკმაოდ ძვირი ჯდება და ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, მოჭარბებული ფუფუნებაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული ხასიათი. ბირთვული ელექტროსადგური უაღრესად დიდ პასუხისმგებლობას, სიზუსტეს, ყურადღებას, კომპეტენტურობას და მრავალ სხვა ისეთ თვისებას მოითხოვს, რაც ამ ეტაპზე, ქართული ბუნებიდან გამომდინარე, მიუღწეველია. მავანი ალბათ შემედავება და იტყვის, ოდესღაც ხომ უნდა დავიწყოთო. გეთანახმებით, უნდა დავიწყოთ, მაგრამ არა ბირთული ელექტროსადგურიდან, სადაც წამიერი მოდუნებაც კი სიცოცხლის ფასად დაუჯდება საქართველოს, ამიერკავკასიას და მეზობელ სახელმწიფოებს.

გაეროს პროგრამაში დიდი ყურადღება ეთმობა ჰიდროენერგეტიკის განვითარების საკითხებსაც. ჰიდროენერგეტიკიდან მიღებული ელექტროენერგია თითქმის 35 პროცენტამდეა გაზრდილი. ჰიდროენერგეტიკა ყველაზე იაფ წყაროდ ითვლება.

საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით და მისი საზრიანად, დროულად გამოყენება უდავოდ გადაწყვეტს იმ პრობლემას, რასაც ენერგოკრიზისი ჰქვია. მანამდე კი საჭირო იქნება იმ სახელმწიფოებთან, ვისაც ჩვენი ენერგეტიკული სული ხელში უჭირავს, მათ შორის რუსეთთან, ნორმალური, პრაგმატული ურთიერთობების ქონა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაყინული ზამთარი გარანტირებული გვექნება, რაც არაერთ ოჯახს ყოფნა-არყოფნის საფრთხით დაემუქრება.

საკუთარი ენერგეტიკული საკითხების მოგვარების შემთხვევაშიც კი არ არის აუცილებელი ქვეყნებთან უაზრო ქიშპობა, დიპლომატია იმიტომ გამოიგონა კაცობრიობამ, რომ საკამათო საკითხები მოლაპარაკებით, შეგონებით და არა მუშტით გადაწყდეს, რამეთუ მუშტის და ომის შემდეგ, მაინც მოლაპარაკების მაგიდას უბრუნდებიან. ასე იყო ადამიანის გაჩენიდან მოყოლებული დღემდე და ასე იქნება მარად, ვიდრე იარსებებს ადამიანი.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

კონფლიქტის ზონა

## „სამხრეთ ოსეთისთვის“ სამართლებრივ ბაზას ამუშავებენ

**ე. წ. სამხრეთ ოსეთის და დე-ფაქტო პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის პირადი წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციაში დიმიტრი მედოევი და აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის დე-ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციაში იგორ ახბა ინტენსიურ კონსულტაციებს აწარმოებენ მოსკოვში რუსეთის საგარეო და თავდაცვის უწყებებში, – აცნობეს ჯი-ეიჩ-ენს მოსკოვიდან.**



როგორც ჯი-ეიჩ-ენისთვის გახდა ცნობილი, კონსულტაციების მთავარი თემა ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჩასატარებელი რეფერენდუმის შედეგების სამართლებლივი უზრუნველყოფა, აფხაზეთის მიერ განსახორციელებელი „სამართლებლივი“ ქმედებები და რუსეთის ფედერაციის მიერ გასატარებელი ღონისძიებებია.

საგარეო უწყება ამუშავებს რეფერენდუმის შედეგების მიხედვით სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ცნობის სამართლებლივ ბაზას.

როგორც ჯი-ეიჩ-ენს განუმარტეს, განიხილება ის სავარაუდო სახელმწიფოები, რომლებმაც, შესაძლებელია, სცნონ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. სიაში პირველი ბელორუსია. სავარაუდო მხარდამჭერებად მოიაზრებიან რიგი აფრიკული და აზიის სახელმწიფოები. მათთან კონსულტაციებს რუსეთი, სავარაუდოდ ორ კვირაში დაიწყებს. რუსეთის დიპლომატიურ კორპუსს და წარმომადგენლებს საერთაშორისო ორგანიზაციებში მიეცათ დავალებები აქტიური კონსულტაციები გასწიონ არაღიარებული რესპუბლიკების უფლებების დასაცავად.

ასევე მუშავდება ის იურიდიული ასპექტები, რომელიც გაამყარებს კონფლიქტის ზონებში სამშვიდობოების ყოფნის სამართლებლივ გარანტიებს.

ამავე წყაროს მტკიცებით, არაღიარებულ რესპუბლიკებს მიეცათ დავალებები მოსკოვთან შეთანხმების გარეშე თბილისთან ყოველგვარი კონტაქტები შეწყვიტონ.

ჯი-ეიჩ-ენისთვის მოწოდებული ინფორმაციით, რუსეთის თავდაცვის სამინისტროში საბოლოო დამუშავების პროცესშია გეგმა წინასწარი სახელწოდებით: „მკვდარი ქორები“, – სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი სამხედრო აგრესიის აღკვეთის, მოგერიებისა და შესაბამისი ერთობლივი კონტრზომების განხორციელების შესახებ.

ჯი-ეიჩ-ენი

კახეთის მხარე

## ქიზიყში რთველი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა



**სამთაწყარო-ფიროსმანში რთველი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. აქ ყურძენი ადრე მწიფდება, გვალვებმა ლამის გაანადგურა ვენახი, მაგრამ რაიონის გამგებლის გელა იაკობიშვილის ძალისხმევით, სარწყავი სისტემა აღდგა და ვენახის დიდი ნაწილიც გადარჩა. ამ სოფლებში 700-მდე ტონა ყურძენი კიდევ არის მოსაკრეფი. როგორც მევენახე ზაურ პაპიაშვილმა აღნიშნა, ერთი ჰექტარი ვენახის დამუშავება 2000 ლარამდე ჯდება. ეს იმ შემთხვევაში, თუ არ მოვრწყავთ. მორწყვის შემდეგ კი, მისი დამუშავების ხარჯები გაცილებით უფრო მეტია. კილოგრამი თეთრი ყურძნის ფასი 50-55 თეთრი მაინც უნდა იყოს, რომ ხარჯები ავვინაზღაუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ წელს ვენახის მოვლას ველარ შევძლებთ!..**

სოფელ არხილოსკალოში კი როგორც ამ სოფლის გამგებელმა სიმონ კობაიძემ გვითხრა, რთველი ჯერ არ დაწყებულა. წლეულს აქაური მევენახეები 1500 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძნის მოლოდინში არიან. თვალსა და გულსახარებს კარგად მოვლილი ვენახები არსენ ბუჩუკურისა, ზურაბ პაპუაშვილისა, ტრისტან ზაქაიძისა, ალექსი ციხელაშვილისა და სხვათა მრავალთა. ისინი ერთ ჰექტარზე 9 ტონა ყურძნის მოკრეფას ვარაუდობენ.



ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

**ნანა ჭიჭინაძე,**
ჩვენი კორ.

მრჩეველი

# რა დაუჯდება ოჯახს „ელექტროკავშირის“ მომსახურება?

***ზაფხულში საქართველოს „ელექტროკავშირის“ გაყიდვამ და მის კერძო კომპანიად გადაქცევამ ბევრ აბონენტს ეჭვი გაუჩინა, რომ ამით მომსახურების ღირებულება გაიზრდებოდა, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, თუმცა, ნაწილს პირიქით, იმედი ჰქონდა, რომ ახალი ინვესტორი მათ თვეობით დაზიანებულ და გათიშულ ტელეფონს აამუშავებდა, მაგრამ ამაოდ...***

***ერთი მხრივ, ტექნიკურმა გაუმართაობამ და, მეორე მხრივ, თანამშრომელთა ცინიკურმა დამოკიდებულებამ, რაც დღესაც გრძელდება, „ელექტროკავშირს“ 150 ათასი აბონენტი დააკარგვინა. დარჩენილი 350 ათასი აბონენტიდან თბილისს 220 ათასი ეკუთვნის, მათგან ბევრი კი დღესაც სხვა ქსელზე გადასვლას ცდილობს.***

***რა სიკეთეს უნდა ველოდეთ კომპანიის ახალი ხელმძღვანელობისგან და რა სიახლეებს გვპირდებიან ისინი, ამაზე კომერციული დირექტორი ივა მარტიაშვილი გვესაუბრება.***

— კომპანიის „ბლექსი ტელე-კომ ჰოლდინგმა“, რომელიც ქართულ-ყაზახურმა ინვესტორთა ჯგუფმა შექმნა, „ელექტროკავშირში“ 90 მილიონი გადაიხადა, ეს თანხა სრულად ორი კვირის წინათ დავფარეთ, რის შემდეგაც კომპანიის 90,65 პროცენტის მფლობელები გავხდით. ორი წლის განმავლობაში 60 მილიონი ლარის ინვესტიციას ვაპირებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მომსახურების გაუმჯობესებასთან ერთად აბონენტთა რაოდენობაც გაიზრდება.

მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში ელექტროკავშირს განვითარების კუთხით არანაირი ყურადღება არ ექცეოდა, პირიქით, მის ბაზაზე სხვა ალტერნატიული კომპანიები იქმნებოდა, რომლებიც დღეს ჩვენი კონკურენტები არიან. ტექნიკური ინფრასტრუქტურა იმდენად მოიშალა, რომ რეგიონებში წლებია უკვე ტელეფონები არ მუშაობს.

**— ყველაზე ცუდი მდგომარეობა სად არის და რამდენი დრო დასჭირდება პრობლემის მოგვარებას?**

— თბილისის გარდა სატელეფონო მომსახურება საკმაოდ ნორმალურია ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, ზესტაფონში, ზუგდიდში. ყველაზე ცუდი კი კახეთში, სადაც ზოგ სოფელში ათ წელზე მეტია მოსახლეობა სატელეფონო მომსახურების გარეშეა დარჩენილი.



კომპანიის მიზანია, რაც შეიძლება მეტი აბონენტი გვყავდეს, ეს ჩვენი კომერციული ინტერესია. სატელეფონო სადგურები ამორტიზებულია და არანაირ ტექნიკურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, ამიტომ მთელი საქართველოს მასშტაბით მაქსიმუმ ექვს თვეში ციფრულ სადგურებს დავამონტაჟებთ. ამისთვის ტექნიკურმა სამსახურმა სამუშაოების დაპროექტება უკვე დაიწყო.

**— სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესებას ტარიფის მომატებაც ხომ არ მოჰყვება?**

— ტარიფი არ გაიზრდება, ჩვენი შიდა ზარები კვლავ უფასო იქნება, სააბონენტო გადასახადი კი ისევ 4 ლარი დარჩება, რაც შეეხება რეგიონებს იქ უფრო იაფიც იქნება.

**— თბილისში მოსახლეობის დიდი ნაწილის სატელეფონო ხაზი „ბლოკზეა“, რაც ერთი-ორად აუარესებს მომსახურების ხარისხს, „გაბლოკვა“ კი ზოგი მოქალაქისთვის უფასოა, ზოგისთვის კი ოციოცდაათი ლარი ჯდება...**

— „გაბლოკვის“ ფასი ჯერ კიდევ დადგენილი არ არის. უფასოა იმ შემთხვევაში, სადაც ახალი ციფრული სადგურები მონტაჟდება და ჩვენი ინიციატივით ვხსნით, ხოლო იქ, სადაც ისევ ძველი სადგურებია, კვანძები თვითონ ახერხებენ ამის ჩახსნას და დამატებითი სამუშაოების შესრულება ფასიანია, რაც ათიდან-ოცდაათ ლარამდე ღირს. თბილისში მაქსიმუმ ორ თვეში ყველა რაიონის ატეესი ციფრულ სადგურზე გადავა და ეს პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება. მაშინ, მოქალაქე აღნიშნულ თანხას აღარ გადაიხდის.

**— რამდენი დაუჯდება ოჯახს თქვენს აბონენტად გახდომა და ტელეფონის დადგმისათვის რა დროა საჭირო?**

— ჩვენს ქსელში ჩართვა აბონენტებს 140 ან 180 ლარი უჯდება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ, როგორი საკაბელო და საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაა. ამაზე მეტი აბონენტმა არ უნდა გადაიხადოს. თუმცა, ძალიან მალე, როცა სისტემა მთლიანად შეიცვლება, ეს ღირებულება 100 ლარამდე შემცირდება, რაც შეეხება დროს, სამ თვეში ყველა მოქალაქის მოთხოვნას დავაკმაყოფილებთ, ვისაც ჩვენი აბონენტად გახდომა უნდა.

ნამდვილად გამოსწორდება თუ არა მდგომარეობა და აბონენტები შეძლებენ თუ არა უახლოეს პერიოდში უპრობლემოდ, ხარვეზების გარეშე სარგებლობას საკუთარი ტელეფონებით, ეს ძალიან მალე გამოჩნდება, რადგან თბილისელებისთვის 2 თვე და რეგიონებისთვის 6 თვე არც თუ ისე დიდი დროა.

**ლელა მანაველიშვილი**

ფიქრები ხმამაღლა

# საყვარელი, საბრალო, გაუგებრად შეგინებული დედები

**ეს სიგლახე „სისხლის წვიმების დროიდან, ნუგზარ ერისთავის დროიდან“ არ მოგვდევს, ბოლო 30-35 წელია, რაც შემოგვეპარა. ძალიან გასაკვირია და სრულიად აუხსნელი, რომ ეს მოხდა ქვეყანაში, სადაც „დედა“ ისტორიულად წმიდათაწმიდა ცნებაა, მუდამ დასაფასებელი, დაფასებული და პატივსაცემი — მარტო ამდენი ქართული სიტყვის „დედათი“ დაწყება რად ღირს!**

რასაკვირველია, „დედა“ სხვა ქვეყნებშიც, სხვა ხალხებშიც ძვირფასია, მაგრამ მეეჭვება, რომ სხვაგან სადმე დედაენისთვის დაედგათ ძეგლი, ან მოყმის დედა ვეფხვის დედასთან „წასულიყო“ სამძიმარზე... სამწუხაროდ, ასევე მეეჭვება, რომ რომელიმე სხვა ქვეყანაში, სხვა ხალხში ახალგაზრდა (ზოგჯერ არა მარტო ახალგაზრდა) „დასაფიცებლად“ თუ სინანულის გამოსათქმელად, „შესანანებლად“ იყენებდეს ყოვლად უგვანო ფორმას „ჩემი დედა...“, „ჩემ დედას“...

ჩემს შორეულ სიჭაბუკესა და უფრო შორეულ ბავშვობაში დედის შეგინებისათვის ერთმანეთს შევასკდებოდით ხოლმე. ეგებ ახლაც ასეა, მაგრამ ახლა ისეცაა, რომ დედის „ავტოგინება“ ფაქციეთ არა მოდად (მოდა რაღაცა ხნის მერე გაივლის ხოლმეძ, არამედ მკვიდრ „სამეტყველო“ ნორმად. უამრავ რეფორმას ვატარებთ, ოღონდ „ჩემი დედა“ და „ჩემ დედას“ რეფორმების მიღმა რჩება...

აბა, რომელი ნორმალური ახალგაზრდა დაუწყებს მშობელ დედას გინებას, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ეგ „ჩემი დედა“ და „ჩემ დედას“, ვიმეორებ, დაფიცების ან შენანების გამოხატვის უწყინარი ფორმა ჰგონიათ.

დიღმის მასივის V კვარტალში მშვენიერი ფეხბურთის მოედანი გააკეთეს (სპორტული მოედნებით ტრაბახი ნამდვილად შეუძლიათ ხელისუფალთძ. ამ საასპარეზოს სამი კორპუსი გადაჰყურებს. მიხარია, რომ მოზარდები დღისით თუ ღამით (მოედანი განათებითაა!ძ სიგლახით კი არა, სპორტით არიან დაკავებულნი, მაგრამ... აი, ჩაიგდო ბურთი, გავარდა კარისკენ, დაარტყა, ააცილა და გულიანად დააყოლა — „აუ, ჩემი დედა...“ ან გადაცემა ვერ მიიღო პარტნიორისაგან და უსაყვედურა: „მომე, რა, პასი, ჩემი დედა“... ეს ყველაფერი სამი კორპუსის გასაგონად! შე კაი დედმამის შვილო, შენ რომ კარში უხეიროდ დაარტყი, შენი საბრალო საყვარელი დედა რა შუაშია! ან ესეც ხომ გსმენიათ — „ჩემ დედას..., თუ გატყუებდე“. რა, ასეთ აზრს ვერ გამოხატავდი სხვაგვარად — „ჩემ დედას გეფიცები, არ გატყუებო“? რა, ეს დაფიცება ქალაჩუნურია და ის ვაჟკაცური?...

ერნესტ ჰემინგუეი განთქმულ რომანში „ვის უხმობს ზარი“ ერთ ადგილას გმირს ათქმევინებს: „არც ერთი ენა ისე მოსახერხებელი არ არის გინებისათვის, როგორც ესპანურიო“. გაევლო იმ გმირს თბილისის ეზო-ქუჩებში და ეგებ შეეცვალა აზრი... რუსი რომ რუსია, ათსართულიანი გინებები იცის, ისიც არ იტყვის „Мою мать...“ — უფრო „Твою мать“-ო (თუ, ცხადია, თბილისელი რუსი არ არისძ... ცხონებულ გოგი გეგეჭკორს ერთ დროს ტელერუბრიკა მიჰყავდა „შეცდომაა, სწორია“... მაშინ გაჩნდა მწარე, თუმცა მახვილი ანგლობა: „შეცდომაა ჩემი დედა, ჩემ დედას...“ სწორია „შენი დედა, შენ დედას“...

ახალგაზრდები სხვა კუთხითაც უნდა შევახედო ამ თემას: როცა საამისოდ ენა აგექავებათ, „ჩემი ჭკუა...“ და „ჩემ ჭკუასო...“ რატომ არ ამბობთ, დედას რომ მიახტებით ხოლმე? თავს ეფერებით? ან კიდევ, „ბოზიშვილი ვიყოო“, რომ გაქვთ ლექსიკონში და ერთბაშად ორ მშობელს აყენებთ შეურაცხყოფას — „ბოზი ვიყოო“, ასე თუ იტყვით? საკუთარი თავი არ გემეტებათ, მშობლები — კი?..

საოცარი და საკითხავი ისიც არის, რომ პოლიტიკაზე გადარეული და გადაგებული ჩვენი ტელეარხები და ტელეწამყვანები ასეთ ჭირს არ უძღვნიან სპეციალურ გადაცემას და ეკრანიდან არ კიცხავენ. არ შეიძლება ამაზე გვქონდეს „რეაქცია“? განა ეს „სარეაქციო“ ან „სატაბუო“ არ არის?

... დასანანია, რომ საქართველოში ალბათ იშვიათია დედა, რომელსაც, რამე რომ იყოს, არ ეთქმოდეს: „ერთი შვილ მაინც გავზარდე, დედისა მაგინარია“. დასანანია, რომ „ჩემი დედა“... და „ჩემ დედას“... სულ უფრო „ახალგაზრდავდება“ და უკვე გაისმის ლაწირაკთა ენა-პირითაც. ხშირად სვამენ კითხვას — გვეშველება რამე? ერთ-ერთი საშველი ხსენებული სიგლახის არის, ნამდვილ ღირებულ უგულებელყოფდა ქცევა?..

**თამაზ ეგანიძე**



ინფორმაცია

## მაია ჩიგოევა-ცაბოშვილი საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს

**დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობის მსურველი მაია ჩიგოევა-ცაბოშვილი საარჩევნო კამპანიის თვითალიარებულ რესპუბლიკაში ჩასატარებლად უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს. ამის შესახებ მაია ჩიგოევა-ცაბოშვილმა პრესკონფერენციაზე ისაუბრა.**

**12 ნოემბერს, ე. წ. სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნები იგეგმება. საპრეზიდენტო პოსტზე არასამთავრობო ორგანიზაცია „იბერ-ირონის“ თავმჯდომარე მაია ჩიგოევა-ცაბოშვილი გეგმავს მონაწილეობის მიღებას.**

**უახლოეს დღეებში, იგი ოსურ და რუსულ მხარეებთან შეთანხმებით ცხინვალში ჩასვლას და საარჩევნო კომისიაში თავისი კანდიდატურის რეგისტრაციაში გატარებას აპირებს.**

**მაია ჩიგოევა-ცაბოშვილს უსაფრთხოების სიტყვიერი გარანტია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსგან და ოსური მხარისგან უკვე მიღებული აქვს, მაგრამ იგი დამატებით გარანტიებს, ეუთოს და საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვს.**

## „მრგვალი მაგიდის“ გარშემო დიალოგი გაიმართა

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის წყნეთის სასწავლო ცენტრში „მრგვალი მაგიდის“ გარშემო დიალოგი გაიმართა, რომლის მუშაობაში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრალური ინსტიტუტის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის, არასამთავრობო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.**

**„მრგვალ მაგიდაზე“ „იუნესკოსა“ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1966 წელს მიღებული დოკუმენტის — „რეკომენდაციები მასწავლებელთა სტატუსის შესახებ“ განხორციელების მდგომარეობა და მონიტორინგის შედეგები განიხილეს. აღნიშნული რეკომენდაციის მიღებიდან 40 წელი შესრულდა. იგი გაეროსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ქვეყნებისათვის სავალდებულო იურიდიულ ნორმას წარმოადგენს.**

## 80 წლის კაცი მე-14 სართულიდან გადახტა

**ნაძალადევის რაიონში ცოტნე დადიანის ქ. № 65, გუშინ თვითმკვლელობა მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, დაახლოებით 14:30 საათზე 80 წლის სევასტი დავლაშელიძე მე-14 სართულიდან გადმოხტა.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ დადიანის № 65-ში მცხოვრებლებმა განუცხადეს, ეს იყო დავლაშელიძის თვითმკვლელობის მე-3 მცდელობა. იგი სკლეროზით იყო დაავადებული. ამიტომ ვერ აცნობიერებდა თავის ქმედებებს.**

**ინტერპრესნიუსი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში ძალზე კმაყოფილები არიან

**დაკავებული რუსი სამხედრო მოსამსახურეების სამშობლოში დაბრუნება მოწმობს იმას, რომ საქართველოს სურს სიტუაციის მშვიდობიანად მოგვარება, და არა მისი გამწვავება, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ. „საქართველოს ხელმძღვანელობა ყოველთვის მზად არის გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომლებიც მიზნად ისახავენ არა კრიზისის გამწვავებას, არამედ პირიქით, დაძაბულობის შენელებას“, — თქვა ბურჯანაძემ სამშაბათს ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს. მანამდე კი საქართველოს პარლამენტის სპიკერი შეხვდა „ევროსამეულის“ დელეგაციას.**



„ევროკავშირის წარმომადგენლებმა პოზიტიურად შეაფასეს საქართველოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება დაკავებული სამხედროების რუსეთის მხარისათვის გადაცემის შესახებ, — აღნიშნა სპიკერმა. ასეთმა ნაბიჯმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა ჩვენი მეგობრები, რომ საქართველოს მიზანია არა ურთიერთობის გამწვავება რუსეთთან, არამედ ჩვენი სახელმწიფო ინტერესების დაცვა“.

თავის მხრივ, საქართველოს საგარეო-პოლიტიკურმა უწყებამ გამოთქვა კმაყოფილება ეუთოსთან თბილისის თანამშრომლობის დონით. „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო კმაყოფილია საქართველოსა და ეუთოს მჭიდრო თანამშრომლობით, რისი მაგალითიც გახდა ერთობლივი ძალისხმევა იმ დაძაბული სიტუაციის განმუხტვისთვის, რომელიც გამოიწვია 27 სექტემბერს საქართველოში რუსეთის ოთხი წარმომადგენლის დაკავებამ ჯაშუშობის ბრალდებით“, — ხაზგასმულია საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში. „ოთხი დაკავებულის ოფიციალური გადაცემა ეუთოს მოქმედი თავმჯდომარისთვის 2 ოქტომბერს მოხდა და ამან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარის კარელ დე გიუჰტის ინიციატივის პოზიტიურ შედეგს, ისე ქართული მხარის კეთილ ნებას. ეს არის იმის კიდევ ერთი მაგალითი, როგორი თუ რეალური პოტენციალი აქვს ეუთოს“, — აღნიშნულია განცხადებაში.

დოკუმენტის ავტორებმა გააკრიტიკეს რუსეთის მხარის მოქმედება: „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს იმ მთელ რიგ არადექვატურ ზომებს, რომლებსაც მიმართა რუსეთმა: მოქალაქეთა დაკავება ქუჩაში ეროვნული ნიშნით და მათი დეპორტაცია რუსეთიდან, სატრანსპორტო ბლოკადა, საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზების გაცემის შეჩერება და სხვა“. „ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს თბილისის პოზიციას, რომლის თანახმადაც ქვეყანა, რომელიც იმუქრება ეკონომიკური და სხვა სანქციებით, რეალურად ვერ იქნება ნეიტრალური და ობიექტიური შუამავალი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში“, — ხაზგასმულია განცხადებაში.

ამავე დროს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი და „ევროსამეულის“ წარმომადგენლები გამოთქვამენ შეშფოთებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვის გამო, იტყობინება გერმანიის საგარეო-პოლიტიკური უწყება. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა გიუნტერ გლოზერმა, რომელიც მართავს ტურნეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, აგრეთვე „ევროსამეულის“ წარმომადგენლებმა — ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერკი ტუომიოიამ, ევროკომისარმა საგარეო კავშირურთიერთობის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერმა და ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებიმ — ორივე მხარეს მოუწოდეს „ზომიერებისა და სიტუაციის დეესკალაციისთვის“.

როგორც გერმანიის საგარეო-პოლიტიკური უწყება იტყობინება, ევროკავშირის დელეგაციის ამ ორდღიანი ტურნეს მიზანი იყო „ევროკავშირისა და ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის კეთილმეზობლობის პოლიტიკის ფარგლებში ერთობლივი სამოქმედო გეგმების მომზადების დასრულება, რომელიც მოიცავს თითოეული ქვეყნისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების სფეროში დასახული პრიორიტეტების ნუსხას, აგრეთვე შესაბამის ღონისძიებათა ჩამონათვალს“. „მორიგების მიღწევის შემთხვევაში, ამ გეგმების ფორმალურად დამტკიცებას აპირებენ მომავალი წლის ნოემბერში, ბრიუსელში, სადაც გაიმართება სამ ქვეყანასთან თანამშრომლობის საბჭოს სხდომა“, — აღნიშნა გერმანიის საგარეო საქმეთა წარმომადგენელმა.

ИНТЕРФАКС

# რაზე დარდობენ ქართველები?

**ჩვენ ქართველი ეროვნების ცნობილ ტელეწამყვანებს, მსახიობებს და მომღერლებს დავუსვით ასეთი კითხვა: როგორ შეაფასებდით საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ კონფლიქტს?**

**ნიკოლოზ სვანიძე, ტელეწამყვანი:**

— ის, რაც ახლა საქართველოში ხდება, ჩემი აზრით, საშინელებაა. მე ვარ ქართული ფესვების მქონე მოსკოველი, მაგრამ საქმე ესეც არ არის. ძალზე დიდია იმის ალბათობა, რომ გაჩაღდეს საომარი მოქმედება. არადა, რუსეთი და საქართველო ხომ მეზობლები არიან და მათი ფესვები ღრმადაა ერთმანეთთან გადახლართული. ახლა მოხდა დიპლომატიური ურთიერთობის რეალური გაწყვეტა. კონფლიქტის ესკალაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ.

ახლა შესაძლებელია ყველაფერი. ჯაშუშობა, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ, პროვოკაციაა. სახელმწიფოებს შორის დაძაბული ურთიერთობის დროს დაზვერვა ყოველთვის მუშაობს. მაგრამ ჯაშუშებს, როგორც წესი, კი არ აპატიმრებენ, არამედ ქვეყნიდან აძევებენ.

ორი მხრიდან რომელიღაც უფრო ჭკვიანი უნდა გამოდგეს. საომარი მოქმედების შემთხვევაში, მსოფლიო გაერთიანების თვალში დამნაშავე იქნება რუსეთი, იმის მიუხედავად, თუ ვინ გამოიწვია პროვოკაციულად კონფლიქტი და პირველმა ვინ გააჩაღა ომი. ამიტომ, შექმნილ სიტუაციას თავი მშვიდობიანად უნდა დავაღწიოთ. მე მომეწონა სერგეი ივანოვის რეაქცია, რომელმაც თქვა: „ჩვენი პროვოცირება სურთ, მაგრამ ამას არ დავუშვებთ“.

**თინა კანდელაკი, ტელეწამყვანი:**

— ყველაზე მეტად მებრალებიან ის ადამიანები, რომლებიც ამ სიტუაციის მძევლები აღმოჩნდნენ. ახლა რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს ძალზე ძლიერი მიგრაცია — საქართველოს მოქალაქეები ჩამოდიან რუსეთში ლუკმა პურის საშოვნელად და ზოგი ამას რაღაცნაირად ახერხებს კიდეც. ისინი ფინანსურად ეხმარებიან თავიანთ ნათესავებს. ნუთუ, ამ კონფლიქტის გამო მათ ამის შესაძლებლობა აღარ ექნებათ?

მე დავიბადე საქართველოში, მაგრამ ჩემი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის და ბავშვების აღზრდის საშუალება მომეცა რუსეთში. თბილისში ამის შესაძლებლობა არ არის და, ვშიშობ, რომ ახლო მომავალშიც არ იქნება.





**თამარ გვერდწითელი, მომღერალი:**

— საქართველო ჩემი სამშობლოა. რუსეთი კი არის ის ქვეყანა, რომელშიც ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ. ჩემნაირი ბიოგრაფიის მქონე ადამიანები სიტუაციის მძევლები აღმოჩნდნენ. ამას ისიც ემატება, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კიდევ უფრო ამწვავებენ ვითარებას, რამდენჯერმე სიტყვა „ომიც“ კი გაისმა. ჩემთვის გაუგებარია, თუ როგორ მივიდა საქმე ასეთ კონფლიქტამდე. პოლიტიკოსების ტემპერამენტი და ემოციები უნდა შეცვალოს „ცივმა გონებამ“, აწონ-დაწონილმა გადაწყვეტილებებმა. მოვლენები თუ სხვაგვარად განვითარდა, ამას მომავალი თაობები არ გვაპატიებენ.

**დიანა ღურწკაია, მომღერალი:**

— ჩემი ოჯახი არის იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ერთმანეთს შევუხამოთ ქართული ტემპერამენტი და რუსული გონება. მთელს ჩვენს ოჯახს იმედი აქვს, რომ ამ ბოლო ხანებში განვითარებული მოვლენები ვერ დაანგრევენ საქართველოს და რუსეთის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას.

**სოფიკო ჭიაურელი, მსახიობი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი:**

— ბოლო ხანებში რუსეთზე განაწყენებული ვარ. მაგრამ ეს არაფრით არ ეხება სხვადასხვა ეროვნების რიგით ადამიანებს, რომლებიც ჩემს საყვარელ ქვეყანაში ცხოვრობენ. არა! მე განაწყენებული ვარ იმაზე, რასაც ლაპარაკობენ თქვენი ყველა ჯურის პოლიტიკოსები, თავდაცვის მინისტრ ივანოვით დაწყებული. იქ, მოსკოვში ყველა შეიშალა? ომს უცხადებენ საქართველოს, რომელიც საუკუნეების მანძილზე მხოლოდ მეგობრობდა რუსეთთან?! რა მოხდა ისეთი, რომ ჩვენ ომის ზღვარზე მივედით, ამიხსენით? აქ, საქართველოში ჩვენ ეს არ გვესმის.

ყველაფერი შეიძლება ძალზე ცუდად დასრულდეს. ჩემი სანათესაოს თითქმის ნახევარი რუსეთში ცხოვრობს, ჩვენ ხომ ურთიერთობა გვაქვს, დავდივართ ერთმანეთთან. ყველა ასე ფიქრობს: რუსეთი საინფორმაციო ბლოკადაშია. თქვენ არ გეუბნებიან იმას, რაც სინამდვილეში ხდება.

პირადად მე, იმედი მაქვს, რომ რუსეთელებს არ შეეცვლებათ ჩვენს მიმართ დამოკიდებულება. ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანები კი, ბედის ირონიით, შეიძლება შეიყარონ სადღაც ერთად და რაღაც საშინელება ჩაიდინონ. მაგრამ მთელი ქვეყანა ვერ იქნება გამსჭვალული ასეთი ანტიქართული განწყობილებით.

МК

„კომსომოლსკაია პრავდას“ გამოკითხვა

# რას მოგვიტანს ბლოკადა?

**იგორ როდიონოვი, ყოფილი რუსეთის თავდაცვის მინისტრი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი:**

— ახლა მთავარია საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. თორემ, ხომ ხედავთ, როგორც გათავხედდა საქართველოს ხელმძღვანელობა. ანტირუსული განწყობილების გამოვლინებაზე არანაირ რეაგირებას არ ახდენდნენ ჯერ კიდევ გამსახურდია და შევარდნაძე. სააკაშვილმა კი უფრო შორს შეტოპა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ქართველებმა იგრძნონ, რომ მათი პრეზიდენტის პოლიტიკას სავალალო შედეგები მოაქვს. როგორც იტყვიან, ყველა ბერკეტი უნდა გამოვიყენოთ.

**თევდორე ლადიგინი, ყოფილი მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსი:**

— ბლოკადა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველებს, მისცემს საშუალებას, რომ თავიანთი ქვეყნის ხელმძღვანელობა აიძულონ უფრო აწონ-დაწონილი იყოს თავისი დიდი მეზობლის წინააღმდეგ ამა თუ იმ მოქმედების დროს.

**ვლადიმერ სოლოვიოვი, ტელეწამყვანი:**

— გამოიწვევს რუსი სამხედროების განთავისუფლებას და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას.

**ალექსანდრე გუროვი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი:**

— ჯერჯერობით არანაირი ბლოკადა არ არის. ეს მხოლოდ გამაფრთხილებელი ღონისძიებებია. მაგრამ შედეგები უკვე ჩანს. დასავლეთმა უკარნახა სააკაშვილს, რომ გაეთავისუფლებინა რუსი ოფიცრები. რუსეთმა, ბოლოს და ბოლოს, ყველას უჩვენა თავისი პოლიტიკური ნება. ჩვენ დიდხანს ვითმენდით, მაგრამ ძირში აღვკვეთეთ ჩვენს მიმართ ყოველგვარი დამამცირებელი მოქმედება.

**ვიაჩესლავ ნიკონოვი, პოლიტოლოგი:**

— ბლოკადა ნებისმიერ შემთხვევაში მიაყენებს დარტყმას საქართველოს ეკონომიკას და ააგორებს როგორც ქვეყნის მართველ რეჟიმში, ისე მოსახლეობის ნაწილში ანტირუსული განწყობილების ახალ ტალღას. ჩემი აზრით, შეერთებული შტატები გააძლიერებს საქართველოს ეკონომიკურ მხარდაჭერას.

**თამარ გოცირიძე, ქართული ტელეკომპანიის „კავკასიის“ მოსკოველი კორესპონდენტი:**

— თუ ჩვენს ქვეყნებს შორის შეწყდება საავიაციო მიმოსვლა, ამაში საგანგაშო არაფერია. მაგალითად, საქართველოდან შეიძლება სომხეთში ჩასვლა, იქედან — კი რუსეთში. იგივეს ვიტყოდი ფულად გზავნილებზეც. მაგალითად, მოსკოვიდან გადაგზავნი ფულს კიევში, საიდანაც მას თბილისში გაგზავნიან.

**ვიქტორ ილიუხინი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი:**

— ჩემი აზრით, პოლიტიკური ბლოკადა მხოლოდ იმას ისახავს მიზნად, რომ როგორმე შეანელოს რუსეთელების აღშფოთება. პრინციპში, ეს არაფერს არ შეცვლის. ამერიკელები ნებისმიერ შემთხვევაში შევლენ საქართველოში და მიიღებენ მას ნატოში.



◎ გული არ ბერდება

# წუთისოფელს ბოლომდე კაცად შერჩენილი

**ადერკინ კოპლატაძე ახლახან დასტამბულ თავის მემუარულ ნაწარმოებს – „ჩემი წუთისოფელი“ – აბოლოებს თავისი საყვარელი პოეტისა და მეგობრის იოსებ ნონეშვილის სიტყვებით:**

***„წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე –***
***თურმე ესეც გმირობაა დიდი...“***

ასეთი კაცი, თვით ბატონი ადერკინის სახით, დღეს ჩვენთან არის. იგი 85 წლისაა, მაგრამ თავისი გონებრივი გამჭრიახობით, ჯანმრთელობითა და ტანმრთელობით სრულ




იმედს იძლევა, რომ ციტატაში ნახმარი გამოთქმა „ბოლომდე“ – 100 წელს ბევრად გადააჭარბებს მაღალი ზნეობისა და კაცური კაცობის შენარჩუნებით.

ხალასი, მართალი გრძნობებით დაწერილ წიგნში ბევრს საინტერესოს ვეცნობით ავტორის ცხოვრებიდან, მაგრამ გულწრფელად უნდა ითქვას – მასში მოულოდნელი არაფერია. ამ ლამაზ კაცს თავისი 85 წელი რომ ლამაზად და უხინჯოდ ჰქონდა გატარებული, ეს მისმა ნაცნობ-მეგობრებმა კარგად ვიცოდით.

წიგნშიც ჩანს და ასეც იყო, ბატონი ადერკინის მოღვაწეობის პერიოდში მრავალჯერ მოხდა ქვეყნის ხელმძღვანელობაში საკადრო ცვლილებები, ბოლოს წყობაც კი შეიცვალა, მაგრამ ადერკინ კოპლატაძე ყოველთვის საპასუხისმგებლო პოსტზე რჩებოდა, რასაც მისი საქმისადმი ერთგულება, უფროს-უმცროსებთან ჯანსაღი დამოკიდებულება, ადამიანის სიყვარული და პატივისცემა, მაღალი პროფესიონალიზმი, მშობლიური ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული და დახვეწილი ოჯახიშვილობა განაპირობებდა.

„ადერკინ ივანოვიჩ!“ – სიხარულით აღმოაჩენდნენ და მიმართავდნენ მას ლონდონსა თუ ტოკიოში, მოსკოვსა თუ პრაღაში. ესენი ის ძველი ნაცნობები იყვნენ, რომლებსაც ბატონმა ადერკინმა ადრე შეხვედრებიდან თავი დაამახსოვრა საქმიანი დამოკიდებულებით, ქართული სტუმარ-მოყვარეობით და გულწრფელობით.

ველით მისგან კიდევ ერთ წიგნს, რომელშიც ჩვეული გულწრფელობითა და ხალისით იქნება აღწერილი მისი არანაკლებ ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ცხოვრების მეორე ნახევარში – 85 წლის ასაკის შემდეგ.

*კეთილმსურველების სახელით*
**რევაზ ტყემალაძე,**
**ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი;**

**გურამ მეზუკე,**
**სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.**

◎ იუბილე

# მრავალი ჩანაფიქრის ასრულება არ დასცალდა

## პეტრე შოთაძე – 60

**დღეს პროფესორ პეტრე შოთაძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.**

ქართული სამედიცინო საზოგადოება, კოლეგები, თანამოაზრენი, მეგობრები ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოხატავენ გულწრფელ სიყვარულს მისი პიროვნებისადმი და პატივს მიაგებენ ბატონ პეტრეს წვლილს ეროვნული მედიცინის განვითარებაში.

პიროვნების მოგონება, მასთან გატარებული წლების გახსენებით იწყება. 7 წელია პეტრეს გარეშე ვხვდებით მის დაბადების დღეს. უახლოესი მეგობრები ტრადიციულად ვიკრიბებით მის მშობლიურ ჩხარში, ვიხსენებთ პეტრეს მიერ გავლილი ცხოვრების გზას. სილაღით, სულიერი სიწმინდით გატარებულ წლებს, მის პიროვნულ თვისებებს, და ყველაფერ იმას, რაც გამორჩეულად ახასიათებდა და ამშვენებდა მას და რაც მასთან ურთიერთობით შემორჩა ჩვენს მეხსიერებას.



პეტრე ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. წავიდა შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე აქტიურ პერიოდში. მიუხედავად ასაკისა, მან შესძლო წლების მანძილზე წარმატებით ეხელმძღვანელა უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებისათვის, იყო წამყვანი კათედრის გამგე, უცხოეთის პრესტიჟული აკადემიების და კვლევით დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოების წევრი, პროფესორი. ყოველივე ამის მიღწევა 52 წლის ასაკისათვის ნიჭიერთა და რჩეულთა ხვედრია.

პეტრე შოთაძეს საქართველოში ონკოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ცნობილი ქირურგის, მეცნიერის, პედაგოგისა და ჯანმრთელობის დაცვის აღიარებული ორგანიზატორის, პროფესორ დავით შოთაძის მემკვიდრეობა ხვდა წილად. სახელოვანი მამის ტრადიციების შენარჩუნება და გაღრმავება მისი ცხოვრების მიზნად იქცა.

ოჯახური ატმოსფერო და იქ დამკვიდრებული საექიმო გარემო პეტრეს მომავალ პროფესიას უყრიდა საფუძველს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტობის წლებშივე განისაზღვრა მისი საექიმო სპეციალობა – ეს იყო ქირურგია. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პეტრე შოთაძის პროფესიული საქმიანობა ჯერ პროფესორ ვახტანგ ფიფიას ხელმძღვანელობით იწყება, ხოლო შემდგომ პროფესორ რევაზ იაშვილთან გრძელდება.

სწრაფვა დახელოვნებისაკენ მრავალ პრობლემათა დაძლევას მოითხოვდა. ახალგაზრდა ექიმისათვის ყოველივე აღნიშნულის სრულყოფა პროფესიული გამოცდილების საფუძვლებს უქმნიდა. ეს იყო: თეორიული ცოდნის გაღრმავება, პრაქტიკული გამოცდილების შეძენა, ექიმისა და პაციენტის ტრადიციული ურთიერთობის ნიუანსებში გარკვევა; დეონტოლოგიისა და საექიმო ეთიკის საკითხების დახვეწა და სხვა.

ამავე დროს პეტრე შოთაძის ცხოვრებაში არსებობდა მეორე სამყარო: ეს იყო უზომო ერთგულება და პასუხისმგებლობა მეგობრების, კოლეგების მიმართ, სიყვარული იმ ქალაქისა, რომლის ტრადიციებზე აღიზარდა, დავაჟკაცდა და ჭეშმარიტ თბილისელად ჩამოყალიბდა.

პირველი შემხვედრი თუ დიდი ხნის ნაცნობი უმალ შეამჩნევდა მის ვაჟკაცურ თვისებებს – კეთილგანწყობას და უშუალობას.

ურთიერთობაში ადამიანურ სითბოს უხვად გასცემდა, პასუხად ამასვე ითხოვდა.

ბატონი პეტრეს პროფესიული მოღვაწეობა შემდეგ წლებში დაკავშირებული იყო ეროვნული ქირურგიული სკოლის თვალსაჩინო მოღვაწის, პროფესორ ზაალ კახიანის სახელთან. თითქოს განგებამ ასე ინებაო, ბატონი ზაალი თავად გახლდათ პროფესორ დავით შოთაძის მოწაფე, ხოლო შემდგომ ეს ტრადიცია ზაალისა და პეტრეს ურთიერთობით გაგრძელდა. პროფესიულ საქმიანობაში თანამოაზრეობა, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის – ექიმთა დახელოვნების კერის ერთობლივ ხელმძღვანელობაში გადაიზარდა. ამ პერიოდში სახე იცვალა სასწავლო-სამკურნალო ცენტრმა. დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბების პერიოდში, რომელსაც მთელი არსებით თანაუგრძნობდა პეტრე შოთაძე, უმაღლესი სასწავლებელი ახალი მოთხოვნებისა და პრობლემების დაძლევას საჭიროებდა.

ზოგადად ეს იყო – სამედიცინო კადრების პროფესიული დახელოვნების სრულყოფა, უახლესი სასწავლო-სამეცნიერო თემატიკის შემუშავება, უმაღლესი სასწავლებლის თანამედროვე დონეზე აღჭურვა, ინტეგრაცია მსოფლიოს წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთან და სხვა მრავალი.

იმ პერიოდისათვის ამ მიზნის მიღწევა დიდ ძალისხმევას საჭიროებდა, რაც წარმატებით იქნა დაძლეული.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი პეტრე შოთაძის ცხოვრებიდან. ბატონ ზაალ კახიანის რექტორობის ვადის ამოწურვის შემდეგ დაისვა საკითხი მისი ახალი ხელმძღვანელით შეცვლის თაობაზე. უმაღლესი სასწავლებლის თანამშრომელთა დიდი უმრავლესობის აზრით, ასეთ პიროვნებად აღიარებულ იქნა პროფესორი პეტრე შოთაძე, რასაც ერთხმად დაუჭირა მხარი დიდმა სამეცნიერო საბჭომ. პეტრე შოთაძე ამ უმაღლესი სასწავლებლის რექტორი გახდა.

პეტრე შოთაძემ კიდევ ერთ კეთილშობილურ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი: ყოველწლიურად ჩხარის საავადმყოფოში, რომელიც პროფესორ დავით შოთაძის სახელს ატარებს, სამედიცინო დარგის თვალსაჩინო სპეციალისტების მონაწილეობით ტარდება „ღია კარის“ დღე. ეს ღონისძიება ტრადიციული გახდა და პეტრეს კოლეგები ჩხარის საავადმყოფოს მის დაბადების დღეს სტუმრობენ აღნიშნული ღონისძიების ჩასატარებლად.

პეტრე შოთაძეს მრავალი ჩანაფიქრის ასრულება საუბედუროდ არ დასცალდა. 52 წლის ასაკში შეწყდა მისი მაჯისცემა.

ჭეშმარიტ მამულიშვილს და ღირსეულ მოქალაქეს მძიმე განცდით გამოეთხოვა საქართველოს საზოგადოება, მაგრამ საბედნიეროდ დარჩა სახელი და საქმენი ქვეყნის ერთგული შვილის, იმის მაგალითად, თუ როგორი თავდადებით უნდა ემსახურო შენს ხალხს, სამშობლოს, პროფესიას და იცხოვრო უკეთესი მომავლის რწმენით. ასეთი იყო პეტრე შოთაძე ცხოვრებაში, ასეთი დარჩა ის ყველა ჩვენგანის ხსოვნაში.

**პროფესორები:**
**გიორგი მენაბდე,**
**ირაკლი ფავლეიშვილი,**
**დიმიტრი წვერავა,**
**გიორგი კანდელაკი,**
**ჯანგირ მამალაძე**

◎ ინფორმაცია

## „სუხიშვილების“ გასტროლები შესაძლოა, ჩაიშალოს

**ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის გასტროლები, რომელიც მოსკოვში 1-2 ნოემბერს იგეგმებოდა, შესაძლოა, ჩაიშალოს.**

„როგორც ანსამბლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერმა ხატია ექიზაშვილმა განაცხადა, რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოსთან სატრანსპორტო მიმოსვლის შეჩერებასთან დაკავშირებით მოსკოვში „სუხიშვილების“ გასტროლებისთვის მზადების პროცესიც შეწყდა.

„ვინაიდან რუსეთის ფედერაციის საკონსულომ საქართველოს მოქალაქეებზე ვიზების გაცემა შეწყვიტა, ჯერჯერობით გაურკვეველია მოახერხებს თუ არა ჩვენი იმპრესარიო ანსამბლის წევრების მოსკოვში ჩაყვანას. იმედი გვაქვს, ერთ თვეში რამე შეიცვლება და ანსამბლის გასტროლები არ ჩაშლება“, – განაცხადა ექიზაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## განცხადება

**საქციო საზოგადოება „კაზეს“ აქციონერთა რიგგარეშე კრების მოწვევის შესახებ**

**სს „კაზეს“ გენერალური დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს სს-ის რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც ჩატარდება 2006 წლის 25 ოქტომბერს ქალაქ რუსთავში, მეგობრობის გამზირის № 32-ში მდებარე სასტუმრო „რუსთავის“ შენობაში, პირველ სართულზე, 12 საათზე.**

**დღის წესრიგი:**

1. სააქციო საზოგადოება „კაზეს“ ლიკვიდაციის შესახებ;
2. სააქციო საზოგადოება „კაზეს“ ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ;
3. სააქციო საზოგადოება „კაზეს“ ქონების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სააქციო საზოგადოება „კაზეს“ აქციონერებმა დღის წესრიგთან დაკავშირებით განმარტებები შეიძლება მოითხოვონ გენერალურ დირექტორთან ან სამეთვალყურეო საბჭოში. შენიშვნების წარმოდგენის ბოლო ვადაა 15 ოქტომბერი. მათზე გაცემული იქნება წერილობითი ან ზეპირი პასუხი, ან შევა დღის წესრიგში დამატებით პუნქტად.

კრებაზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია ყველა აქციონერი, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ საზოგადოების აქციათა რეესტრში ა. წ. 15 სექტემბრამდე (საპარიცხვო დღეა).

თბილისი, 2006 წლის 3 ოქტომბერი.

## შპს „წყნეთის ცენტრალური ზონა“ აცხადებს აუქციონს

**ადმინისტრაციული კორპუსის, მასთან დაკავშირებული ქონების და მასზე არსებული წესით დამაგრებული 10625 კვ. მ. მიწის ნაკვეთის რეალიზების მიზნით.**

**ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**

**მისამართი:** დაბა წყნეთი, დავით აღმაშენებლის ქ. №59.

**ობიექტის გაშენების ფართობი:** 2112 კვ.მ.

**ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 10625 კვ.მ.

**საწყისი გასაყიდი ფასი:** 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

**ობიექტის დახასიათება:** ობიექტი წარმოადგენს ორსართულიან შენობას, აგებულია აგურითა და ბლოკით. ობიექტთან დაკავშირებული ქონება: მისასვლელი გზა, ელ. გაყვანილობა, გარე კანალიზაცია, თბოქსელი, სადრენაჟო ხაზი, წყალგამტარი ხაზი, რკ. ბეტონის საყრდენი კედელი, რკ. ბეტონის მიწისქვეშა არხი, ავტოსადგომი, წყალგაყვანილობა.

**აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 18 ოქტომბერს, დღის 12 საათზე.**

აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრეს“ 30.09.06წ. №39 (484ძ, (ჭანტურიას ქ. №12, VIII სართულიძ.

**შპს „წყნეთის ცენტრალური ზონა“**

**მისამართი:** დაბა წყნეთი, დავით აღმაშენებლის ქ. №59.

**საკონტაქტო ტელეფონი:** (877) 41-30-90.

გისურვებთ ჯანმრთელობას!

# დიაბეტი მხოლოდ დაავადება არ არის

## დროა, შევცვალოთ სამყარო

**დღეს აფხაზეთის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს დიაბეტის და ენდოკრინულ ასოციაციათა კავშირი, საქართველოს დიაბეტის ცენტრი მართავს საგანგებო ღონისძიებას, რომელიც დიაბეტის მსოფლიო დღეს ეძღვნება.**

**ღონისძიება მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში 15 საათზე დაიწყება.**

**ამ მოვლენასთან დაკავშირებით გვესაუბრება დიაბეტის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი რამაზ ყურაშვილი.**

**— ბატონო რამაზ, ბოლო ხანს საქართველოში სასიამოვნოდ შეიცვალა ქართული საზოგადოების, ხელისუფლების, ჯანდაცვის სამინისტროს დამოკიდებულება დიაბეტის პრობლემისადმი. ისიც ყველამ იცის, რომ დიაბეტის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში გაერთიანების მოთავე თქვენი ცენტრია. მაინც, რა ეტაპზე ვართ ამ უკურნებელი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში?**

— შაქრიანი დიაბეტი ერთ-ერთი ძვირადღირებული დაავადებაა მსოფლიოში. მართალია, იგი განუკურნებელია, მაგრამ აბსოლუტურად კონტროლირებადი გახლავთ. დიაბეტთან ერთად ცხოვრება ძალიან დიდხანს შეიძლება თუ სათანადო განათლება გვაქვს და ვიცით როგორ უნდა მოვიქცეთ. საქართველოში დღითი დღე უმჯობესდება დიაბეტთან ბრძოლის ხარისხი. დღეს ქართველი ექიმი დიაბეტოლოგები ბრძოლის თითქმის ყველა იმ მეთოდს ვფლობთ, რაც კი მსოფლიოში არსებობს.

**— როგორც თქვენი შესანიშნავი ჟურნალის „დიაბეტი და ჯანმრთელობის“ მრავალრიცხოვანი მკითხველისთვის ცნობილია, 14 ნოემბერი აღიარებულია დიაბეტის საერთაშორისო დღედ. ყოველწლიურად IDF (დიაბეტის საერთაშორისო ფედერაცია) ირჩევს წლის წამყვან თემას. ბოლო 3 წლის განმავლობაში წლის თემისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებები დიდი ხნის განმავლობაში ტარდება. მათი მიზანია დიაბეტსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ცოდნის გაღრმავება და ინფორმაციის მიწოდება მილიონობით ადამიანისათვის მთელ მსოფლიოში. წლეულს რა თემებია პრიორიტეტული?**

— 2006 წლის თემებია: **დიაბეტი და მკვიდრი მოსახლეობა; დიაბეტი და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებში მყოფი მოსახლეობის ჯგუფები.**

მოგეხსენებათ, ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის განვითარებული ქვეყნების მოსახლეობა მდიდარი საზოგადოების ყველა პრივილეგიით სარგებლობს — მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურება, ცხოვრების ჯანსაღი წესი და სხვ.

მეორე მხრივ, სიღარიბე, ასაკი, ოჯახური შემოსავალი, მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია და ბევრი სხვა რამ უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

სამწუხაროდ, სწორედ იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ყოველთვიური შემოსავალი საშუალო ან საშუალოზე დაბალია, მკვეთრად იცვლება დაავადებების სურათი — ქრონიკული დაავადებები (მათ შორის, დიაბეტიც) წინ უსწრებს ინფექციურს (მალარია, შიდსიც) და მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას, ოჯახს და თვით ადამიანს. გარდა ამისა, უახლოეს წლებში სწორედ ამ ქვეყნებშია მოსალოდნელი შაქრიანი დიაბეტის ახალი შემთხვევების მკვეთრი ზრდა (270 პროცენტამდე). ასეთი შემაშფოთებელი სტატისტიკის ერთ-ერთი მიზეზია ცხოვრების ტრადიციული წესებიდან გადახვევა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის დიაბეტის განვითარების რისკს იმ პირებში, ვისაც მისადმი მიდრეკილება აქვს.

სხვადასხვა საზოგადოებაში, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა სოციალურ გარემოში მცხოვრები ადამიანები ერთნაირად ხარისხიან სამედიცინო დახმარებას ვერ იღებენ. არა აქვთ საშუალება შეიძინონ ყველა აუცილებელი მედიკამენტი და თვითკონტროლის საშუალებები. ისინი ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას სამსახურში, სკოლაში, საერთოდ საზოგადოებაში. ამის მიზეზი დიაბეტთან, მის გართულებებთან, პროფილაქტიკასთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაციის უქონლობაა. ასეთ სიტუაციაში, პირველ რიგში, ზარალდება ის პიროვნება, რომელიც ნაკლებადაა დაცული გარემოსაგან — ბავშვები, მოზარდები, ორსული ქალები, ხანდაზმული ადამიანები, იძულებით გადაადგილებული პირები და სხვ.

**— თქვენ ყოველთვის ხაზგასმით ამბობთ, რომ დიაბეტთან ბრძოლაში წარმატების მისაღწევად აუცილებელზე აუცილებელია მთელი საზოგადოების გაერთიანება...**

— დიახ, დიაბეტის დღესთან დაკავშირებული მიზნის მისაღწევად საკმარისი არ არის მხოლოდ დიაბეტის ასოციაციების (როგორებიცაა დიაბეტისა და ენდოკრინოლოგიური ასოციაციების კავშირიც) აქტიურობა, საჭიროა მთელი საზოგადოების — ხელისუფლების, ჯანდაცვის სამინისტროს, პოლიტიკოსების, სამრეწველო ორგანიზაციების მხარდაჭერა. ეს მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს, სადაც IDF-მა წამოიწყო კამპანია გაეროს დიაბეტის შესახებ რეზოლუციის რატიფიკაციისათვის. კამპანიის ლოზუნგია **„გავერთიანდეთ დიაბეტის წინააღმდეგ“**, ემბლემა — თეთრ ფონზე გამოსახული ცისფერი წრე, რომელიც დიაბეტის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების ერთობის სიმბოლოა. რეზოლუციის მიზანია გაეროს მხარდაჭერით დიაბეტის პროფილაქტიკისა და მკურნალობის გაუმჯობესება მთელ მსოფლიოში, ყველა სახელმწიფოს ხელისუფლების ჩართვა ამ პროცესში, რათა დიაბეტი პრიორიტეტულ მიმდინარეობად ვაღიაროთ ისევე, როგორც ეს არის ტუბერკულოზთან, შიდსთან და სხვა დაავადებებთან დაკავშირებით.

**— იდეა ვის ეკუთვნის?**

— ამ რეზოლუციის იდეა ეკუთვნის დიაბეტით დაავადებულ 16 წლის გოგონას. პირველი მას მხარი დაუჭირა პროფ. მარტინ სილინკმა (IDF-ის მომავალმა პრეზიდენტმაც), სადღეისოდ მას შეუერთდნენ უმსხვილესი არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაც. ოპტიმიზმის იმედს გვაძლევს განსაკუთრებული აქტივობა ევროპაში. საქმიანობაში ჩართულნი არიან დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი პიერ ლეფერი, დიდ



ბრიტანეთში — მაიკლ ჰერსტი, ან-მარი ფელტონი; აფრიკაში — ჟან-კლოდ მბანი; საქართველოში — პირველი ლედი სანდრა რულოვსი, პარლამენტში — გიგი წერეთელი, ჯანდაცვის მინისტრი ვლადიმერ ჭიპაშვილი, მისი მოადგილეები: ლევან ჯუღელი, კოკა ფრუიძე, ირაკლი გიორგობიანი, ვარლამ მოსიძე, აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრი დალილა ხორავა და სხვ.

დიაბეტი მხოლოდ დაავადება არ არის, ეს კაცობრიობის არსებობის ის სფეროა, სადაც ყოველი დიაბეტიანი პირი და ის ადამიანები, ვისაც დიაბეტის პრობლემა გულთან ახლოს მიაქვს, უზარმაზარ ძალას ფლობს საიმისოდ, რომ ჩაერიოს მიმდინარე მოვლენებში და ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს.

ჩვენ ერთი გუნდი ვართ და თქვენც, ერთ-ერთი ჩვენგანი. გავერთიანდეთ დიაბეტის წინააღმდეგ ბრძოლაში!

**— როგორც ვიცით, საქართველოში მინიმუმ 10 000 დიაბეტით დაავადებული ადამიანი ცხოვრობს. ეს ვინც ოფიციალურად მკურნალობს. სამწუხაროდ, ზუსტად არავინ იცის იმათი რაოდენობა, ვინც უსახსრობის გამო ექიმთან ვერ მიდის და ოჯახში ვილაცის ზერელე რჩევით კმაყოფილდება. თქვენ, ალბათ, ამიტომაც ანიჭებთ დიაბეტურ განათლებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას...**

— დიახ, პაციენტის დიაბეტური განათლება ყველა ასაკისთვისაა საჭირო, ვინაიდან ეს, უპირველეს ყოვლისა, თავის დაცვაა როგორც დაავადებისგან, ისე საზოგადოების უცოდინარი ნაწილის ცხოვრების წესებისა და „რჩევა-დარიგებებისაგან.“



დიაბეტი და ჯანმრთელობა

2006 წ. № 10

დიაბეტურ განათლებას ყველა ექიმი ვერ ფლობს, ამისთვის სპეციალური მომზადებაა საჭირო. ევროპაში დიაბეტური განათლების ლიდერია ევროპის დიაბეტის ასოციაციასთან შექმნილი დიაბეტის განათლების სამუშაო ჯგუფი, რომლის მოქმედი წევრები ვართ 1994 წლიდან. ქართული დიაბეტური სკოლის შექმნაში გულწრფელად დაგვეხმარნენ გერმანელი პროფესორი მაიკლ ბერგერი და ამერიკელი პროფესორი დონალდ ეტცვაილერი. საქართველოს მეგობართა კლუბის წევრების სია მუდმივად იზრდება. ჟურნალ „Diabetes Uoice“-ის მთავარმა რედაქტორმა, პროფესორმა ფილიპ ჰიუმმა თავი გამოიჩინა იმით, რომ მრავალგზის დაგვიჭირა მხარი გამომცემლობით სფეროში: 10 სახელმძღვანელო წიგნის თარგმანის და დაბეჭდვის ნებართვა მოგვცა, წინასიტყვაობაც დაურთო და გამოცემებს მაღალი შეფასებაც მისცა.

დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსთან ჩვენი ჟურნალის მეშვეობით. დიაბეტოლოგია ინტეგრირებულია მრავალ სამედიცინო დარგთან, რაც მისი განვითარების მაჩვენებელია. აქედან გამომდინარე, ჩვენი გეგმები სულ უფრო საინტერესო ხდება. განათლებული საზოგადოების ძალა ერთობაშია. ვიმეორებ: მხოლოდ ერთად შევძლებთ დიაბეტის დამარცხებას.

**ესაუბრა**
**სპარტაკ ქოზულია**

## ეს უნდა წაიკითხო!

**ერთმანეთზე უკეთესი სამედიცინო-საგანმანათლებლო ჟურნალის „დიაბეტი და ჯანმრთელობა“ ათი ნომერი მიიღო მკითხველმა. დიაბეტის მსოფლიო დღის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიების წინ დაინტერესებულ მკითხველს მხოლოდ ჩამონათვალს გავაცნობთ იმ საინტერესო თემებისა, რომლებმაც ბოლო, მეათე ნომერში მოიყარეს თავი. „დიაბეტის გართულებები“, „გესტაციური შაქრიანი დიაბეტი“, „კიდევ ერთხელ დეპრესიაზე“, „გლაუკომა და შაქრიანი დიაბეტი“, „თირკმელების ზოგიერთი პათოლოგია შაქრიანი დიაბეტის დროს“, „პად-გულსისხლძარღვთა დაავადებების სისხლძარღვოვანი ნაწილი“, „პაპილარული ნეკროზი“, „ფიზიკური დატვირთვა შაქრიანი დიაბეტის დროს“, „დიაბეტი და ნერვების დაზიანება“, „ნაბიჯ-ნაბიჯ ვსწავლობთ დიაბეტური ტერფის სინდრომს და ვიცავთ ჩვენს ფეხებს დიაბეტის დროს“, „შაქრიანი დიაბეტის კლინიკური სურათი ბავშვთა ასაკში“, „იცხოვრე შენს დიაბეტთან ერთად მოწიფულობის ჟამს“, „საოჯახო რეცეპტები — რა უნდა ვქნათ, რომ ისინი სასარგებლო იყოს თქვენთვის“, ახალი ამბები, დიაბეტურ ტერმინთა ლექსიკონი, ტესტები, ახალი პრეპარატების რეკლამა და სხვ.**

**ჟურნალი გემოვნებით არის გაფორმებული. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი ილუსტრაციები.**

* * *

***გთავაზობთ მცირე ამონარიდს ჟურნალიდან***



ფოტო ჟურნალიდან

რენე მაგრიტი

## იცით თუ არა...

● **ბედნიერი ქორწინება აადვილებს დიაბეტთან ერთად ცხოვრებას. ცხოვრების ჩვეული წესის ყველა ცვლილებიდან, რაც თან ახლავს ოჯახს, ერთი ყველაზე მეტად გაგაკვირვებთ: ქორწინება მოქმედებს იმაზე, თუ როგორ აკონტროლებთ თქვენს დიაბეტს, და სისხლის შაქრის დონეზეც კი.**

● **გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ როცა თქვენს გვერდით არიან ადამიანები, რომლებსაც ენდობით, თქვენთვის ადვილია ქრონიკულ დაავადებასთან „გამკლავება“. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანები, რომლებიც ბედნიერნი არიან ქორწინებაში, ადვილად ეჩვევიან დიაბეტთან ერთად ცხოვრებას. რატომ? ამის ერთ-ერთი ახსნა შეიძლება იყოს ის, რომ ქორწინებაში უბედურ ადამიანს, როგორც წესი, სისხლის შაქრის ცუდი კონტროლი აღენიშნება. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მუდმივი სტრესები სათანადო მკურნალობის და გლუკოზის მონიტორინგის საშუალებას არ აძლევს.**

● **რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი გლუკომეტრების შეცვლა უფრო თანამედროვე მოდელებით? ახალი გლუკომეტრები უფრო ზუსტია და მათთან უფრო იოლია მუშაობა, მათ უფრო თანამედროვე ფუნქციები აქვთ. პატარაა და სისხლს მცირე რაოდენობით მოითხოვს.**

● **როგორ შევამოწმოთ, გაქვთ თუ არა პირში არასასიამოვნო ან აცეტონის სუნი? თუ თქვენ კარგი ახლობლები გყავთ, ისინი გეტყვიან, რომ პირიდან არასასიამოვნო სუნი ამოგდით. თუ არავის იმედი არ გაქვთ, ალოკეთ მაჯა და რამდენიმე წამის შემდეგ უყნოსეთ. თქვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება.**

◎ კალათბურთი



## დღეს ფინალისტები გამოვლინდებიან



**ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში დღეს მთავრდება დუდუ დადიანის V მემორიალის პირველი ეტაპი — ჯგუფური რაუნდის დასკვნით ტურში ითამაშებენ:**
**„მაქაბი“ — სსუ (12 საათზე),**
**„ავიამშენი“ — სტუ (14 საათზე),**
**თსუ — „აზოტი“ (16 საათზე).**
**გაუწყებთ გუშინდელი შეხვედრების შედეგებს:**
**სსუ — თსუ 53:92,**
**„მაქაბი“ — „აზოტი“ 79:112,**
**„დინამო“ — „ავიამშენი“ 60:70.**

◎ მსოფლიო მატჩი




## ანგარიშია 3,5:2,5

**ორშაბათს „სატუალეტო სკანდალის“ შემდეგ, რის გამოც რუსეთელი ვლადიმირ კრამნიკი ჭადრაკში მსოფლიო პირველობისათვის მატჩის მეხუთე პარტიაზე პროტესტის ნიშნად არ გამოცხადდა და ტექნიკური დამარცხება ჩაეთვალა, გულშემატკივრები მოთმენლად ელოდნენ მეექვსე პარტიას.** თეთრებით ბულგარელი დიდოსტატი ვესლინ ტოპალოვი თამაშობდა. მეტოქეებმა გაითამაშეს სლავური დაცვის მშვიდი ვარიანტი, დაფიდან თანდათან გაქრა მხედრები, ეტლები, მსუბუქი ფიგურები და ბულგარელის მცირე უპირატესობაც. 31-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიშია 3,5:2,5 კრამნიკის სასარგებლოდ.

მეშვიდე პარტია ალბათ დღეს გაიმართება. მეტოქეებმა უნდა გაითამაშონ 12 პარტია დროის კლასიკური კონტროლით. ბოლო პარტია დანიშნულია 10 ოქტომბრისთვის. საყაიმო ანგარიშების შემთხვევაში 12 ოქტომბერს გაიმართება დამატებითი პარტია დროის შემოკლებული კონტროლით.

◎ ლეგიონერი

# „ფრთებს“ ვერ შეელევა კიდევ ორი წელი

**რუსეთის ფეხბურთელთა ეროვნულ ჩემპიონატში სამარის „კრილიასა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩის მე-15 წუთზე დაშავებულმა დავით მუჯირმა თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. თავიდან უმნიშვნელო ტრავმა ეგონათ, მერე აღმოჩნდა, რომ ქართველ ლეგიონერს კარგა ხანს მოუწევდა ბურთთან განშორება.**

— ჩვეულებრივი სათამაშო ეპიზოდი იყო, მორიგი ორთაბრძოლა. მუხლში ძლიერი ტკივილი ვიგრძენი და მოედანზე ყოფნა ველარ შევძელი. სურათი გადავიღეთ და მყესები აღმოჩნდა დაჭიმული. ეს ისეთი ტრავმაა, რომ ზუსტად რამდენი დღე დასჭირდება მის მოშუშებას, ვერავინ იტყვის. თბილისში ჩამოვედი და აქაური ექიმების მეთვალყურეობით ვმკურნალობ. შევძლებ თუ არა გერმანიასთან და იტალიასთან თამაშს, ვერ გეტყვით. ამ ეტაპზე მეც და ექიმებიც კომენტარისგან თავს ვიკავებთ, — მითხრა გერმანიაში გამგზავრების წინ საქართველოს ნაკრების წევრმა დავით მუჯირმა.

მოგეხსენებათ, ჯვაროსნები ორშაბათს ქალაქ როსტოკში შეიკრიბნენ და ორი მნიშვნელოვანი პაექრობისათვის იქ ემზადებიან. სამწუხაროდ, ორი გაფრთხილებისა და ტრავმების გამო, შესაძლოა, იტალიასთან მნიშვნელოვან მატჩში ვერ ითამაშონ კობიაშვილმა, დემეტრაძემ, გოგუამ (ეს უკვე გარკვეულია), ასათიანმა, არველაძემ და მუჯირმა, თუმცა დათოს მდგომარეობა, ექიმების აქტიური ჩარევის შემდეგ, ბევრად საიმედოა. ამის თაობაზე თავადაც განაცხადა ჩვენთან საუბარში.

**— 7 და 11 ოქტომბრის მატჩებში საქართველოს ნაკრებს რა შანსები აქვს?**



— მოგეხსენებათ, ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულებსა და ბრინჯაოს პრიზიორებს ვხვდებით, ცხადია, მათთან პაექრობისას ფავორიტებად არ ვითვლებით. თანაც ჩვენი მწვრთნელები მოედანზე უძლიერესი შემადგენლობის გამოყვანას ვერ ახერხებენ. ამის მიუხედავად, წინასწარ ყურების ჩამოყრას არ ვაპირებთ. ის ფეხბურთელები, რომლებიც 7 და 11 ოქტომბერს ჯვაროსანთა ფორმებს მოირგებენ, სასურველი შედეგის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებენ. გული მწყდება და ძალიან ვნერვიულობ, ამ ისტორიული მატჩების გაცდენის წინაშე რომ ვდგავარ. მოედანზე თუ ვერ გავედი, ტრიბუნებიდან ვუქომაგებ ჩვენს ბიჭებს, რომლებიც შეეცდებიან მეტოქესაც და გულშემატკივრებსაც სიურპრიზები შესთავაზონ.

**— საკუთარ კარიერაზე რას იტყვი — „კრილიაში“ რჩები, თუ სხვა გუნდში აპირებ გადასვლას?**

— რუსეთის ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ კიდევ ორი თვეა დარჩენილი. დაძაბული ორთაბრძოლები გველის, ამიტომ ამჯერად მთლიანად „კრილიას“ მატჩებზე ვარ ორიენტირებული. რაც შეეხება გუნდის შეცვლას, ის ჩემზე არ არის დამოკიდებული, რადგან კონტრაქტით სამარელთა გუნდში კიდევ ორი სეზონი უნდა გავატარო. ამდენად, ახლა ამ თემაზე ლაპარაკი მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**

◎ რაგბი

# საგზურის ბედი კარპატებში წყდება

**გაისად მორაგბეთა მსოფლიო თასი გათამაშდება. ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრების ფინალური ეტაპის საგზურის მოსაპოვებლად გულდაგულ ემზადება საქართველოს ნაკრები. ბორჯღალოსნები პარიზთან ახლოს ქალაქ მასიში გადიან საწვრთნელ შეკრებას. ეროვნული გუნდის მწვრთნელებმა — მალხაზ ჭეიშვილმა, პაატა ნარიმანიშვილმა და დავით ჩავლეიშვილმა საფრანგეთში 26 მორაგბეს უხმეს. ესენი არიან:** გოდერძი შველიძე, დავით ზირაქიშვილი, აქვსენტი გიორგაძე, ავთო კოპალიანი, დავით ხინჩაგაშვილი, გიორგი კუთარაშვილი, ილია ზედგინიძე, მამუკა გორგოძე, ვიქტორ დიდებულიძე, ლევან დათუნაშვილი, ბესო უდესიანი, რატი ურუშაძე, გია ლაბაძე, ილია მაისურაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ბიძინა სამხარაძე, ირაკლი აბუსერიძე, გიორგი კაჭარავა, პალიკო ჯიმშელაძე, ოთარ ბარკალაია, ირაკლი გიორგაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, რეზო გიგაური, ირაკლი მაჩხანელი, გიორგი შკინინი და ბესიკ ხამაშურიძე. მათგან 22 საუკეთესო გაემგზავრება ბუქარესტში, სადაც **7 ოქტომბერს** B ჯგუფში მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში რუმინელები ბორჯღალოსნებს უმასპინძლებენ. ეს არის მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა, რადგან აქ გამარჯვებული პირდაპირ გადის მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე (დამარცხებულს კიდევ ორი შანსი ეძლევა). როგორც შევიტყვეთ, რუმინელთა რიგებში, სავარაუდოდ, პეტრე მიტუ და მარიუს ტინკუ არ ითამაშებენ.



B ჯგუფში მეორე შეხვედრა 14 ოქტომბერს მადრიდში გაიმართება — ესპანელები, რომლებმაც საკვალიფიკაციო რაუნდში ჩეხებს სძლიეს (33:12, 46:10), კარპატელებს შეხვდებიან, თუმცა ამ პაექრობაში პირენეელთა წარმატების შანსი, ფაქტობრივად, ნულის ტოლია, ისევე, როგორც 28 ოქტომბერს თბილისში საქართველოს ნაკრებთან ორთაბრძოლისას.

საგულისხმოა, რომ A ჯგუფში 7 ოქტომბერს ფავორიტი იტალია პორტუგალიას უმასპინძლებს. 14 ოქტომბერს რუსეთი-იტალია ითამაშებენ, ხოლო 28 ოქტომბერს პორტუგალიელები და რუსები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ ჯგუფში გამარჯვებულიც პირდაპირ გადის ფინალურ ეტაპზე. A და B ჯგუფის მეორეადგილოსნები კი მესამე საგზურის მფლობელის ვინაობას ორ მატჩში (შინ და გარეთ) გაარკვევენ.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ორბიტაზე

## „ფორმულა-1“ — სამხრეთ კორეაში?

**როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 2010 წელს სამხრეთ კორეაში გაიმართება ავტორბოლაში („ფორმულა-1“) მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი.**



„სამეფო რბოლების“ თავკაცმა ბერნი ეკლსტოუნმა და სამხრეთ კორეის პროვინცია სამხრეთ ჩოლას გუბერნატორმა პარკ ჩჟუნ იონმა გამოაცხადეს, რომ სამხრეთ ჩოლაში აშენდება ახალი ავტოდრომი, რომელიც 250 მილიარდი ვონი (264 მილიონი დოლარი) დაჯდება.

## განაჩენი — დაგვიანებული, მაგრამ სამართლიანი

**ძნელია ცნობილ ადამიანად ყოფნა. მათ გარშემო ხომ მუდამ დაძრწიან ადამიანები, სხვის დიდებაზე ხელის მოთბობა რომ უნდათ.**

ამის მოწმეა კიმ რობერტსი — ამერიკელების საყვარელი გასართობის — ჰაკროსის მოთამაშე.

მარტის ერთ თბილ საღამოს, სეზონის თითქმის შუაგულში, კიმმა და მისმა მეგობრებმა წვეულება მოაწყეს. თუმც მაგარ სასმელებზე უარი თქვეს და მხოლოდ უალკოჰოლო ლუდს წრუპავდნენ, სამაგიეროდ, მოიწვიეს სტრიპტიზიორი ქალი, რაღაცით ხომ უნდა გართობილიყვნენ. ეს კი ძალზე ძვირი დაუჯდათ.

მეორე დილას გუნდის „დარჩემის“ ვარჯიშის დროს სტადიონზე მივიდნენ პოლიციელები. თურმე სტუმარ ქალბატონს უბრძანებია — გამაუპატიურესო.

ბიჭებმა ბევრი იფიცეს — ხელი არ გვიხლიაო. გამოძიება 7 თვე გაგრძელდა და მხოლოდ სექტემბრის ბოლოს გამოიტანეს დაგვიანებული, ბევრისთვის მოულოდნელი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი. სტრიპტიზიორს 4 თვით საშინაო პატიმრობა და ცილისწამებისთვის 25 ათას-დოლარიანი ჯარიმა მიესაჯა. რაც მისმა დამქირავებელმა ხელფასიდან უნდა გამოუქვითოს.



◎ ჭადრაკი

# ლაზიერი პაიკის წინააღმდეგ

**ენდშპილში ლაზიერის მიერ გამსვლელი პაიკის შესაჩერებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ორ ძირითად ფაქტორს;**

I. მერამდენე ჰორიზონტალს მიაღწია სუსტმა მხარემ (პაიკი და მეფე);

II. რომელ ვერტიკალზე იმყოფება გამსვლელი პაიკი.

მაგალითად, a და h პაიკის შემთხვევაში თეთრები იგებენ. იმ პირობით, თუ მათი მეფე დაფის შემოხაზულ ნაწილში იმყოფება.

შავები ახერხებენ პაიკის ლაზიერად გარდაქმნას, მაგრამ ამას დადებითი შედეგი არ მოაქვს.




დავუშვათ მეფე b5 უჯრაზე იმყოფება, მაშინ 1. ლ d2+ მფ b1 2. მფ b4 a1ლ 3. მფ b3 და თეთრები იგებენ შამათი ეფექტურია, როცა მეფე e4 უჯრაზეა: 1. ლd2+ მფ b1 2. მფd3 a1ლ 3. ლc2x

**როგორც ვხედავთ, ყველაფერი დამოკიდებულია ძლიერი მხარის მეფის პოზიციაზე. გვირგვინოსანი დაფის შემოხაზულ ზონაში თუ ჯდება, მოგება გარანტირებულია.**

**თამაზ შენგელია**

## რას ვფიქრობთ სიკვდილის წინ?


ედუარდ გრიგი


ფრიდრიხ ჰეგელი


მარია ანტუანეტა


ფრიდრიხ I


ლეონარდო და ვინჩი


ემანუილ კანტი

### ვინ რა წარმოთქვა სიკვდილის წინ

შოტლანდიელმა ისტორიკოსმა **თომას კარლეიმ** სიკვდილის წინ მშვიდად თქვა: **„აი, როგორი ყოფილა სიკვდილი!“**

კომპოზიტორმა **ედუარდ გრიგმა** სინანულით ამოთქვა: **„რას იზამ, რახან გარდუვალია...“**

დიალექტიკის მამამთავარი ფილოსოფოსი **ფრიდრიხ ჰეგელი** სიკვდილის წინაც თავის პრინციპებზე იდგა, მიუხედავად რომ დიალექტიკის მის თეორიებს ბევრი ეწინააღმდეგებოდა. სიკვდილის წინ გენიოსმა თქვა: **„მხოლოდ ერთმა ადამიანმა გამიგო მთელი ცხოვრების მანძილზე... თუმცა მანაც ვერ გამიგო!“**

დედოფალი **მარია ანტუანეტა** სიკვდილით დასჯას დამშვიდებული შეხვდა. ეშაფოტზე ასვლისას მან ჯალათს შემთხვევით ფეხზე ფეხი დააბიჯა. **„მაპატიეთ, მუსიე, ეს შემთხვევით მომივიდა!“** – გაიღიმა მან და გზა განაგრძო.

ყველასათვის ცნობილია რომის იმპერატორისა და ცნობილი ტირანის **ნერონის** უკანასკნელი სიტყვები: **„რა დიდებული მსახიობი კვდება!“**

**ვაცლავ ნიჟსკის, ანატოლ ფრანსის, ჯუზეპე გარიბალდისა** და **ჯორჯ ბაირონის** უკანასკნელი სიტყვა იყო – **„დედა!“**

როდესაც კვდებოდა პრუსიის მეფე **ფრიდრიხ I**, მის საწოლთან მუხლმოყრილი მღვდელი ლოცვებს ბუტბუტებდა. სიტყვებზე **„შიშველი მოვედი ამ ქვეყნად და შიშველი წავალ“** ფრიდრიხმა ხელი ჰკრა მღვდელს და წამოიძახა **„არ გაბედოთ ჩემი შიშველი დამარხვა. მხოლოდ და მხოლოდ საალლუმო ფორმით!“**

სიკვდილის წინ **ბალზაკმა** თავისი ერთ-ერთი რომანის პერსონაჟი ექიმი გაიხსენა და დანანებით ჩაილაპარაკა: **„მხოლოდ ის გადამარჩენდა...“**

სიკვდილის მომენტში დიდმა **ლეონარდო და ვინჩიმ** წამოიძახა: **„მე გავანაწყენე ღმერთი და ხალხი! ჩემმა შემოქმედებამ ვერ მიაღწია იმ სიმაღლეს, რისთვისაც ვისწრაფოდი!“**

**მიხეილ რომანოვმა** სიკვდილით დასჯის წინ ჯალათებს თავისი ჩექმები აჩუქა: **„მოიხმარეთ, ბიჭებო! რაც არ უნდა იყოს, მეფის ნაქონია“.**

ცნობილმა ჯაშუშმა-მოცეკვავე ქალმა, ავანტიურისტმა **მატა ხარიმ** დასახვრეტად რომ გაიყვანეს, თოფმომარჯვებულ ჯარისკაცებს გაუღიმა და ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა: **„მე მზად ვარ, ბიჭებო!“**

ფილოსოფოს **ემანუილ კანტის** უკანასკნელი სიტყვები იყო **„Das ist gut“** („ეს კარგია“).

კინემატოგრაფიის დამაარსებელ ორი ძმათაგან ერთ-ერთმა, 92 წლის **ო. ლუმერმა** სიცოცხლე ამ სიტყვებით დაასრულა: **„ჩემი ფირი დამთავრებულია“.**

**ჰენრიკ იბსენი**, დიდი დრამატურგი სიკვდილამდე რამდენიმე წელი პარალიზებული იყო. სიკვდილის წინ იგი ფეხზე წამოიჭრა და დაიძახა: **„პირდაპირ!“**

დიდი მეცნიერის **აინშტაინის** უკანასკნელი სიტყვების აზრი ვერავინ გამოიტანა, რადგან საავადმყოფოში მომვლელთაგან არავინ იცოდა გერმანული. მან კი ბოლო სიტყვები გერმანულად წარმოთქვა.

# „DAS IST GUT“

***ადამიანთა უმეტესობა მთელი ცხოვრების მანძილზე ფიქრობს, თუ როგორი იქნება მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. ზოგი მტერთან ბრძოლაში იღუპება, ზოგი საწოლს მიჯაჭული მძიმე სენით შეპყრობილი, ზოგიც ისე მოულოდნელად, რომ, ვერაფრის თქმასა და გააზრებას ვერ ასწრებს... ასე რომ, წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ქიმიური ელემენტების პერიოდულობის სისტემა დიმიტრი მენდელეევმა სიზმრად იხილა. დიდი ფანტასტის ჟიულ ვერნის მოთხრობებში აღწერილი ტექნოლოგიები ზოგი ათეული წლების, ზოგიც საუკუნის შემდეგ განხორციელდა. რუსი მწერლები კი, თითქოსდა ნათელმხილველნი ყოფილიყვნენ, თავიანთი ცხოვრების უკანასკნელ წლებს აღწერდნენ მოთხრობებში. უფრო მეტიც, სიცოცხლის უკანასკნელი დღის წარმოსახვაც კი შეძლეს.***



### მწერლებმა წინასწარ უწყიან, რა როგორ მოხდება

**ივანე ტურგენევი,** დიდი რუსი მწერალი, 1883 წლის 22 აგვისტოს გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, პარიზის მახლობლად პატარა დასახლება ბუჟივალში. მისი უკანასკნელი სიტყვები ძალიან უცნაურად ჟღერდა: **„მშვიდობით, ჩემო კეთილო, ჩემო თმებდათოვლილებო...“** მომაკვდავის სარეცელთან არ იდგნენ სევდიანი ადამიანები, უბრალო მიზეზის გამო – მიუხედავად მრავალი სასიყვარულო თავგადასავლისა, ტურგენევს ოჯახი არ შეუქმნია. მისი უსაყვარლესი ადამიანი ბოლომდე დარჩა მასზე პლატონურად შეყვარებული პოლინა ვიარდო. ტურგენევის გარდაცვალება ძალზე წააგავდა მისი ერთ-ერთი მოთხრობის ცნობილი გმირის ევგენი ბაზაროვის სიკვდილს. ორივე იმ ქვეყნად გააცილა მათზე შეყვარებულმა ქალმა.

**თევდორე დოსტოევსკიმ** 1881 წლის 28 იანვრის გამთენიისას იმ შეგრძნებით გაიღვიძა, რომ იცოდა აუცილებლად მოკვდებოდა. იგი მშვიდად ელოდებოდა, როდის გაიღვიძებდა მისი მეუღლე. ანა გრიგორევნამ არ დაუჯერა ქმრის სიტყვებს, საბაბიც ჰქონდა – უკვე რამდენიმე დღე იყო, დოსტოევსკის ჯამრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაგრამ მწერალი დაჟინებით ითხოვდა მღვდლის მოყვანას. მან მღვდელს აღსარება ჩააბარა და გარდაიცვალა.

როდესაც კვდებოდა ზოსიმე, დოსტოევსიკის რომანის „ძმები კარამაზოვების“ ერთ-ერთი გმირი, მისი მეგობრებიც გაკვირვებული იყვნენ იმით, ზოსიმეს, რომელიც ძალზედ ჯანმრთელი იყო, დაჟინებული ჰქონდა, რომ მოკვდებოდა. იგი სიკვდილს ვაჟკაცურად შეხვდა: „იგი სახით დაემხო მიწას... და სიხარულისაგან აღფრთოვანებული მიწას კოცნიდა. შემდეგ ღმერთს მშვიდად მიაბარა სული“...

**ანტონ ჩეხოვი** 1904 წლის 2 ივლისის ღამეს გარდაიცვალა გერმანიის საკურორტო ქალაქ ბადენვეილერის სასტუმროს ნომერში. გერმანელმა ექიმმა წინასწარ აცნობა მწერალს სიკვდილის მოახლოება. ძველი გერმანული წესით, ექიმი, რომელიც თავის კოლეგას სიკვდილის დიაგნოზს დაუსვამს (ჩეხოვი პროფესიით ექიმი იყო), ვალდებულია მას შამპანურით გაუმასპინძლდეს. ანტონ ჩეხოვმა გერმანულად წარმოთქვა **„ვკვდები“** და შამპანურით სავსე ბოკალი ბოლომდე გამოსცალა.

მწერლის მეუღლე ოლგა ლეონარდოს ასული შემდგომ მოგონებებში გაიხსენებს იმ ავბედით ღამეს. **„საშინელი სიჩუმე იდგა იმ ღამეს, როდესაც ჩეხოვი გარდაიცვალა. ამ სიჩუმეს მხოლოდ უზარმაზარი შავი ფერის ფარვანას ღამის სანათურებზე შეხლა-შემოხლის ხმა არღვევდა. იგი უაზროდ დაფრინავდა ოთახში“.**

ჩეხოვის ცნობილი „ალუბლის ბაღის“ გმირი ვაჭარი ლოპახინი, როდესაც იყიდის ალუბლის ბაღს და გადაწყვეტს ამ ადგილის გაჩეხვას, შესთავაზებს რანევსკის, სულიერად მომაკვდავ ბაღის პატრონს, შამპანური შესვან და ეს შენაძენი და ერთისათვის დანაკარგი, ამგვარად აღნიშნონ. პიესის ფინალში, სიჩუმეს არღვევს ბაღიდან ხეებზე ნაჯახის დარტყმის ხმა.

**ლევ ტოლსტოიმ** თავისი სიცოცხლის უკანასკნელი რამდენიმე დღე მიყრუებულ ასტაპოვის რკინიგზის სადგურში გაატარა. 83 წლის გრაფმა საბოლოოდ გადაწყვიტა მიეტოვებინა ოჯახი, მდიდრული ცხოვრება და თავის მამულ იასნაია პოლიანას განერიდა. ქალიშვილისა და ოჯახის ექიმის თანხმობით იგი ინკოგნიტოდ მესამე კლასის ვაგონით გაემგზავრა. გზაში გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. დიდი მწერლის უკანასკნელი სიტყვები 1910 წლის 7 ნოემბრის დილას იყო წარმოთქმული: **„მიყვარს ჭეშმარიტება“** (მეორე ვერსიით **„არ მესმის“**).

მისი მოთხრობის „ივან ილიჩის სიკვდილის“ მთავარი გმირი ივანე სიკვდილის წინ აღმოაჩენს, რომ „არაფრისადმი შიში არ ჰქონდა, რადგან სიკვდილიც არ იყო. სიკვდილის ნაცვლად იყო შუქი და ჭეშმარიტება“.


ივანე ტურგენევი


თევდორე დოსტოევსკი


ანტონ ჩეხოვი


ლევ ტოლსტოი

მოამზადა
**მამუკა ვაშაკიძემ.**

## სწავლის ძირი მწარე არის?

# შოკოლადით წაქეზებული ფრიადოსნები

**წახალისების ახალმა ფორმამ, რომელიც რუსეთში სარანსკის 23-ე გიმნაზიის დირექციამ დააწესა, სასურველი შედეგი გამოიღო. დაწყებითი კლასიდან დამამთავრებელ კლასამდე ყველა მოსწავლე, ვინც ნებისმიერ საგანში შეფასება „ფრიადს“ მიიღებს დაჯილდოვდება ერთი ქილა შესქელებული რძით – „სგუშონით“. ნუგბარი ბავშვებისთვის ადგილობრივი რძის ქარხნებიდან მიაქვთ.**

„უნდა ნახოთ ბავშვების გაბრწყინებული სახეები. ახლა საკლასო ოთახში რომ შეხვიდეთ, მასწავლებლის ყოველ შეკითხვაზე ბავშვების აწეული ხელების ტყეს დაინახავთ. სწავლის ხარისხმა იმატა, ხოლო ფრიადოსანთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა, – ამბობს გიმნაზიის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში მიხეილ გურუშკინი. – შოკოლადის ფაბრიკამაც გამოთქვა ინიციატივა ჩვენს სპონსორობაზე. ასე რომ, ფრიადოსნები ნუგბარით უზრუნველყოფილნი იქნებიან“.

ამ ინიციატივას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. იმავე სარანსკის სხვა გიმნაზიების მასწავლებლები შურით აღივსნენ და აცხადებენ, რომ თუ ბავშვს სწავლა უნდა, საჩუქრის გარეშეც უნდა ისწავლოსო. „ჩვენ ვსწავლობთ არა შოკოლადებისათვის, არამედ ცოდნისათვის“, – მხარი აუბეს „მოკომკავშირლო“ მოსწავლეებმაც მეზობელი გიმნაზიებიდან.

ასე თუ ისე, ინიციატივამ გაამართლა. ალბათ 23-ე გიმნაზიელები მთელი რუსეთის ტერიტორიაზე ყველაზე პირჩატკბარ-ლოზინებული ფრიადოსნები იქნებიან.



◉ თბილისი – მასპინძელი

# რა უჭირს დარისპანს და რა ხდება მიტოვებულ თეატრში?

## დასრულდა ბათუმის თეატრის გასტროლები

**ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლებმა თბილისში საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია, მათ მიერ ჩამოტანილ ორივე სპექტაკლს რუსთაველის თეატრში მაყურებელი არ აკლდა და ეს სავსებით ბუნებრივი იყო. დასი დედაქალაქში 27-**



**წლიანი პაუზის შემდეგ ჩამოვიდა, ბოლო ათწლეულში ჩამქრალმა შემოქმედებითმა ცხოვრებამ ახლა გამოცოცხლება დაიწყო, თეატრის კონსულტანტად ხომ რობერტ სტურუა მოვიდა, სამხატვრო ხელმძღვანელად კი მისივე მოწაფე გიორგი თავაძე დაინიშნა. საგასტროლო რეპერტუარიც სწორედ ამ რეჟისორთა ნამუშევრებმა შეადგინა.**

რობერტ სტურუას რეჟისორული არჩევანი მსახიობ ზაზა პაპუაშვილთან ერთად ამჯერად დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ – მრავალგზის დადგმული და ესოდენ აპრობირებული ნაწარმოები იყო. თუმცა, როგორც **რობერტ სტურუა ამბობს: „ამ ნაწარმოებზე მუშაობისას ვგრძნობდით, რომ ვმოგზაურობდით ახალ სამყაროში. ეს იყო ძალიან აზარტული. სტილისტიკაც უჩვეულო იყო, თითქოს ნაცნობიც. მივხვდით, რომ ეს პიესა მრავალწახნაგოვანია, ისე როგორც ბრილიანტი, რომელსაც უამრავი წახნაგი აქვს და შემოტრიალებისას სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვაგვარად აღიქმება. ეს მართლაც სხვა თვალით დანახული დარისპანია“.**

დიახ, რეჟისორებმა მაყურებელს კლდიაშვილის ახლებური ინტერპრეტაცია შესთავაზეს. პერსონაჟთა ხასიათები და თემატური პრობლემები ახლებურად გაიაზრეს, შეამცირეს მონოლოგები და დიალოგები. შეცვალეს კლდიაშვილის ეპოქა და მოქმედება XX საუკუნის მიწურულს გადმოიტანეს თბილისში, ომის დროს, თუმცა ფინალურ სცენაში მოქმედება ისევ კლდიაშვილის ეპოქას უბრუნდება, როცა, პრობლემების მიუხედავად, მეტი სითბო და სიყვარული სუფევდა ადამიანებს შორის.

აი, როგორ აფასებს სპექტაკლს თეატრმცოდნე **ხათუნა წულაძე:**

**იმ სოციალურ-პოლიტიკურ გარემოში და იმ ყოფაში, რომელშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, ერთი შეხედვით, დარისპანის გასაჭირის თემა თითქოს ნაკლებ საინტერესო უნდა ყოფილიყო, მრავალგზის დადგმულ პიესას თითქოს სათქმელიც ამოწურული ჰქონდა, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ რობერტ სტურუას არჩევანი მუდამ სიახლეს გვპირდება. სწორედ ამ ინტერესით მოვედი სპექტაკლზე. მოლოდინმა გამიმართლა. ასე სხვანაირად დანახული „დარისპანი“ ჯერ არ მინახავს, არც ასეთი გმირები. ასეთი კაროჟნა, სადღაც ბავშვობაში ჩარჩენილი პერსონაჟი პირველად ვნახე. თუ სხვა დადგმებში წინა პლანზე ყოველთვის დარისპანის გასაჭირი იყო წინ წამოწეული, რობერტ სტურუასა და ზაზა პაპუაშვილის ნამუშევარში, უწინარესად, ადამიანური პრობლემებია წინ წამოწეული, აქცენტი უფრო სულიერ ღირებულებებზე, ადამიანურ დამოკიდებულებებზეა გადატანილი და ამ მხრივ, პირადად მე, ეს დადგმა ძალიან სერიოზულ ნამუშევრად მიმაჩნია. ყველა მსახიობი კარგად თამაშობს, მეტადრე გამოვყოფ კაროჟნასა და ოსიკოს როლებში თეონა შამილაძისა და ზაალ გოგუაძის არაჩვეულებრივ თამაშს.**

**ჩემი ერთადერთი შენიშვნა ის არის, რომ მუსიკის გამოყენება ცოტა მომეტებულად, გადაჭარბებულად მომეჩვენა.**

სპექტაკლში, რომლის სცენოგრაფია ვახტანგ ბესელიას ეკუთვნის, მუსიკა კი გია ყანჩელს, საინტერესო სახეები შექმნეს ლია აბულაძემ, ნატო გოგიტაურმა, მაია ცეცხლაძემ, კახა კობალაძემ, ბიძინა მიქაუტაძემ...

მეორე სპექტაკლი, რომელიც ბათუმელებმა წარმოადგინეს, იყო ირაკლი სამსონაძის „საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში“ გიორგი თავაძის დადგმით. ეს პიესა დრამატურგის ბოლო ნამუშევარი ყოფილა და მისი პირველად დად-



გმის საავტორო უფლება ბათუმის დრამატულმა თეატრმა მოიპოვა. პიესა ფანტასმაგორიის ჟანრს მიეკუთვნება და რეჟისორ გიორგი თავაძის უშუალო დაკვეთით დაუწერია ავტორს. მასში გაჯერებულია კომიკური და დრამატული ელემენტები, ფანტასმაგორიული ეპიზოდები.

სპექტაკლში მოქმედება მიმდინარეობს პოსტრევოლუციურ საქართველოში, საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი თეატრის შენობაში, სადაც კარგა ხანია სპექტაკლი არ უთამაშიათ. ნაგავსაყრელს დამსგავსებული თეატრის ფონზე ვითარდება მოქმედი გმირების ცხოვრება. პიესა აქტუალობითა და პრობლემების ფართო სპექტრით გამოირჩევა. იგი მუსიკალურად გააფორმეს ია საკანდელიძემ და თენგო შამილაძემ, მხატვარია გოგლა გოგიბერიძე, ქორეოგრაფი კოტე ფურცელაძე. გმირები განასახიერეს მსახიობებმა ზურა ქავთარაძემ, ჯემალ ველიაძემ, თეონა შამილაძემ, მამუკა მანჯგალაძემ, ბერდია ინწკირველმა, ოთარ ქათამაძემ, გოჩა ხვიჩიამ...

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა ერთმოქმედებიანია, მაყურებელი არ იღლება, რადგან რიტმულად მწყობრია და ეფექტური სცენებით არის დატვირთული, კარგად არის ათვისებული სცენური სივრცე.

სპექტაკლზე შთაბეჭდილება სახელდახელოდ გაგვიზიარეს რეჟისორებმა დავით ანდღულაძემ და ქეთი დოლიძემ.

**დავით ანდღულაძე: ძალიან გახარებული ვარ იმით, რომ ბათუმის დრამატულ თეატრს ჰყავს ამისთანა დასი, რომელსაც ხელეწიფება ძალიან სერიოზული დრამატურგიის ჩვენება. ეს სპექტაკლი რეჟისორ გოგა თავაძის საინტერესო ნამუშევარია, მაგრამ დრამატურგიულად ნაწარმოები გაუმართავი მომეჩვენა. ჩემი აზრით, სჯობია გამართულ ფანტასმაგორიაზე იმუშავო, ვიდრე გაუმართავ დრამატურგიაზე აწვალო მსახიობები. როცა ფანტასმაგორია არ არის გამართული, მაშინ ის ზედმეტობაში გადადის ხოლმე. ასე რომ, საფრთხილოა ამ ჟანრთან თამაში. ძალიან მომეწონნენ მსახიობები და ეს ალბათ, გოგას დამსახურებაც არის.**

**ქეთი დოლიძე: გოგა თავაძის რეჟისურამ ძალიან მომხიბლა. საინტრესო და ღრმა პიესაა და ძალიან რთულად დასადგმელი, რადგანაც რთული არქიტექტონიკა აქვს. საერთოდ მე ვფიქრობ, რომ რობერტ სტურუას გავლენა იგრძნობა მის შემდგომ თაობებზე, მისი ხელწერა ამ სპექტაკლშიც ჩანს და ეს ცუდი სულაც არ არის. მით უმეტეს, როცა ფანტასმაგორიის ჟანრზეა საუბარი. აქ რობერტ სტურუას გამოცდილებას და გავლენას რომ ასცდე, ძალიან ძნელია. ირაკლი სამსონაძის დრამატურგია ყოველთვის აქტუალურ პრობლემებს ეხება, იგი წერს დღევანდელობაზე, იმაზე, რაც ყოფით ცხოვრებაში ნაღდია.**

ორივე სპექტაკლმა მაყურებელზე შთაბეჭდილება მოახდინა და ეს უკვე მიღწევაა. მაყურებელმა ირწმუნა თეატრის პოტენცია და ენერგია, ეს კი იმის საწინდრად მიიჩნია, რომ გამორჩეული თეატრალური ტრადიციების მქონე ბათუმის თეატრი უთუოდ მალე დაიბრუნებს თავის ღირსებას და სახელს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◉ ოპერა

# ტრადიციას განაგრძობს



**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ტრადიციას არ ღალატობს – აგრძელებს საქველმოქმედო აქციათა ციკლს. ზუსტად ერთი წლის წინათ თეატრმა საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის პირველკურსელებს სასწავლო წლის დაწყება ზაქარია ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერით“ მიულოცა.**

დღეს კი, 4 ოქტომბერს, თეატრი 600 პირველკურსელს უანგაროდ იწვევს ოთარ თაქთაქიშვილის ოპერაზე „მინდია“ (დამდგმელი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი, დამდგმელი რეჟისორი გეორგ რუტერინგიძ. მთავარ როლებს შეასრულებენ თეატრის სოლისტები – თეიმურაზ გუგუშვილი, მაყვალა ასპანიძე, სულხან გველესიანი, ტარიელ ჭიჭინაძე, ლევი იმედაშვილი. სპექტაკლს წარუძღვება ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი.

შარშანდელის მსგავსად, ოპერის თეატრის ხელმძღვანელობის ამ ინიციატივას აქტიურად დაუჭირა მხარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

ერთობლივი პროექტები მომავალშიც გაგრძელდება.

**რუსუდან მუხაძე**

ხსოვნა

# ლუბა შეწირული



სამედიცინო-სამეცნიერო საზოგადოებას გამოაკლდა პირველი ქართველი პროფესორი და აკადემიკოსი ქალი დერმატო-ვენეროლოგიაში, საქართველოს დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **ლუბა შეწირული.**

უდიდესია ქალბატონ ლუბა შეწირულის დამსახურება საქართველოში დერმატო-ვენეროლოგიის განვითარებასა და სამედიცინო კადრების მომზადების საქმეში.

სრულიად ახალგაზრდა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კურსდამთავრებული აფხაზეთში, სოფელ ესტონკაში უბნის ექიმად გაამწესეს. ამ სამსახურმა მას დიდი გამოცდილება შესძინა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე იგი გაგრის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ დანიშნეს და მრავალი საპასუხისმგებლო დავალების შესრულება დააკისრეს. თავდადებული შრომისა და აქტიური პროფესიული საქმიანობისთვის ქალბატონი ლუბა, ომის დამთავრების შემდეგ, დააჯილდოვეს მედლებით – „კავკასიის დაცვისათვის“, „შრომითი მამაცობისთვის“, აგრეთვე „საპატიო ნიშნის“, „ხალხთა მეგობრობის“, ორდენებით, – „ჯანმრთელობის დაცვის ფრიადოსნის“ ნიშნით და სხვა მრავალი ჯილდოთი.

28 წლის ახალგაზრდა სოხუმის კანისა და ვენსნეულებათა რესპუბლიკური დისპანსერის მთავარი ექიმია. 50-იან წლებში იგი ჩამოდის თბილისში და ინიშნება ჯანდაცვის სამინისტროს დერმატო-ვენეროლოგიური სამსახურის ხელმძღვანელად. 1970 წლიდან კი, 20 წლის მანძილზე, კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი იყო. ამავდროულად გახლდათ რესპუბლიკის მთავარი სპეციალისტი. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს დერმატო-ვენეროლოგთა სამეცნიერო საზოგადოებას.

ქალბატონ ლუბას ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით კანისა და ვენერიულ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მრავალი ახალი ორგანიზაციული ფორმა დაინერგა, რითაც მიღწეული იქნა სიფილისის, დერმატომიკოზებისა და პიოდერმიტების ავადობის მკვეთრი დაქვეითება. ის 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი იყო, 36 მსოფლიო და საერთაშორისო კონგრესისა და სიმპოზიუმის მონაწილე, არჩეული იყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნის დერმატოლოგთა საზოგადოების და ამერიკის შეერთებული შტატების დერმატოლოგიის აკადემიის ნამდვილ წევრად. იყო საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ქალბატონ ლუბას მრავალმა მოწაფემ ისახელა თავი მეცნიერებაში, მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია მედიცინის მეცნიერებათა 22 დოქტორი და კანდიდატი.

სამამულო მედიცინის განვითარებაში დიდი დამსახურებისთვის, სამეცნიერო კადრების მომზადებაში განსაკუთრებული წვლილისა და თავდადებული მოღვაწეობისთვის, მოსახლეობის სამედიცინო დახმარების საქმეში და მედიცინის მეცნიერებაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის ღვაწლმოსილი მეცნიერი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

მისი ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ქვეყნის სამედიცინო საზოგადოებასა და თანამშრომლებს შორის.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,**
**სს კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,**
**საქართველოს დერმატოვენეროლოგთა ასოციაცია.**

საქართველოს ქალთა საბჭო მწუხარებას გამოთქვამს და უთანაგრძნობს ქალბატონ ლალი ლოღელიანს, დედის

ელენე ბოკერიას

გარდაცვალების გამო.

---

სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იუწყება, რომ ექიმ-ქირურგს ბესიკ კეკელიას გარდაეცვალა დედა

ნინა კეკელია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ყველაფერი ყველაფერზე

# 11-საათიანი ძილი, საცივი და... სექსი



**ჟანა ფრისკე რუსეთში არაჩვეულებრივად პოპულარულია – ცნობილი მომღერალი, მაღალი საზოგადოების საღამოების დედოფალი, რამდენიმე ფილმის ვარსკვლავი... იმისი ფეხუნები რუსეთულ ესტრადაზე ყველაზე სექსუალურადაა აღიარებული. უცხოურმა ჟურნალებმა პოპულარობით ერთბაშად პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გვერდით დააყენეს.**

32 წლის ჟანა გაუთხოვარია, მაგრამ მამაკაცებს არ იკლებს, იდუმალად ულიმის და აგიჟებს თავისი მცხუნვარებით. ჰობი: იშვიათი სუნამოების კოლექციონერობა; დასვენების საყვარელი სახეობა – ზედიზედ 11-საათიანი ძილი; საყვარელი საჭმელი – საცივი, შავი პური, ნესვი, ზღვის პროდუქტები, ხენდრო; ცხოვრების მთავარი პრინციპი: „საკუთარ თავთან პატიოსნება“.

– მიყვარს თავის განებივრება. შემიძლია საკუთარი თავისთვის ყიდვა, მაგალითად, არასაჭირო ტუფლებისა, უცებ ვალის აღება და ახალი ავტომობილის შეძენა, საღამოს წვეულების შემდეგ მოტოციკლის გაქროლება. ანაზდეულ დღესასწაულებს მოვიწყობ ხოლმე. მომწონს კერძების მომზადება.

ჩემი ყველაზე სასურველი საქმიანობა ძილი გახლავთ. მეორე ადგილზე სექსი დგას. ვაღმერთებ შოკოლადს. ალბათ მშვენიერი იქნებოდა, რომ ერთდროულად კიდევაც მეძინოს, სექსსაც ვეძლეოდე და შოკოლადსაც ვჭამდე. თუმცა ასე არ გამოვა.

ეს „მონოლოგი“ ერთგვარ ავტოპორტრეტად ჩავუთვალოთ ჟანა ფრისკეს...

## ვაჟკაცო, ფაფრის მტარებელო...



**სამხრეთ აფრიკაში მასაის ტომის წარმომადგენლები ვაჟკაცური სულისკვეთების მქონე ტანმაღალ მეომრებად და საუცხოო მეკვლეებად არიან ცნობილნი.** მასაი-მესაქონლეებში მხეცთა მეფის, ძლიერი და ღირსეული მეტოქის, ლომის მძლეველს მისი ფაფრის ტარების უფლება აქვს. ამ 14 წლის ჭაბუკმა მეომარმა მასაიმ საპატიო თავის საბურავის ტარების უფლება ლომთან სისხლიან ორთაბრძოლაში მოიპოვა, რომელშიც მისი იარაღი მხოლოდ შუბი იყო.

## აბა, უეკლო ვარდი ვის გაუგია!



**სკოლაში სწავლისას ლონდონელმა გაბრიელა პალმანომ მასწავლებლებისგან მრავალი საყვედური მიიღო, რის მიზეზი მისი უჩეულოდ ჩაცმისადმი ტრფიალი გახლდათ.** თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელია: სკოლის დამთავრებიდან რამდენიმე წელიწადში მის გაბრიელა ლონდონის მოდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სააგენტოს მფლობელი გახდა. მას მიაჩნია, რომ არაორიგინალური სამოსელი იგივეა, რაც უეკლო ვარდი.

## „ოქროს ხელიც“ ამას ჰქვია!

**ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ოგესტინის აეროპორტში დაჯდომისას თვითმფრინავს შასი არ გაეხსნა.** ავიაკატასტროფის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტეს შასის გათავისუფლება ჭეშმარიტად კასკადიორული ხერხით: თვითმფრინავი ასაფრენი ბილიკის თავზე მინიმალურ სიმაღლეზე მიფრინავდა, მის ქვეშ კი, საათში 100 მილის სიჩქარით, ტენტგადახდილი ავტომანქანა მოძრაობდა, მასში კი ფეხზე იდგა ავიამექანიკოსი ჯონ ლიპი, რომელმაც შასის გახსნა შეძლო.



## ანეკდოტები

**მიხო ჯარიდან დაბრუნდა და მაშინვე მაცივარს მივარდა. გამოაღო და ხედავს, რომ მაცივარში „პლეიბოის“ ყდაზე დაბეჭდილი შიშველი გოგოს სურათია გამოკრული.**

**– ეს რა არის, დედი? – გაუკვირდა მიხოს.**

**– ეს იმისთვის გავაკარი, შვილო, რომ ნაკლები ვჭამო. ყოველთვის, როდესაც საჭმლის გამოსატანად გავაღებ მაცივარს, ამ ფოტოს შევხედავ და საკუთარ თავს ვეუბნები – თუ გსურს ასეთი იყო, არ ჭამო!**

**– მერე გშველის?**

**– მგონი, კი – ხუთი კილოგრამი დავიკელი, მაგრამ, სამაგიეროდ, მამაშენი გასუქდა ათი კილოგრამით.**



* * *

**– ექიმო, მუდამ მგონია, რომ მაცივარი ვარ.**

**– ეს ძალიან გაწუხებთ?**

**– სულაც არა.**

**– მაშ რად მოხვედით?**

**– პირლია მძინავს, შუქი კი ჩემ ცოლს აღვიძებს.**

* * *

**ივან ივანიჩი სამსახურში თვალებჩალურჯებული მივიდა.**

**– ვინ გაგიმეტა ასე? – ეკითხებიან.**

**–ეჰ, ცოლმა ჯიბეში პრეზერვატივი აღმომიჩინა, ჩვენ კი მას არ ვიყენებთ...**

**ერთი კვირის შემდეგ ივანიჩი ისევ დალილავებული მოვიდა სამსახურში.**

**– ისევ ცოლი?**

**– ისევ.**

**– კვლავ პრეზერვატივები აღმოგიჩინა?**

**– არა, პირიქით, ერთი ცალი აკლიაო...**

* * *

**ცხოვრება ხშირად ზღაპარივითაა. მხოლოდ დაქორწინდები და, სიზმარიც დამთავრდება.**

* * *

**გოგოები ისეთი შეუხედავები იყვნენ, რომ პაემანზე საკუთარი არყით დადიოდნენ.**

## ლარის კურსი

**4 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3101 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7420 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2343 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0651 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9739 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4384 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5155 ლარი. |

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 65 წლის, არსად არ ვმუშაობ. ცხოვრების უკუღმართობის გამო, მხოლოდ 12 წლის შრომის სტაჟი მაქვს.**



**გთხოვთ, გამარკვიოთ, შემიძლია თუ არა მოვითხოვო სახელმწიფო პენსიის დანიშვნა?**

**ლადო ნიორაძე**

**პასუხი:** 2006 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კანონის თანახმად უფლება გაქვთ დაინიშნოთ სახელმწიფო პენსია.

რაკი საპენსიო ასაკის ბრძანდებით, შრომის სტაჟის ხანგრძლივობას ძირითადი პენსიის ოდენობის განსაზღვრის დროს მნიშვნელობა არ ექნება.

* * *

**კითხვა: გასულ წელს ხიდან ჩამოვვარდი და დავშავდი, რის გამოც კომისიამ ერთი წლით II ჯგუფის ინვალიდად მცნო, ვინაიდან არა ვარ საპენსიო ასაკის. მიმდინარე წლის 2 აგვისტოს უნდა გავტარებულიყავი სამედიცინო კომისიაზე, მაგრამ იმის გამო, რომ ვიმყოფებოდი რაიონში ბებიასთან, დამიგვიანდა კომისიაში გატარება; აღნიშნულთან დაკავშირებით აგვისტოს თვის პენსია აღარ მომცეს.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენად სწორია ჩემთვის პენსიის დაკავება?**

**მორის ბაბუნაშვილი**

**პასუხი:** კანონის თანახმად, თუ ინვალიდი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროში ინვალიდობის ჯგუფის გადასამოწმებლად დანიშნულ ვადაში ვერ გამოცხადდა, მას პენსიის გაცემა უნდა შეუწყდეს და განუახლდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა კვლავ იქნება ცნობილი ინვალიდად.

კომისიაში დაგვიანებით გამოცხადება იმის გამო, რომ ზაფხულში იმყოფებოდით ბებიასთან, ამ შემთხვევაში, საპატიო მიზეზად არ ჩაითვლება.

* * *

**კითხვა: ვმუშაობდი სახელმწიფო დაწესებულებაში 15 წელი. ამ რამდენიმე დღის წინ, ადმინისტრაციამ შემიწყვიტა შრომის ხელშეკრულება.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რამდენი თვის ხელფასი უნდა მომეცეს?**

**ნაირა ნაცვლიშვილი**

**პასუხი:** მოქმედი შრომის კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, თუ შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი დამსაქმებელია, დასაქმებულს უნდა მიეცეს არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## დარია თუ ავდარია

# ამინდი 4 ოქტომბერს

**დასავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +28⁰ – +19⁰, ღამით +15⁰ – +20⁰.

**აღმოსავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +19⁰ – +25⁰, ღამით +17⁰ – +22⁰.



**თბილისში –** მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით +14⁰, დღისით +23⁰.

**ბათუმი** – ღ. +17⁰, დ. +23⁰; **სოხუმი** – ღ. +16⁰, დ. +23⁰; **ქუთაისი** – ღ. +16⁰, დ. +25⁰, **ოზურგეთი** – ღ. +18⁰, დ. +22⁰, **ზესტაფონი** – ღ. +19⁰, დ. +25⁰; **რუსთავი** – ღ. +15⁰, დ. +23⁰, **ფოთი** – ღ. +17⁰, დ. +26⁰; **მესტია** – ღ. +10⁰, დ. +18⁰; **სტეფანწმინდა** – ღ. +15⁰, დ. +18⁰; **თელავი** – ღ. +13⁰, დ. +21⁰; **გორი** – ღ. +15⁰, დ. +24⁰; **ახალციხე** – ღ. +13⁰ დ. +24⁰; **ბორჯომი** – ღ. +13⁰, დ. +22⁰; **ცხინვალი** – ღ. +13⁰, დ. +22⁰; **სამტრედია** – ღ. +17⁰, დ. +25⁰; **ზუგდიდი** – ღ. +17⁰, დ. +22⁰; **ჭიათურა** – ღ. +13⁰, დ. +21⁰.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.